პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებული, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

ოთხშაბათი, 13 თებერვალი 1929 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 35 (2381)

დღიური

— მელითონეთა გაფიცვა ბორდოში გრძელდება.
— ზემო-სილეზიის მემაღაროეთა გაფიცვა გადაიდო.
— დამთავრდა საბერძნეთის პროფკავშირების ყრილობა.
— მექსიკოში სიკვდილით დასაჯეს პრეზიდენტ ობრეგონის მკვლელი.
— თავდასხმა მექსიკის პრეზიდენტ პორტეს—ჟილზე.
— ლვოვის ციხის პოლიტპატიმრებმა სიმშილობა გამოაცხადა.

ორშაბათს, 18 თებერვალს, თბილისის მუშათა თეატრის შენობაში (ჟორესის ქუჩაზე)

მოწვეულია

თბილისის მე-9 პარტკონფერენცია

დღის წესრიგი:

1. თბილისის კომიტეტის ანგარიში და კომკავშირის თბილისის კომიტეტის თანამოხსენება.
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მოხსენება.
4. მუშაობა იდეოლოგიურ ფრონტზე.
5. სოფლად მუშაობა.
6. არჩევნები.

თბ. კომიტეტის პრეზიდიუმი.

თესვის სეზონი ახლოვდება

გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის ხელმძღვანელობის გასაწევათ და მისი ჩატარებისათვის სათანადო ღონისძიებების განსახორციელებლად, როგორც ვიცით, დაარსებულია რესპუბლიკანური კომისია. კომისიები აგრეთვე უნდა მოეწყოს მაზრებსა და თემებზეაც. ამ გარემოებას, სხვათა შორის, იმ მხრივ აქვს მნიშვნელობა, რომ ამით შეიძლება ავიცილოთ სხვადასხვა ორგანიზაციების დაფანტული და შეუთანხმებელი მუშაობა ამ დარგში, რაც კამპანიის წარმატების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. თუ დაქსაქსული, პარტიზანული გამოსვლები საერთოდ დიდად ვნებს ყოველგვარ საქმეს, ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას ისეთ უაღრესად რთულ და ძნელ კამპანიაზე, როგორიცაა თესვის კამპანია. თესვის ცენტრალურმა და ადგილობრივმა კომისიებმა პირველ ყოვლისა უნდა მოახერხონ ამ ნაკლის აღმოფხვრა და თესვასთან დაკავშირებულ ყველა ღონისძიების გაერთიანება, მათი დაქვემდებარება მთლიანი გეგმისათვის.

რა ღონისძიებანი უნდა იქნას ჩატარებული თესვის წარმატებისთვის? რესპუბლიკანური კომისია სამაზრო აღმასკომისადმი მიმართულ ცირკულიარულ წერილში, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ, მიუთითებს ამ ღონისძიებებზე.

პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის სათესლე მასალით უზრუნველყოფას. ასეთი მასალა ნაკლებად მოიპოვება უკანასკნელ წლების მოუსავლობის და პურეულის საერთო დეფიციტის გამო. ამიტომ, მთავრობა ვერ შესძლებს თესლეულის ცოტათ თუ ბევრად საკმაო რაოდენობით მიწოდებას გლეხობისათვის. თესლეულის არსებულ მარაგის განაწილებასთან ერთად, დარიგებული იქნება საკვები პურეული იმ მიზნით, რომ იგი სათესლე მასალაზე იქნას გადაცვლილი. აუცილებლად ზომები უნდა მიიღონ ადგილობრივმა ორგანოებმა, რომ ცენტრიდან გაგზავნილი სათესლე მასალა ან მის შესაძენად გადადებული საკვები პროდუქტები მოხმარდეს თავის პირდაპირ დანიშნულებას.

თავისთავად ცხადია, რომ ადგილები მარტო ცენტრის შემყურე არ უნდა იყვნენ. მათ უნდა გამოიჩინონ საჭირო ინიციატივა და ენერგია თესლის ადგილობრივ საშოვნად.

შემდეგი ღონისძიება შეეხება გლეხობის მომარაგებას მანქანა-იარაღებით. საჭიროა ზეგავლენის მოხდენა იმ ორგანიზაციებზე, რომელთა ხელშია მანქანა-იარაღების დამზადების და გადმოზიდვის საქმე, რათა მათ დროზე და უკლებლად შეასრულონ დაკვეთები და ნაკისრი ვალდებულებანი. მანქანა-იარაღების განაწილებას საფუძვლად უნდა ედოს რაიონების თავისებური პირობების შესწავლა. ამასთან ზომები უნდა მივიღოთ სათადარიგო ნაწილებით, საწვავ და სხვა საჭირო მასალებით მანქანა-იარაღების უზრუნველსაყოფად. აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს მომზადებულ ტრაქტორისტების გაგზავნა სოფლად და შეკეთებულ სახელოსნოების ქსელის გაფართოვებას.

მწვავედ დგას მუშა-საქონლის საკითხი. არ ხერხდება სოფლისათვის მისი ნატურით მიწოდება. ამის მაგივრად კრედიტები იქნება დარიგებული. ფხიზელი კონტროლი უნდა დაწესდეს, რათა ეს კრედიტები სხვა საჭიროებისათვის არ იქნეს გამოყენებული. ეს ყველაზე უფრო შეიძლება, თუ სასოფლო-სამეურნეო - საკრედიტო კოოპერაცია მოკიდებს ხელს მუშა-საქონლის შეძენას.

სოფლისათვის თესვის დარგში დახმარების აღმოჩენის დროს სასტიკად უნდა დავიცვათ კლასიური პრინციპი. დახმარება პირველ რიგში, ცხადია, უნდა მიეცეს კოლმეურნეობებს, ღარიბ გლეხებს და შემდეგ უკანასკნელებთან სამეურნეო შესაძლებლობით ახლო მდგომ საშუალო გლეხობის ფენებს. ამის გახსენება თითქოს საჭირო არ უნდა იყოს, მაგრამ საქმე ის არის, რომ სინამდვილეში ჩვენ არა იშვიათად ვხვდებით კლასობრივი ხაზის გადამახინჯებას. არის შემთხვევები, როცა კულაკები სხვადასხვა ხრიკებით იყენებენ ღარიბთათვის დანიშნულ შეღავათებს. კულაკების ცდები ამ მხრივ ძირშივე უნდა აღვკვეთოთ.

ამავე დროს კულაკები და სხვა ანტი-საბჭოთა ელემენტები მოინდომებენ თესვის კამპანიის ჩაშლას სხვადასხვა პროვოკაციული ხმების გავრცელებით. მშრომელთა ბატონობის განმტკიცება და სოციალისტურ მშენებლობის წარმატება, რაც საბჭოთა წყობილების მტრებს არსებობის ნიადაგს აცლის, იწვევს მათ გაბოროტებას. ისინი, უეჭველია, გასწევენ აგიტაციას ნათესების ფართობის გადიდების წინააღმდეგ რომ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას შეუქმნან სამეურნეო და, მაშასადამე, პოლიტიკური გართულებანი. ასეთი ელემენტების ალაგმავად უმკაცრესი ზომები უნდა მივიღოთ. მშრომელმა გლეხობამ მათ ამგვარ ცდებს უნდა გასცეს პასუხი ლოზუნგით: დაუთესავი არ უნდა დარჩეს არც ერთი ნაჭერი მიწა და იგი ენერგიულად უნდა შეუდგეს ამ ლოზუნგის განხორციელებას.

თესვის კამპანიის მომზადება-ჩატარება სრულებით არ არის ვიწრო უწყებრივი და მარტო სათანადო სახელმწიფოებრივ და სამეურნეო ორგანიზაციების საქმე. ამ კამპანიაში მონაწილეობა უნდა მიიღოს როგორც ყველამ ორგანიზაცია-დაწესებულებამ, რომელსაც თუ გინდ მცირეოდენი რამის გაკეთება შეუძლია, ისე მშრომელთა მთელ საზოგადოებრიობამ. მხოლოდ მთელი მშრომელი გლეხობის საზოგადოებრივი აქტივობით და სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეთანხმებული მუშაობით გახდება შესაძლებელი იმ რთულ ამოცანების წარმატებით გადაჭრა, რომლებიც ჩვენს წინაშე დგანან გაზაფხულის თესვის კამპანიასთან დაკავშირებით. თესვის სეზონი ახლოვდება და ჩვენ საჩქაროდ უნდა გავშალოთ მოსამზადებელი მუშაობა.

ფაქტების ძალა

როგორც მკითხველებმა იციან, 9 თებერვალს ხელმოწერილ იქნა საბჭოთა კავშირის ოქმი, რომელიც ითვალისწინებს კელოგის პაქტის დაუყოვნებლივ ძალაში შესვლას; მსოფლიო პრესას ოქმზე ხელის მოწერა მიაჩნია საბჭოთა კავშირის აქტიური სამშვიდობო პოლიტიკის უდავო გამარჯვებად. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ამხ. ლიტვინოვი თავისი წინადადებით გამოვიდა, ევროპიული პრესის სხვადასხვა თვალსაჩინო ორგანოები იძულებულნი იყვნენ აღენიშნათ საბჭოთა პოზიციის მორალური ძალა. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკური პოზიციების გაძლიერების ობიექტიური გამოხატულებას წარმოადგენს ჩვენი წინადადების განხორციელება. მაგრამ პოლიტიკურ წარმატებასთან ერთად, საერთაშორისო ფრონტზე ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ უდავო პროგრესიც ეკონომიურ დარგში.

დღევანდელი დეპეშები გადმოგვცემენ მეტად საგულისხმო ცნობებს, რომლებიც გვიჩვენებენ საბჭოთა კავშირისადმი ინტერესის გაცხოველებას საზღვარ გარეთის გავლენიანი საფინანსო და სამრეწველო წრეების მხრით. საბჭოთა ბაზრის გაცნობის მიზნით ინგლისის მრეწველებმა განიზრახეს სპეციალური დელეგაციის გაგზავნა საბჭოთა კავშირში და საკითხი აღძრეს ინგლის-საბჭოთა ვაჭრობისათვის გაძლიერებული კრედიტების გადიდების შესახებ. შეერთებულ შტატებში სერიოზულად არკვევენ საბჭოთა კავშირის ფართო ფინანსიური ინვესტიციების მრავალგვარ პროექტებს. ფრანგული პრესა ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ საფრანგეთი მოვლენათა კუდში მოექცა და მან სერიოზულად უნდა იზრუნოს საბჭოთა კავშირთან სამეურნეო ურთიერთობის გაძლიერებისათვის.

ეჭვი არ არის, რომ ყურადღება საბჭოთა კავშირისადმი სერიოზულად გაძლიერდა. გერმანული გაზეთი „ბერლინერ ტაგებლატი" უსაფუძვლოდ არ აღნიშნავს, რომ „უკანასკნელ კვირებში შესანიშნავი ცვლილება მოხდა ანგლო—საქსური ქვეყნების დამოკიდებულებაში საბჭოთა კავშირისადმი". იმ დროს, როდესაც ყველა ქვეყნის ბულვარული პრესა და ინგლისის შუბლმაგართა გაზეთები სხვადასხვა უაზრო ცნობებს სთხზავენ საბჭოთა კავშირის სამეურნეო კრიზისის შესახებ, ფინანსიური წრეების სერიოზული ორგანოები აღნიშნავენ, ასეთი ინფორმაციის სიცრუეს.

ინგლისის საქმიან წრეებში მოულოდნელად მიხვდნენ, რომ ასეთი ცნობების გავრცელება ინგლისისათვის სასარგებლო არ არის და საბჭოთა კავშირის შესახებ გავრცელებულ სხვადასხვა პანიკური ამბების დაჯერება შეიძლება საზარალო გამოდგეს ინგლისის ვაჭრობისათვის.

დამახასიათებელია, რომ როგორც ინგლისელი, ისე ფრანგი მრეწველებისათვის მთავარ მოტივს წარმოადგენს შიში იმის შესახებ, რომ საბოლოოდ არ დაჰკარგონ პოზიციები საბჭოთა ბაზარზე. ინგლისელები თვალ ყურს ადევნებენ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ეკონომიური ურთიერთობის სისტემატიურ ზრდას და თანდათან ხვდებიან, რომ პასივობის გაგრძელებამ ინგლისის კაპიტალს შეიძლება საბოლოოდ წაართვას მონაწილეობის მიღების საშუალება იმ დიდ სამეურნეო ოპერაციებში, რომლებსაც აუცილებლად წარმოშობს საბჭოთა მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის განვითარების ტემპი. ფრანგებს უეცრად მოაგონდათ, რომ საბჭოთა ეკონომიკასა და საფრანგეთის ეკონომიკას შორის არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს, როგორც ამბობს ჟურნალი „ეროპ ნუველი". ახლახან ამავე გარემოებას ყურადღება მიაქცია საფრანგეთის სამრეწველო წრეების გაზეთმა „ენფორმასიონ"-მა.

ის ამბავი, რომ ინგლისისა და საფრანგეთის საქმიანმა წრეებმა სწორედ ახლა მიაქციეს ყურადღება საბჭოთა კავშირთან სამეურნეო ურთიერთობის გაბმის საკითხს, შეუძლებელია არ დაუკავშიროთ იმ ყურადღებას, რომელსაც ამ საკითხისადმი იჩენს შეერთებული შტატები. ევროპის პრესის, კერძოდ „ბერლინერ ტაგებლატის" ცნობებით, ნიუ-იორკში არსებობს საბჭ. კავშირის სახალხო მეურნეობაში ფინანსების დაბანდების ფართო გეგმები.

ამასთანავე უნდა ითქვას: საზღვარგარეთ უფრო და უფრო ცხადი ხდება ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირთან სამეურნეო ურთიერთობის საკითხს საჭიროა მიუდგნენ სულ სხვანაირად, ვიდრე აქამდე ხდებოდა. „ეროპ ნუველი", უეჭველია, ითვალისწინებს საქმის ამ მხარეს და სწერს:

„დროა ვიფიქროთ იმის შესახებ, რომ საჭიროა მოლაპარაკების დაწყება პრაქტიკული შეთანხმების მიღწევის მიზნით, დამოუკიდებლად იმისა, განახლდება თუ არა მოლაპარაკება ვალების შესახებ". ამავე დროს, ინგლისის სამრეწველო წრეები აღიარებენ, რომ ისინი სწორად ვერ აფასებდნენ საბჭოთა კავშირის კრედიტის უნარიანობას და აღნიშნავენ, რომ საჭიროა განხორციელდეს კრედიტების გაფართოვება საბჭოთა მთავრობისათვის. სხვანაირად რომ ვსთქვათ, უცხოეთის ფინანსიური წრეები ხვდებიან, რომ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის გაცხოველება, პირველ ყოვლისა, მათზევეა დამოკიდებული, და მოითხოვენ ფხიზელ საქმიან მიდგომას.

ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი დამახასიათებელი მხარე ევროპის პრესის იმ ცნობებისა, რომლებიც შეეხება საქმიანი წრეების სულიერ განწყობილებას საბჭოთა კავშირის მიმართ. თუ გულდასმით წავიკითხავთ იმ პროექტებს, რომლებსაც არკვევს ევროპის ეკონომიური პრესა, შევნიშნავთ, რომ ევროპაში უკვე გამოჰყავთ საჭირო დასკვნები საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის ფაქტიდან. როგორც ამერიკულ, ისე ინგლისურ გეგმებს. რამდენადაც შეგვიძლია გაზეთების ცნობების მიხედვით ვიმსჯელოთ, ის ახასიათებს, რომ იქ ლაპარაკი არა აქვთ საბჭოთა ბაზრის, ნედლეულობის და სოფლის მეურნეობის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული დროებითი გარიგებისა და ოპერაციების შესახებ, არამედ იმ გეგმების შესახებ, რომლებიც ითვალისწინებენ საბჭოთა მრეწველობისათვის საჭირო რესურსების მიწოდებას. „ბერლინერ ტაგებლატი"-ს ლონდონელი კორესპონდენტი ახლახან იუწყებოდა, რომ ინგლისელი წრეები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ მანქანათა მშენებლობის მრეწველობისათვის და აგრეთვე სხვადასხვა საზოგადოებრივი მუშაობისათვის საჭირო შეკვეთებისადმი. ცხადია, ინგლისშიც ფეხს იკიდებს ის სამართლიანი აზრი, რომელიც ამას წინად ნათლად გამოხატა თავის სიტყვაში გერმანიის ელჩმა გერმანული ტეხნიკის კვირეულის დაწყების დროს. საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია წარმოადგენს არა დაბრკოლებას საბჭოთა კავშირთან ეკონომიური ურთიერთობის გაბმისათვის, არამედ იგი მოქმედების ფართო სარბიელს ქმნის ევროპის უაღრესად განვითარებული ინდუსტრიალური ქვეყნების კაპიტალისათვის.

აქ ჩვენ უახლოვდებით მთავარ მომენტს, რომელიც ახასიათებს ჩვენს დღევანდელ ურთიერთობას კაპიტალისტურ ქვეყნებთან. 1927 წლის გაზაფხულზე ადგილი ჰქონდა ორ მნიშვნელოვან მოვლენას ჩვენი ურთიერთობის ისტორიაში კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან. ჟენევის საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციაზე კაპიტალისტური ქვეყნები თითქოს იძულებულნი იყვნენ დე-იურედ ეცნოთ ჩვენი სოციალისტური სამეურნეო სისტემა; კონფერენციის რეზოლიუციაში აღნიშნული იყო ორი სხვადასხვა სამეურნეო სოციალური სისტემის ერთდროულად არსებობის შესაძლებლობა. ამავე დროს, 1927 წლის გაზაფხულზე ინგლისის კონსერვატიულმა მთავრობამ დიპლომატიური ურთიერთობა შესწყვიტა საბჭოთა კავშირთან.

ამის შემდეგ შეიძლება აღვნიშნოთ ორი ხაზის განვითარება კაპიტალისტური ქვეყნების დამოკიდებულებაში საბჭოთა კავშირისადმი. ერთის მხრით, ძლიერდებოდა საბჭოთა კავშირის მეურნეობისა და მსოფლიო ბაზრის თანამშრომლობა, მეორეს მხრით, ინტენსიურად გრძელდებოდა მუშაობა საბჭოთა კავშირის გარემოცვისათვის და ფინანსიური ბლოკადის ორგანიზაციისათვის. ეს მუშაობა დღესაც სწარმოებს და კვლავაც იწარმოებს, ვინაიდან საბჭოთა სახელმწიფოსადმი კლასობრივი სიძულვილის ძალა არასოდეს არ შენელდება. მაგრამ ამასთანავე ერთად, ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ამჟამად ახალი ძალით იჩენს თავს იდეა სამეურნეო კონტაქტისა საბჭოთა ბაზართან. განვლილი ორი წლის განმავლობაში თვალსაჩინოდ გამწვავდა წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის და დღეს ბაზრისათვის ბრძოლის პრობლემა უფრო მწვავედ სდგას, ვიდრე 1927 წლამდე. მეორეს მხრით, საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხაზი გვიჩვენებს შეუფერხებელ ზრდას, ისევე, როგორც შეუჩერებლად იზრდება საბჭოთა ეკონომიკის ინდუსტრიალიზაცია. ეს ორი გარემოება წარმოადგენს საბჭოთა კავშირისადმი ეკონომიური ინტერესის იმ გაცხოველების მთავარ მიზეზს, რომელსაც ყოველ დღე ადასტურებს მთელი მსოფლიო პრესა.

„იზვესტია", 12 თებერვალი.

უცხოეთის პრესის კომენტარიები ლიტვინოვის ოქმზე ხელისმოწერის გამო

საფრანგეთში მოითხოვენ სავაჭრო ხელშეკრულების დადებას საბჭოთა კავშირთან

ბესარაბიაში გახშირდა მღელვარება სიმშილობის ნიადაგზე

ლიტვინოვის ოქმზე ხელის მოწერის შემდეგ

ფრანგული გაზეთები მოსკოვის ოქმის შესახებ

პარიზი, 11 თებერვალი. შემარცხენე ბურჟუაზიული გაზეთი „ვოლონტე" კმაყოფილებას გამოსთქვამს მოსკოვის ოქმზე ხელის მოწერის გამო და სწერს:

„ოქმი წარმოადგენს საბჭოთა მთავრობის მშვიდობიანობისადმი სერიოზული მისწრაფების კეთილად დაგვირგვინებას. **საბჭ. მთავრობის დაუძინებელი მტრებიც კი, რომლებმაც ხელაღებით ოქმი ცბიერ მანევრად გამოაცხადეს, ახლა იძულებულნი არიან აღიარონ, რომ საბჭოთა დიპლომატიამ წონასწორობა განამტკიცა აღმოსავლეთ ევროპაში**".

დასასრულ გაზეთი აღნიშნავს, რომ **ლიტვინოვის სიტყვა ოქმზე ხელის მოწერის შესახებ წარმოადგენს იმ გაბედულ ნაბიჯების გაგრძელებას რომლებიც მან გადასდგა ჟენევაში განიარაღების სასარგებლოდ. (ადს).**

„ტან"-ი მოსკოვის ოქმზე ხელის მოწერის შესახებ

პარიზი, 11 თებერვალი. „ტან"-ი კომენტარიებს უკეთებს მოსკოვის ოქმზე ხელის მოწერას და სწერს:

„თუ ლიტვინოვის ახალი მითითებანი განიარაღებაზე, როგორც მშვიდობიანობის გარანტიაზე, წარმოადგენს ახალ ცდას მოსკოვის ოქმის ხელის მოწერის საშუალებით წინ წასწიოს მოლაპარაკება განიარაღების შესახებ, მაშინ ლიტვინოვს სასტიკად გაუცრუვდება იმედები. გამორკვეულია, რომ კელოგის პაქტი არ შეიძლება გახდეს გამოსავალი წერტილი რაიმე ახალი ინიციატივისათვის დაუყონებლივ სრული განიარაღების სასარგებლოდ. პოლონეთი და რუმინეთი თავისი გეოგრაფიული მდგომარეობის გამო იძულებული არიან საკითხი განიარაღების შემცირების შესახებ დასვან ისეთი საერთო შეთანხმების ფარგლებში. რომელიც უნდა გავრცელდეს ყველა სახელმწიფოებზე. პატეკმა სწორად განსაზღვრა ოქმის მნიშვნელობა, როცა აღნიშნავდა, რომ კელოგის პაქტის საერთო რატიფიკაციის მომენტიდან მოსკოვის ოქმი მშვიდობიანი მისწრაფების მოწმობათ და მოგონებათ დარჩება. ჯერ-ჯერობით კი ოქმი არის მშვიდობიანობის დამატებითი გარანტია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის. (ადს).

ნანუს განცხადება საბჭოთა ოქმის შესახებ

ვარშავა, 11 თებერვალი. გაზეთები თავს იკავებენ მოსკოვის ოქმის შეფასებისაგან.

„ეპოკა" ბეჭდავს რუმინეთის ვარშაველი რწმუნებულის ნანუს განცხადებას, რომელშიაც ნათქვამია: „ოქმზე ხელის მოწერა რუმინეთისათვის მეტად ხელსაყრელია, რადგან იგი წარმოადგენს პოლონეთ-რუმინეთის სოლიდარობის აშკარა დადასტურებას და შეიცავს ახალ მომენტს, სახელდობრ, საბჭოთა კავშირის ფორმალურ ვალდებულებას, რომლის თანახმად უკანასკნელმა თავისი ევროპიული საზღვრის გარშემო წარმოებული დავის საბოლოო გადაწყვეტამდე არ უნდა მიმართოს იარაღის ძალას. ეს ორი მომენტი უზრუნველჰყოფს მშვიდობიანობის დაცვას აღმოსავლეთ ევროპაში და ხელს შეუწყობს დაინტერესებული ერების ეკონომიურ აყვავებას, რადგან ომის საფრთხე ხელს უშლის ხალხების ეკონომიურ განვითარებას"

„ლატვიის მთავრობამ ტაქტიკური შეცდომა დაუშვა"

რიგა, 11 თებერვალი. გერმანული ორგანო „რიგაშე რუნდშაუ", უკეთებს რა კომენტარიებს მოსკოვის ოქმზე ხელის მოწერას აცხადებს, რომ **ლატვიის მთავრობამ ტაქტიკური შეცდომა დაუშვა, იგი ოქმს უნდა შეერთებოდა ლიტვასთან ერთად** და ამით ხაზი გაესვა იმისათვის, რომ კარგი ურთიერთობა არსებობს ლატვიისა და ლიტვას შორის, რადგან მიწვევა ოქმზე ხელის მოსაწერათ ლატვიამ ლიტვასაგან მიიღო (ადს).

რუმინეთის პრესის კომენტარიები

ვენა, 11 თებერვალი. იმის გამო, რომ, როგორც საბჭოთა პრესა და უცხოეთის პრესის ნაწილი აღნიშნავს, მოსკოვის ოქმზე ხელის მოწერა უცვლელად სტოვებს საბჭოთა კავშირის პოზიციას ბესარაბიის საკითხში, რუმინეთის პრესა აღიარებს, რომ თუმცა ოქმზე ხელის მოწერა მშვიდობიანობის გარანტიას იძლევა, მაგრამ არ მოასწავებს რუმინეთის უფლებების ცნობას. ბესარაბიაზე საბჭოთა კავშირის მხრივ, ამასთან დაკავშირებით, როგორც სჩანს, ოფიციალური წრეების ზეგავლენით, რუმინეთის პრესამ წამოაყენა საკითხი საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენის შესახებ.

როგორც რუმინეთის პრესა აცხადებს, საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენის წინასწარ პირობას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის მიერ იმის აღიარება, რომ ბესარაბია რუმინეთს ეკუთვნის.

„ლუპტა" აღნიშნავს, რომ რუმინეთი იძულებული გახდა შეერთებოდა ოქმს, ვინაიდან კავშირი აქვს პოლონეთთან, რომელიც დასთანხმდა საბჭოთა კავშირთან ეწარმოებია მოლაპარაკება ოქმზე ხელის მოწერის შესახებ.

ბესარაბიის გაზეთი „პოსტა" სწერს: „ბესარაბიის მრავალი ათი ათასი მცხოვრები, განუყრელად დაკავშირებული რუსეთთან, 11 წელიწადი ელის საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენას. დროა ხიდი გაიდოს ორ მეზობელს შორის თუნდაც საფოსტო-სატელეგრაფო კავშირის სახით".

ბესარაბიის გაზეთი „სლოვო" აღნიშნავს, რომ ოქმზე ხელის მოწერა მოასწავებს რუმინეთის მიერ საბჭოთა კავშირის ფაქტიურად ცნობას (ადს).

ლიტვის ოფიციოზი მოსკოვის ოქმზე ხელის მოწერის შესახებ

კოვნო, 11 თებერვალი. ლატვის ოფიციოზი „ლეტუვოს აიდას"-ი მოწინავე წერილს უძღვნის მოსკოვის ოქმზე ხელის მოწერას.

გაზეთი სწერს: „პოლონეთმა დამუქრებითა და ინტრიგებით აიძულა ლატვია და ესტონეთი მასთან ერთად მოეწერათ **ხელი ოქმზე. ამის** გამო, პოლონეთი თითქოს გამოვიდა ამ სახელმწიფოების პოლიტიკურ ხელმძღვანელის როლში. ლიტვა ისევ იმ აზრისაა, რომ ბალტიის სახელმწიფოებმ პოლონეთთან ერთად არ უნდა მიეღოთ მონაწილეობა ოქმზე ხელის მოწერაში, არამედ შემდეგში უნდა შეერთებოდნენ მას. (ადს).

რომის გაზეთები მოსკოვის ოქმის შესახებ

რომი, 11 თებერვალი. რომის ყველა გაზეთები უკომენტარიოდ ბეჭდავენ ცნობას მოსკოვის ოქმზე ხელის მოწერის შესახებ. (ადს).

დაწვრილებითი ცნობები ოქმზე ხელის მოწერის შესახებ

მოსკოვი, 12 თებერვალი. (დაგვიანებულია ადს-ის მიზეზით). 9 თებერვალს, საბჭოთა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში საბჭოთა კავშირის რწმუნებულმა ამხ. **ლიტვინოვმა**, ესტონეთის რწმუნებულმა, **სელიამამ**, ლატვიის —**ოზოლსმა**, პოლონეთის—**პატეკმა** და რუმინეთის—**დავილამ** ხელი მოაწერეს ოქმს კელოგის პაქტის ვადამდე ძალაში შესვლის შესახებ. 7 საათ. 20 წუთზე. ამხ; ლიტვინოვმა გახსნილად გამოაცხადა ოქმზე ხელის მოწერისათვის მოწვეული საზეიმო სხდომა. ამხ. ლიტვინოვმა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა, რომელსაც შემოკლებით ვათავსებთ:

„საკავშირო მთავრობას განზრახვა ჰქონდა წინადადება ოქმზე ხელის მოწერის შესახებ ერთდროულად მიეცა დასავლეთის ყველა მეზობლებისათვის. ეს შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ კავშირის ყველა მეზობელი ფორმალურად გახდებოდა პარიზის პაქტის მონაწილე. ამ მომენტის მოლოდინში საკავშირო მთავრობა თავის წინადადებას რამდენიმე თვის განმავლობაში სდებდა. მაგრამ როცა აღმოჩნდა, რომ კავშირის მეზობლების შეერთება კელოგის პაქტისადმი რამდენადმე ნელა სწარმოებს, მაშინ საკავშირო მთავრობამ საჭიროდ სცნო ჯერ იმ მეზობელი სახელმწიფოებისათვის მიემართა წინადადებით ოქმზე დაუყონებლივ ხელის მოწერის შესახებ, რომლებმაც უკვე მიიღეს კელოგის პაქტი, რათა შემდეგში ამ ოქმს შეერთებოდნენ დანარჩენი მეზობელი ან არა მეზობელი სახელმწიფოები, რომლებიც მოისურვებდნენ ამას. დოკუმენტი, რომელსაც ჩვენ დღეს ვაწერთ ხელს, განსაკუთრებული სახის, დოკუმენტია, შეიძლება ითქვას იგი ისტორიაში უმაგალითო საერთაშორისო აქტს წარმოადგენს. ამ ოქმის მონაწილენი, თვით ოქმის ძალით, არ კისრულობენ არავითარ ახალ ვალდებულებებს, ისინი კისრულობენ მხოლოდ იმას, რომ რაც შეიძლება დააჩქარონ მეორე დოკუმენტის ვალდებულებათა ძალაში შესვლა. მაგრამ ეს გარემოება სრულებითაც არ ამცირებს ამ დოკუმენტის როგორც საერთაშორისო აქტის, მნიშვნელობას ოქმის ყოველი მონაწილე ცალკ-ცალკე მთელი მსოფლიოს წინაშე კისრულობს იზრუნოს მშვიდობიანობის დასაცავად, რამდენადაც ეს დამოკიდებულია მასზე განსაზღვრულ გეოგრაფიულ მიდამოში და რაც უფრო მეტ საფრთხეს იწვევდა წინედ ეს მიდამო, მით უფრო საგრძნობია დღევანდელი დღის აქტიც.

რაც შეეხება საკავშირო მთავრობას, მისი წინადადება ოქმზე ხელის მოწერის შესახებ მხოლოდ ერთ-ერთი ნაწილია იმ ღონისძიებების, რომლებიც მიმართულია საყოველთაო მშვიდობიანობის და კერძოდ აღმოსავლეთ ევროპაში მშვიდობიანობის დამყარებისაკენ. საკავშირო მთავრობას მშვიდობიანობის ყველაზე უფრო სერიოზულ გარანტიად მიაჩნია განიარაღება, რომლის შესახებაც იგი წინადადებას აძლევდა და აძლევს ყველა ხალხებს. მხოლოდ განიარაღება წარმოადგენს იმ მორალურ და ფორმალურ ვალდებულებათა ნამდვილ გარანტიას, რომლებიც საჭიროა მშვიდობიანობის დასაცავად საერთაშორისო შეთანხმებათა მიხედვით. მეორეს მხრით, ყოველ საერთაშორისო შეთანხმებას აქვს ეფექტიური მნიშვნელობა, რამდენადაც იგი ხელს შეუწყობს განიარაღების იდეის დაჩქარებით განხორციელებას. საკავშირო მთავრობა, ხელმძღვანელობდა რა ამ მოსაზრებებით, თავის დროზე შეუერთდა კელოგის პაქტს, თუმცა მას სავსებით შეგნებული აქვს ის, რომ ეს პაქტი, საკმაო არ არის.

საკავშირო მთავრობის წინადადება ოქმზე ხელის მოწერის შესახებ უნდა განხილულ იქნეს, პირველ რიგში, როგორც მანიფესტაცია იმისა, თუ როგორ ძლიერ სურს საბჭოთა კავშირს მშვიდობიანობის დაცვა. ის გარემოება, რომ ჩვენს შორის ოქმზე ხელის მოსაწერად დელეგატად იმყოფება იმ სახელმწიფოს წარმომადგენელი, რომელთანაც საბჭოთა კავშირს არ აქვს ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა და რომელთანაც მას აქვს დიდი ხნის სერიოზული დავა, ეს გარემოება კიდევ მეტად მოწმობს საბჭოთა კავშირის მშვიდობიანობის მოყვარეობას.

ნება მომეცით გამოვსთქვა იმედი, რომ ამ ოქმის რატიფიკაციას ძალიან მალე მოახდენენ მისი ყველა მონაწილენი, რადგან რაც უფრო მალე მოხდება ეს რატიფიკაცია, მით უფრო მეტი იქნება ჩვენი აქტის მნიშვნელობა. ბატონებო, [illegible] წინადადებას შეუდგეთ ოქმზე ხელის მოწერას, ამასთანავე ნებას მივსცემ ჩემს თავს გამოვსთქვა რწმენა, რომ თქვენმა მთავრობებმა და თქვენმა ქვეყნებმა მიიღეს საბჭოთა წინადადება და ისინი ამ წინადადებას განახორციელებენ იმ სახით, როგორც იგი არის წარმოდგენილი".

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა პოლონეთის ელჩმა **პატეკმა**.

„დღეს,—სთქვა მან,—ხელს ვაწერთ იმ ოქმს, რომელიც წარმოადგენს ახალ ნაბიჯს ჩვენი მეზობლების დაახლოების გზაზე. ამავე დროს ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი საერთაშორისო უშიშროებისაკენ, რომელიც კელოგის პაქტის მიზანს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით მრავალმხრივ აქტს, რომელსაც ხელს ვაწერთ, დროებითი ხასიათი აქვს და აჩქარებს პარიზის ხელშეკრულების უშუალო პრაქტიკულ შედეგებს. მაგრამ მაშინაც კი, როცა კელოგის პაქტი ძალაში შევა, ჩვენი ოქმი სამუდამოდ დარჩება ისეთ დოკუმენტად, რომელიც ამტკიცებს ჩვენს გულწრფელ მისწრაფებებს და ცდებს საერთაშორისო მშვიდობიანობის განსახორციელებლად, ამიტომ ეს დოკუმენტი არასოდეს არ დაჰკარგავს თავის მნიშვნელობას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის საუკეთესო ურთიერთობის განვითარებისათვის. მე ვესალმები კელოგის პაქტის ავტორებს და იმ ოქმის ინიციატორებს, რომელსაც დღეს ვაწერთ ხელს, ვესალმები იმათ, ვინც აწერს ხელს ამ ოქმზე და აგრეთვე იმათ, რომლებიც მოისურვებენ შეუერთდენ მას".

რადგან პატეკის სიტყვის შემდეგ ოქმზე ხელის მოწერის არც ერთმა მონაწილემ არ აიღო სიტყვა, ამხ. ლიტვინოვმა შეიტანა წინადადება შემოწმებულ იქნას ოქმზე ხელის მომწერთა რწმუნებანი. ამხ. ლიტვინოვმა აღნიშნა, რომ ესტონეთის მთავრობას, ისევე როგორც ლატვიის მთავრობას, არ ჰქონდა საკმაო დრო იმისათვის, რომ თავისი წარმომადგენელნი, ოქმზე ხელის მოსაწერად გამოეგზავნა სათანადო რწმუნებით აღჭურვილი. მაგრამ ესტონეთის მთავრობამ თავისი წარმომადგენლის რწმუნებანი შეიტანა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში რეველში, რის შესახებაც მიღებულია სათანადო დეპეშა. რაც შეეხება ლატვიის წარმომადგენელს ოზოლსს, მისგან მიღებული იყო წერილი, რომელშიაც იგი იუწყება, რომ ლატვიის მთავრობამ დაავალა მას მოაწეროს ხელი ოქმს და მისი რწმუნებანი შეტანილ იქნება საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში რიგაში. ამხ. ლიტვინოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობისაგან რიგიდან დღემდე არ არის მიღებული ცნობა ოზოლსის რწმუნებათა იქ შეტანის შესახებ, მაგრამ მაინც წინადადება შეიტანა, რომ ესტონეთის და ლატვიის ორთავე წარმომადგენლის რწმუნებანი ცნობილ იქნეს ნამდვილად (სხდომის ბოლოს ჩვენი სრულუფლებიანი წარმომადგენლობისაგან რიგიდან მიღებულ იქნა დეპეშა, რომელიც ადასტურებს ოზოლსის რწმუნებებს).

რუმინეთის რწმუნებათა შესახებ ამხ. ლიტვინოვმა განაცხადა, რომ ამ რწმუნებებში აღნიშნულია, რომ რუმინეთის მთავრობა თავის წარმომადგენელს აძლევს რწმუნებას მოაწეროს ხელი ოქმს მხოლოდ საბჭოთა კავშირის და პოლონეთის წარმომადგენლებთან ერთად. რამდენადაც რუმინეთის მთავრობისათვის ცნობილი იყო, რომ ოქმს შეუძლია შეუერთდენ სხვა სახელმწიფოებიც, ამხ. ლიტვინოვმა შეიტანა წინადადება, რომ რუმინეთის წარმომადგენლის რწმუნებანი ცნობილ იქნას ნამდვილად, მიუხედავად იმისა, რომ ოქმზე ხელის მოწერაში მონაწილეობას იღებენ ესტონეთის და ლატვიის წარმომადგენელნი.

რწმუნებულებმა ოქმს ხელი მოაწერეს ფრანგული ანბანის რიგზე. პირველად ოქმს ხელი მოაწერა ესტონეთის რწმუნებულმა, მეორეთ—ლატვიის, მესამეთ—პოლონეთის, მეოთხეთ—რუმინეთის და მეხუთედ—საბჭოთა კავშირის რწმუნებულმა.

ხელის მოწერის შემდეგ ოქმი ზონარით შეჰკრეს და მასზე ხელის მომწერლებმა დაასვეს თავიანთი ბეჭდები. (ადს).

ჩვენი ეკონომიური ურთიერთობა ინგლისთან და საფრანგეთთან

ინგლისში ძლიერდება მოძრაობა სავაჭრო ურთიერთობის აღსადგენად საბჭოთა კავშირთან.—გერმანიის პრესის აზრით ინგლის-საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის მისწრაფება გამოწვეულია ინგლისის სახ. მეურნეობის კრიზისით.—საფრანგეთის პრესა მოითხოვს სავაჭრო ხელშეკრულების დადებას საბჭოთა კავშირთან.

შეკითხვები ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი, 11 თებერვალი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„კონსერვატორმა **გრატან დოილმა** თემთა პალატაში საზღვაო ვაჭრობის დეპარტამენტის უფროსს **ხეკინგს** მისცა შემდეგი შეკითხვა: მიიღო თუ არა მან წინადადება იმის შესახებ, რომ მის დეპარტამენტს რომელიმე მოხელე გაეგზავნა ინგლისის მრეწველთა იმ დელეგაციაში, რომელსაც ინგლის-რუსეთის კომიტეტი გზავნის საბჭოთა კავშირში?

ხეკინგმა შეკითხვაზე უარყოფითი პასუხი გასცა. შემდეგ ხეკინგს მისცეს ასეთი შეკითხვა: ვისგან უნდა მიიღოს დირექტივები ინგლისის საქმიანი წრეების დელეგაციამ? ხეკინგმა ამაზე უპასუხა, რომ მისი აზრით, ამ კითხვით მისთვის არ უნდა მიემართათ.

მუშათა პარტიის წევრი **ტინველი** შეეკითხა: სურს თუ არა საზღვაო ვაჭრობის დეპარტამენტს აღმოუჩინოს დახმარება დელეგაციას? ხეკინგმა უპასუხა, რომ დღემდე არავის უთხოვია ასეთი დახმარება. შემდეგ ტინველი შეეკითხა: ამტკიცებს თუ არა დელეგაციის გაგზავნა იმას, რომ **ინგლისის სავაჭრო-სამრეწველო წრეებმა უფრო მეტი კეთილგონიერება გამოიჩინეს, ვიდრე ინგლისის მთავრობამ.** ხეკინგმა ამ შეკითხვაზე არაფერი არ უპასუხა.

გერმანიის გაზეთები ინგლისის საბჭოთა კავშირთან დაახლოვების შესახებ

ბერლინი, 11 თებერვალი. „დეიტჩე ალგემეინე ცეიტუნგ"-ში გამოქვეყნდა წერილი იმის შესახებ, რომ **ინგლისში იზრდება მოძრაობა საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის სასარგებლოდ.** ამის შემდეგ „ბერლინერ ტაგებლატ"-ის სავაჭრო-სამრეწველო განყოფილებაში დაიბეჭდა წერილი, რომელიც ეხება „ამერიკის და ინგლისის დაახლოებას საბჭ. კავშირთან". გაზეთი სწერს, რომ ამერიკის ცდამ განაახლოს ურთიერთობა **საბჭოთა კავშირთან ერთგვარი გავლენა მოახდინა ინგლისის სახალხო მეურნეობის დამოკიდებულებაზე საბჭოთა პრობლემასთან**, გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს ცნობას, რომ განზრახულია ინგლისის მრეწველთა დელეგაციის გაგზავნა საბჭოთა კავშირში. გაზეთი ეყრდნობა ლონდონელი კორესპონდენტისაგან მიღებულ ცნობებს და აცხადებს, რომ **ინგლისის საქმიანი წრეები ცდილობენ პირველ რიგში მიიღონ დაკვეთები მანქანების საალმშენებლო მრეწველობისათვის და აგრეთვე მრეწველობისათვის, რომელსაც შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა კავშირში განზრახულ სხვადასხვა საზოგადოებრივ სამუშაოებში.**

„ინგლისის სამრეწველო წრეები— სწერს გაზეთი,— აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის კრედიტუნარიანობა გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე აქამდის ფიქრობდნენ, რის გამო საჭიროა საგრძნობლად გადიდებულ იქნეს კრედიტები, რომლებიც უნდა მიეცეს საბჭოთა მთავრობას".

„ბერლინერ ტაგებლატ"-ის აზრით, ეჭვს გარეშეა, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის მისწრაფება უმთავრესად ინგლისის სახალხო მეურნეობის კრიზისით არის გამოწვეული. (ადს).

ინგლისის გაზეთები საბჭოთა კავშირთან დაახლოების შესახებ

ლონდონი, 11 თებერვალი. კონსერვატიული გაზეთი „ობსერვერ" ეხება ინგლისის დელეგაციის მომავალ გამგზავრებას საბჭოთა კავშირში და სწერს:

„დელეგაციის გამგზავრება საბჭოთა კავშირში მოგვცემს მნიშვნელოვან ფაქტებს, რომელთა საფუძველზე უნდა ვაწარმოოთ საქმე. იქ, სადაც საქმეს ხელმძღვანელობს მრეწველობა დიპლომატიამ საჭიროა იხელმძღვანელოს მრეწველობის ინტერესებით". (ადს).

საფრანგეთი საბჭოთა კავშირთან დაახლოების შესახებ

პარიზი, 11 თებერვალი. ყოველდღიურმა ორგანომ „ეროპ ნუველ"-მა გამოაქვეყნა სრული ტექსტი გერმანია-საბჭოთა კავშირის შეთანხმების ოქმების, რომლებსაც ხელი მოაწერეს დეკემბერში.

იმავე ნომრის მოწინავე წერილში „ეროპ ნუველ"-ი ყურადღებას აქცევს საბჭოთა მთავრობის ეკონომიური მუშაობის გაცხოველებას, რაც გამოიხატა აღნიშნულ ოქმებში, ამერიკის ელექტრო კომპანიასთან დადებულ ხელშეკრულებაში და სხვ.

„ჟურნალ"-ი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეკონომიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან ფართოვდება, და აყენებს კითხვას: შეუძლია თუ არა საფრანგებს, რომელსაც მეოთხე ადგილი უკავია საბჭოთა კავშირთან ვაჭრობაში, დარჩეს უბრალო მაყურებლად და არავითარი მონაწილეობა არ მიიღოს ამ საქმეში. „ჟურნალ"-ი კითხულობს: მიზანშეწონილია თუ არა სავაჭრო ურთიერთობის მოწესრიგების დაკავშირება ვალების მოწესრიგებასთან.

„ეკონომიური ბრძოლა,—ნათქვამია მოწინავეში,—ჩვეულებრივად მიმართულია ბაზრების უზრუნველყოფისაკენ. რუსეთის და საფრანგეთის ეკონომიკა არც ერთ პუნქტში არ ეწინააღმდეგება ერთი მეორეს. აშკარაა, რომ სავაჭრო ხელშეკრულების უქონლობა ხელს უშლის საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის გაფართოვებას. უკვე დროა და საჭიროა დავიწყოთ მოლაპარაკება, პრაქტიკულ შეთანხმების მიღწევის მიზნით. ეს საქმე არ უნდა იქნეს დაკავშირებული მოლაპარაკების განახლებასთან ვალების შესახებ, რათა მომავალი მსხვერპლად არ შეეწიროს წარსულს". (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ბამბის საწმენდი ქარხანა ჭიათურაში

მოსკოვი, 12 თებერვალი. საკავშირო სახალხო მეურნეობის საბჭომ აღძრა შუამდგომლობა შრომისა და თავდაცვის საბჭოს წინაშე იმის შესახებ, რომ მთავარ საბამბო კომიტეტის განკარგულებაში დამატებით იქნას გადადებული 1.690.000 მანეთი, რომელიც მოხმარდება საბამბო მეურნეობის კაპიტალურ მშენებლობას.

საკავშირო სახალხო მეურნეობის საბჭო შუამდგომლობაში აღნიშნავს, რომ ხსენებული თანხის ერთი ნაწილი განზრახულია მოხმარდეს ბამბის საწმენდი ქარხნის აგებას ჭიათურაში.

„კლასიური მტერი საბჭოთა სახლებში"

მოსკოვი, 12 თებერვალი. „პრავდა"-ს დღევანდელ ნომერში მოთავსებულია სარედაქციო წერილი შემდეგი სათაურით: „კლასიური მტერი საბჭოთა სახლებში". გაზეთი ეხება იმ არანორმალურ მდგომარეობას, რომელიც შექმნილია ბევრ ნაციონალიზაციაქმნილ სახლში.

ის გარემოება, რომ სახელმწიფო და კოოპერატიულ სახლებში ცხოვრობენ ჩვენი აშკარა კლასიური მტრები, დიდათ აფერხებს საბინაო საქმის მოწესრიგებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სახლის მუშაკთა (კომენდანტები, მეეზოვეები, დამლაგებლები და სხვ.) შერჩევას. როგორც ვიცით, ზოგიერთ შემთხვევაში მდგომარეობა არც ამ მხრივ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად.

ამიტომ მორიგ ამოცანად უნდა იქნეს დასახული სახელმწიფო სახლებიდან საბჭოთა საზოგადოებრიობისათვის უცხო ელემენტების გამოსახლების დაჩქარება. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს სახლის მუშაკთა შემადგენლობის გაჯანსაღებას. საჭიროა მიღებულ იქნას ენერგიული ზომები იმისათვის, რომ სახლის მუშაკნი, განსაკუთრებით ადმინისტრატიული პერსონალი, საბჭოთა ინტერესებით გამსჭვალულ ხალხისაგან შესდგებოდეს.

კურორტის დირექტორთა საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 12 თებერვალი. გუშინ, 11 თებერვალს, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში გაიხსნა კურორტის დირექტორთა სრულიად საკავშირო ყრილობა. მოსმენილ იქნა მოხსენება საკურორტო მშენებლობის ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმის შესახებ. მოხსენების გარშემო გაცხოველებული კამათი გაიმართა, ორატორების უმრავლესობა აღნიშნავდა საკურორტო სეზონის გაგრძელების აუცილებლობას. თავის ამგვარ მოთხოვნილებას კამათში მონაწილენი ასაბუთებდენ როგორც მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ინტერესებით, ისე მატერიალური მოსაზრებებითაც. ის სამეურნეო ხარჯები, რომელთაც ადგილი აქვთ ყოველი სეზონის გახსნის წინ, ხშირად სრულიად არ მართლდება სეზონის დასრულების შემდეგ, რადგან სეზონის ხანმოკლეობა არ იძლევა კურორტით მიზანშეწონილად სარგებლობის სრულ შესაძლებლობას.

ყრილობამ მოიწონა საკურორტო მშენებლობის ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმა, რომელიც, სხვათა შორის, ითვალისწინებს საწოლების რიცხვის გადიდებას სახელმწიფო და ადგილობრივ კურორტებში 35.000-მდე. გარდა ამისა, დელეგატების ერთმა ჯგუფმა შეიტანა წინადადება იმის შესახებ, რომ მოსკოვის მახლობლად, სტრეშნევოში მოეწყოს კარლსბადის ტიპის კურორტი.

„იზვესტია" საქართველოს კინო-მრეწველობის სურათ „ბორა"-ს შესახებ

მოსკოვი, 12 თებერვალი. „იზვესტია"-ს დღევანდელ ნომერში მოთავსებულია ამხ. ვოლკოვის რეცენზია საქართველოს კინო-მრეწველობის სურათ „ბორა"-ს შესახებ. რეცენზენტი აღნიშნავს, რომ რეჟისორ მარჯანიშვილმა ვერ შესძლო სურათში იტალიის ილიუზიის მოცემა, რასაც ის მიზნად ისახავდა. ამავე დროს რეჟისორმა მეტად თეატრალურად გადმოგვცა საერთოდ ეფექტიური სცენები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ცნობას

ვენა, 11 თებერვალი. ბულგარეთის პრესა იუწყება, რომ პოლონეთსა და ბულგარეთს შორის დაიწყო მოლაპარაკება მეგობრული ხელშეკრულების დადების მიზნით. ამის გამო ბულგარეთის მუშათა პრესა აღნიშნავს, რომ პოლონეთი სცდილობს ჩაითრიოს ბულგარეთი ანტი-საბჭოთა ფრონტში. „რობოტნიჩესკოე დელო" მოითხოვს, რომ ბულგარეთის მთავრობამ იცნოს საბჭოთა კავშირი. გაზეთი მოუწოდებს მშრომელთ დაიცვან საბჭოთა კავშირი (ადს).

ბიუჯეტის მიღება სეიმის მიერ

ვარშავა, 12 თებერვალი. სეიმის მიერ ბიუჯეტის საბოლოო რედაქციით მიღება მეტად დამახასიათებელ პირობებში მოხდა. ოპოზიციამ თავი შეიკავა კენჭის ყრისაგან და ამით ფაქტიურად ხელი შეუწყო ბიუჯეტის მიღებას. კენჭის ყრისაგან თავი შეიკავეს პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ, პიასტმა და ენდეკებმა. წინააღმდეგ ხმა მისცეს უკიდურესმა მემარცხენეებმა, ნაციონალური ერთიანობის ფრაქციამ და გლეხთა კავშირმა. (ადს).

პოლონელი მოსამსახურენი გაფიცვით იმუქრებიან

ვარშავა, 12 თებერვალი. პოლონეთის სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების ყრილობამ (ვარშავაში) დაადგინა გამოაცხადოს გაფიცვა, თუ მთავრობამ განაგრძო მოხელეთა მოთხოვნებისადმი გულგრილად მოპყრობა. დელეგატების უმცირესობა მხარს უჭერდა გაფიცვის დაუყოვნებლივ გამოცხადებას. ყრილობის დამოკიდებულება მთავრობისადმი მტრული იყო. პრეზიდენტსა და პილსუდსკის ყრილობამ მისასალმებელი დეპეშები არ გაუგზავნა (ადს).

28 უკრაინელის პროცესი

ვარშავა 12 თებერვალი. 18 თებერვალს ლვოვში იწყება 28 ტარნოპოლელი უკრაინელის პოლიტიკური პროცესი. მათ ბრალდებათ ანტი-სახელმწიფოებრივი მუშაობა. დროგობიჩის მახლობლად ერთ-ერთ სოფელში დააპატიმრეს ადგილობრივი ადმინისტრაციის 21 მოსამსახურე. აღნიშნულმა პირებმა მონაწილეობა მიიღეს იმ რეზოლიუციის კენჭის ყრაში, რომელიც მოითხოვდა დამოუკიდებელი უკრაინის სახელმწიფოს შექმნას (ადს).

ინგლისი იარაღდება

ლონდონი, 11 თებერვალი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის მთავრობა ინგლისის საზღვაო პროგრამის მიხედვით იწყებს ორი ახალი კრეისერის აგებას. თითო კრეისერის წყალწყვა უნდა უდრიდეს 10.000 ტონას. (ადს).

უკრაინელ მუშურ-გლეხურ მოღვაწეთა დაპატიმრება

ვარშავა, 11 თებერვალი. კობრინის მაზრაში (პოლესიე) დააპატიმრეს უკრაინელი მუშურ-გლეხური მოღვაწენი. დაპატიმრებულთ ოხრანკაში საშინლად სცემეს (ადს).

პოლიტპატიმართა სიმშილობა

ვარშავა, 11 თებერვალი. ლვოვის საპატიმროს პოლიტპატიმრებმა (კომუნისტები და უკრაინელი ნაციონალისტები) გამოაცხადეს შიმშილობა ნიშნად პროტესტისა იმის წინააღმდეგ, რომ ადმინისტრაციამ სცემა საპატიმროში გამართულ დემონსტრაციის მონაწილეებს (ადს).

პარლამენტმა უარყო წინადადება მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ

ტოკიო, 11 თებერვალი. ორი დღის გაცხოველებული კამათისა და მრავალრიცხოვანი მღელვარე სცენების შემდეგ იაპონიის პარლამენტმა უარყო მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების წინადადება.

გაფიცულ მკერავთა დაპატიმრება

ნიუ-იორკი, 11 თებერვალი. პოლიცია განაგრძობს გაძლიერებულ ბრძოლას გაფიცულ მკერავთა წინააღმდეგ.

11 თებერვალს დააპატიმრეს 25 გაფიცული მათ შორის გაფიცულთა ორი ლიდერი—ციმერმანი და ზენგოლდი (ადს).

ამხ. აქსენტიევსკი სომხეთში

ერევანი, 12 თებერვალი. ერევანში ჩამოვიდა ამიერ-კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სარდალი ამხ. აქსენტიევსკი, რომელმაც ინახულა ერევნის კანაკირის და ეჩმიაძინის გარნიზონები, სადაც დეტალურად გაეცნო წითელი არმიის ნაწილების ცხოვრებას.

ზემოაღნიშნულ გარნიზონების პოლიტშემადგენლობის კრებაზე აქსენტიევსკი გამოვიდა ვრცელი მოხსენებით მებრძოლის მომზადების მორიგ ამოცანების შესახებ.

გაზეთ „კარმირ აზნივორ"-ის („წითელი მეომარი") თანამშრომელთან საუბარში ამხ. აქსენტიევსკიმ აღნიშნა, რომ სომხეთის მსროლელი დივიზიის ნაწილებმა მასზე საუკეთესო გავლენა მოახდინეს (ადს).

მღელვარება სიმშილის ნიადაგზე

ვენა, 11 თებერვალი. ბესარაბიისა და ბუკოვინის გაზეთები იუწყებიან, რომ უკანასკნელ დროს ბესარაბიაში გახშირდა მღელვარება სიმშილის ნიადაგზე.

როგორც იუწყება სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ფორვერტს"-ი, რომელიც ჩერნოვიცში გამოდის, როდესაც კიშინოვში დამშეულებს შეუწყდათ სასურსათო დახმარების მიცემა, მათ გაანადგურეს საზოგადოებრივი სამზარეულოები. (ადს).

კრედიტები საბჭოთა კავშირს

კრედიტების ვადის გაგრძელება

ვენა, 11 თებერვალი. ქალაქის თვითმმართველობაში ხელი მოაწერეს ოქმს, რომლის მიხედვითაც გარანტიების ვადა უნდა გაუგრძელდეს ვენის თვითმმართველობის მიერ საბჭოთა კავშირისათვის მიცემულ კრედიტებს. კრედიტის პირველ ნაწილიდან დარჩენილ 10 მილ. შილინგის (2.800.000 მანეთამდე) გამოყენების ვადა გაგრძელებულია 1930 წლ. 30 ივნისამდე. დანარჩენ 40 მილ. შილინგის (11.200.000 მანეთამდე) გამოსაყენებლად დაკვეთები მიცემულ უნდა იქნას არა უგვიანეს 1929 წლ. 31 დეკემბრისა. ანგარიშის გასწორების უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 1932 წლ. 31 დეკემბერი (ადს).

პოლონელი მუშები აღშფოთებულნი არიან ცესინსკის მოკვლით

ვარშავა, 11 თებერვალი. აღშფოთება, რომელიც მუშათა მასებში გამოიწვია მუშა ცესინსკის მოკვლამ ლოძის ფაბრიკის დირექტორის კონის მიერ, უფრო და უფრო ძლიერდება. პოლიცია და საგამომძიებლო ხელისუფლება ამ საქმეს ხატავდნენ ისე, ვითომც ცესინსკი კონს დაესხა თავს მოკვლის მიზნით; პოლიციის და საგამომძიებლო ხელისუფლებას ამის საბუთად მოჰყავს ის, რომ ცესინსკის და კონს შორის მომხდარ სროლაში კონი მოკლულ იქნა. მაგრამ ცესინსკიმ, რომელიც ამ სროლაში მიღებული ჭრილობებისაგან გარდაიცვალა, სიკვდილის წინ კატეგორიულად განაცხადა, რომ დირექტორმა კონმა პირველმა ამოიღო რევოლვერი და რევოლვერები ერთსა და იმავე დროს იქნა გასროლილი ორივე მხრივ. ლოძის მუშებმა საგრძნობი თანხა შეაგროვეს ცესინსკის ოჯახის სასარგებლოდ. მასების სულისკვეთების ზეგავლენით პოლონეთის სოც. პარტიის ლოძის ორგანიზაციის ორგანომ მოათავსა წერილი ასეთი სათაურით: „ალბერტ კონი—ედუარდ ცესინსკის მკვლელი", მაგრამ გაზეთის ნომერს კონფისკაცია უყო ხელისუფლებამ. (ადს).

განხეთქილება გერმანელ პაციფისტებს შორის

ბერლინი, 11 თებერვალი. გუშინ გაიმართა გერმანელი პაციფისტების ხელმძღვანელი ორგანიზაციის—„დოიჩე ფრიდენსგეზელშაფტ"-ის საგანგებო კრება. საზოგადოების მემარცხენე ფრთამ (ეს ფრთა ილაშქრებს სამხედრო ბეგარის მოხდის წინააღმდეგ) გაიმარჯვა ომის თეორეტიულ მოწინააღმდეგეთა ფრთაზე და საზოგადოება გაითიშა. არჩეულია ახალი გამგეობა გენერალ შენაიხის მეთაურობით. (ადს).

დემონსტრაცია ლუიზა მიშელის ხსოვნის აღსანიშნავად

პარიზი, 11 თებერვალი. 10 თებერვალს კომპარტია ლუიზა მიშელის ხსოვნის აღსანიშნავად მოაწყო დემონსტრაცია მის საფლავთან (ლუიზა მიშელი—პარიზის კომუნის მოღვაწე იყო). სასაფლაოზე თავი მოიყარეს პოლიციის თვალსაჩინო ძალებმა, მაგრამ დემონსტრაცია უინციდენტოთ ჩატარდა. სიტყვები წარმოსთქვეს კომუნისტმა დეპუტატებმა კლამამიუსმა, სემარმა და ბოშუმ, რომლებმაც აღნიშნეს, რომ კომუნის საქმის ერთად-ერთი განმგრძობია კომპარტია, სოციალისტები კი მუშათა კლასს ღალატობენ კაპიტალის სასარგებლოთ. (ადს).

ბორდოს მელითონეთა გაფიცვა გრძელდება

პარიზი, 11 თებერვალი. მელითონეთა გაფიცვა ბორდოს გემთსაშენებელში გრძელდება, მიუხედავად იმისა, რომ დამქირავებლები გაფიცულებს დაემუქრნენ: ვინც 11 თებერვალს სამუშაოზე არ გამოცხადდება, დათხოვნილი იქნებაო, გაფიცვის გავლენით ბორდოს ლითონის, ტყავეულობის და ქიმიური მრეწველობის ზოგიერთი საწარმოებში მუშებმა მოითხოვეს ხელფასის გადიდება.

„იუმანიტეს" ცნობით, **ჯარისკაცებმა, ოფიცრების მუქარის მიუხედავად, ტაში დაუკრეს გაფიცულ დემონსტრანტებს, რომლებიც ანტი-მილიტარისტულ სიმღერებს ამბობდნენ.** (ადს).

გერმანელ რეფორმისტების გამთიშველი პოლიტიკა

ბერლინი, 11 თებერვალი, მემარცხენე ოპოზიციის გავლენის გაძლიერებამ გერმანიის მელითონეთა კავშირში გამოიწვია ის, რომ კავშირის ხელმძღვანელმა რეფორმისტებმა გადადგეს პირველი ნაბიჯი პროფკავშირებში განხეთქილების მოსახდენად.

ბერლინის მელითონეთა კავშირის გამგეობაში რეფორმისტებმა შეიტანეს წინადადება, რომლის თანახმად გამგეობამ უნდა სთხოვოს მელითონეთა სრულიად გერმანიის კავშირის პრეზიდიუმს მიიღოს დადგენილება, რომ გერმანიის მელითონეთა კავშირის არც ერთი წევრი არ შეიძლება არჩეულ იქნეს რაიმე თანამდებობაზე პროფკავშირში ან შეინახოს თავისი თანამდებობა, თუ ის არ იძლევა წერილობით ვალდებულებას—ენერგიულად ებრძოლოს კომპარტიის დირექტივებს საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების არჩევნებთან დაკავშირებით. დადგენილებაში უნდა იყოს ნათქვამი აგრეთვე, რომ კავშირის ყველა წევრი, რომელიც მხარს უჭერს კომპარტიის დირექტივებს, გამორიცხულ იქნება კავშირიდან.

მელითონეთა ცენტრალური კავშირის რწმუნებულმა ურიხმა განაცხადა, რომ მელითონეთა სრულიად გერმანიის კავშირის გამგეობა ამ წინადადების გარეშეც მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებას. (ადს).

საბერძნეთის პროფკავშირთა ყრილობა

ათინა, 11 თებერვალი. საბერძნეთის პროფკავშირთა გაერთიანებულმა ყრილობამ დაამთავრა თავისი მუშაობა.

ყრილობამ მიიღო საბერძნეთის შრომის უნიტარული კონფერენციის წესდება და აირჩია ფედერაციის აღმასკომი. ყრილობის დამთავრების წინ სოციალ-ფაშისტებმა ყრილობაზე მუშტი-კრივი გამართეს იმ იმედით, რომ ეს გამოიწვევდა ყრილობის დაშლას ხელისუფლების მიერ. 30-მდე დელეგატი დაჭრილია ტყვიით და დანებით. მაგრამ ყრილობამ მაინც დაამთავრა თავისი მუშაობა. (ადს).

გაფიცვა ზემო-სილეზიაში გადაიდო

ვარშავა, 11 თებერვალი. მთავრობის წარმომადგენელთა და აგრეთვე რეფორმისტული პროფკავშირების ბელადების ზეგავლენით გადაიდო ზემო-სილეზიის რაიონის მემაღაროეთა გაფიცვა, რომელიც 11 თებერვლისათვის იყო დანიშნული. გაფიცვა გადაიდო იმ დრომდე, სანამ არ დამთავრდება მოლაპარაკება მთავრობის საშუამავლო კომისიასა და მრეწველებს შორის. (ადს).

გემ „ალბანია"-ს ავარია

ვენა, 11 თებერვალი. გაზეთი „კუვანტულ"-ი იუწყება, რომ რუმინეთის ნაპირებთან ავარია განიცადა იტალიის გემმა „ალბანია"-მ, რომელიც ოდესიდან სტამბოლში მიდიოდა. გემზე იყო რამდენიმე ასი საბჭოთა მგზავრი. როდესაც გემმა დახმარება ითხოვა, რუმინეთის ნავთსადგურების ხელისუფლების ორგანოებმა ამის საპასუხოდ განაცხადეს, რომ წინასწარ უნდა მოითხოვონ ბუქარესტისაგან ინსტრუქციები საბჭოთა მოქალაქეთა ნაპირზე გადმოსხმის შესაძლებლობის შესახებ.

ბუქარესტის ხელისუფლებამ დაადგინა მისცეს მგზავრების გადმოსვლის ნებართვა, მაგრამ საბჭოთა მოქალაქენი კარანტინში ჩააყენონ (ადს).

პარტიაში

ტროცკისტულ ოპოზიციის წინააღმდეგ

(წერილი სენაკიდან)

2 თებერვალს სამაზრკომის საორგ. განყოფილებამ მოიწვია ქალაქის პარტაქტივის თათბირი, კომკავშირის უჯრედების მდივნების თანდასწრებით, სადაც მოსმენილ იქნა ინფორმაცია ტროცკისტულ ოპოზიციის უკანასკნელ ნაბიჯებზე საერთოდ საბჭოთა კავშირში და კერძოდ სენაკის მაზრაში.—როგორც წინად გვქონდა აღნიშნული საბჭოების საანგარიშო კამპანიის დროს ზოგიერთ თემებში ადგილი ჰქონდა როგორც მენშევიკურ ისე ტროცკისტულ ოპოზიციის გამოსვლებს. ტროცკისტები და მენშევიკები ერთნაირად ილაშქრებდნენ ჩვენი პარტიის და ხელისუფლების პოლიტიკის წინააღმდეგ, სადემაგოგიოდ და საპროვოკაციოდ იყენებდნენ ჩვენს დროებით სამეურნეო დაბრკოლებებს.

უკანასკნელ ხანებში, ჩვენს მაზრაშიაც გამოცოცხლდა ტროცკისტულ ოპოზიციის მუშაობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია პარტიიდან გამორიცხულ ტროცკისტების თავხედობა, რომლებიც აშკარად, ხულიგნურად გამოდიან ქუჩაში და იწვევიან პროვოკაციას ჩვენი პარტიის წინააღმდეგ.

აქტივმა აღშფოთება გამოსთქვა ტროცკისტების უკანასკნელ მოქმედებათა გამო და ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნა, რომ „ტროცკისტული ოპოზიცია აშკარად გადაიქცა პროლეტარულ დიქტატურის დაუნდობელ მტრად, მენშევიკურ-კონტრრევოლიუციონურ ორგანიზაციად, რომელიც კომ. პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართავს ყოველგვარ არალეგალურ საშუალებებს და პროვოკაციას".

თათბირმა სავსებით მოიწონა თბ. გაუსწორებელ, გათავხედებულ ტროცკისტების დატუსაღება მოსკოვში და მოითხოვა კვლავ სასტიკი ზომების მიღება. ტროცკისტების ყოველგვარ ანტისაბჭოთა ცდების საბოლოოდ აღსაკვეთად და ამავე დროს ენერგიული ბრძოლის წარმოება. შემარიგებლობის, მემარჯვენე და ყოველგვარ მავნე გადახრების წინააღმდეგ.

თათბირმა საჭიროდ ჩასთვალა განმეორებითი ახსნა-განმარტებითი კამპანიის ჩატარება ქალაქის და თემის ორგანიზაციებში მემარჯვენე გადახრების, ტროცკისტულ ოპოზიციის და მათთან შემარიგებლობასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით.

თემებში საბჭოების არჩევნების ჩასატარებლად მივლინებულ ამხანაგების საშუალებით დამუშავებულ იქნება საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის შედეგები.

დაევალა ა. ლ. კ. კ. მაზრკომს, აღნიშნული საკითხები დაამუშაოს კომკავშირის ორგანიზაციებში.

გაფრთხილებულია ქალაქის და თემის ორგანიზაციები მიიღონ ზომები მალულ ოპოზიციონერების გამოსამჟღავნებლად და საქ. ცეკას და საქ. ცენტრ. საკონტრ. კომისიის მითითებათა თანახმად აწარმოონ წინასწარ მოსამზადებელი მუშაობა პარტიის რიგების წმენდისათვის.

თათბირმა აღნიშნა, რომ ჩვენს რიგებში მოიპოვებიან ისეთი ამხანაგები, რომელთა მოქმედება მემარჯვენე გადახრის ან მასთან შემარიგებლობის გამოხატულებაა: სასოფლო-სამეურნეო გადასახადის არა სათანადოთ შეფასება. სუსტი ყურადღება შავი სიების შედგენისა და კულაკებთან ბრძოლის საკითხებისადმი, მუდმივი კავშირი არასასურველ ელემენტებთან, აშკარა ლოიალობა და არაამხანაგური დამოკიდებულება სხვადასხვა ოპოზიციონერებთან და სხვა.

თათბირმა მიუთითა უჯრედების ბიუროებს და თემკომებს დაწვრილებით შეისწავლონ პარტიის წევრის და კანდიდატის მოქმედება და კონკრეტიულად დასვან საკითხი მათი არაკომუნისტური საქციელის შესახებ.

თათბირმა ხაზი გაუსვა აგრეთვე იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერების აუცილებლობას გადახრებთან ნაყოფიერი ბრძოლისათვის.

მ. ბარამია.

ლენინის და საგნობრივ წრეების მსმენელთა თათბირი

გუშინ, საქშიან კლუბის დარბაზში შესდგა თბილისის საგნობრივ და ლენინურ წრეების მსმენელთა საერთო საქალაქო კონფერენცია.

პარტ-მეცადინეობის ამოცანებზე და საგნობრივ და ლენინურ წრეების მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის წარმომადგენელმა ამხ. ალ. მდივანმა.

პარტიული განათლების ამოცანები,—ამბობს მომხსენებელი,—დღევანდელ გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლის პირობებში განისაზღვრება სოციალისტური აღმშენებლობის ძირითადი ამოცანებით. მე-15 პარტყრილობის პირდაპირი დირექტივა—ფართედ გაიშალოს პარტ-განათლების ქსელი და გაუმჯობესდეს პარტიული ხელმძღვანელობა მისი მუშაობისადმი. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ პარტგანათლების საქმე ჩვენში ჯერ კიდევ არა სდგას თავის სიმაღლეზე. პარტიული მასა და უპარტიო აქტივის საუკეთესო ნაწილი არ არის ჩაბმული საბჭოთა პარტიულ სკოლებში, საგნობრივ და ლენინურ წრეებში და სხვ. არ გვყავს მომზადებულ ხელმძღვანელთა საკმაო კადრი, სუსტად არის დაყენებული სკოლების და წრეების მეთოდიური მუშაობა და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ მსმენელთა დასწრება მეცადინეობაზე საკმაოდ მოიკოჭლებს.

თბილისში საგნობრივ და ლენინურ წრეების მუშაობის სურათი ასეთია:

ლენინურ რაიონში დაარსებულია 4 ლენწრე 58 მსმენელით (მათ შორის 12 უპარტიოა) ს.კ.პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრე 5—114 მსმენელით, (22 უპარტიო); ორი პოლიტეკონომიის შემსწ. წრე—38 მსმენელით და ერთი მუშა-პროპაგანდისტთა წრე—13 მსმენელით. მსმენელთა დასწრება ამ რაიონში საშუალოდ 55—60 პროცენტს უდრის.

ქალაქის რაიონში დაარსებულია 10 ლენწრე—172 მსმენელით, ს.კ.პ.(ბ) ისტორიის შემსწავლელი 5 წრე—111 მსმენელით, ეკონ. პოლიტიკის ერთი წრე—12 მსმენელით და ერთი მუშა-პროპაგანდისტთა წრე 12 მსმენელით. დასწრება 50—55 პროცენტი.

„26 კომუნარის" რაიონში მუშაობს 6 ლენწრე 108 მსმენელით, ს.კ.პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრე სამი—70 მსმენელით, ერთი ისტორიული მატერიალიზმის წრე 25 მსმენელით და ორი მუშა-პროპაგანდისტთა წრე—30 მსმენელით.

სულ ყველა წრეებში ჩაბმულია 663 მსმენელი.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ეგიაზაროვმა, ჭელიძემ, ჩაჩუამ, ბელოვმა, დიდებაშვილმა, გამსახურდიამ, ბერიძემ, ძაღლიძემ და სხვ.

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ კამპანია პარტ-განათლების საკითხებზე სუსტად ჩატარდა, რამაც თავისი დაღი დაასვა პარტგანათლების საქმეს.

პარტიის წევრებისათვის სამოსწავლო წლის დასაწყისში გაურკვეველი იყო წრეების მიზნები და ამოცანები, რის გამოც წრეებში მოხვდნენ ისეთი ამხანაგები, რომლებიც სრულიად შეუფერებელნი არიან იქ მეცადინეობისათვის. წრეებს არ აქვთ შესაფერი ბინა, გათბობა და საჭირო მოწყობილობა. წრეები განიცდიან ლიტერატურის ნაკლებობასაც, 30 მსმენელს უხდება ორი წიგნით ხელმძღვანელობა; მეთოდიური მუშაობა წრეებში საგრძნობლად მოისუსტებს, მეცადინეობის დროს თეორია და პრაქტიკა არ უკავშირდება ერთმანეთს და სხვ.

კონფერენციამ მოხსენების გამო მიიღო რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია:

„სისტემატიურად იწვევოდეს საგნობრივ და ლენინურ წრეების ხელმძღვანელთა და მამასახლისთა თათბირები პოლიტგანათლების საკითხებზე; მიექცეს მეტი ყურადღება წრეების ხელმძღვანელთა შერჩევას და მათს მომარაგებას საჭირო ლიტერატურით; მიღებულ იქნეს ზომები, რათა წრეების მსმენელნი განტვირთულნი იქნენ სხვა დავალებებიდან, გაძლიერდეს მუშაობა წრეების ჩამორჩენილ მსმენელთა შორის და სხვ.".

რეზოლიუციის მიღების შემდეგ კონფერენცია დაიხურა.

თბ. ორგანიზაციის რაიკომებში

წითელ ყაზარმების დათვალიერება

ს.კ.პ. (ბ) ლენინის რაიკომის პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება წითელ ყაზარმების დათვალიერების შესახებ. პრეზიდიუმმა აღნიშნა სუსტი ხელმძღვანელობა, როგორც პარტიულ, ისე პროფესიონალურ და სამეურნეო ორგანიზაციების მხრით წითელ ყაზარმების დათვალიერების საქმეში, აგრეთვე ის, რომ წითელ არმიის ნაწილებმა თავის დროზე არ წამოაყენეს საკითხი ყაზარმების დათვალიერების შესახებ.

პრეზიდიუმმა საჭიროთ ჩასთვალა, რომ ყველა წარმოებაში და დაწესებულებებში ჩამოყალიბებულ იქნას კომისიები პარტიის, პროფკავშირის, ადმინისტრაციის და კომკავშირის წარმომადგენლებისაგან, რომელთაც დაევალოს ყაზარმების მდგომარეობის წინასწარი გამოკვლევა და ხელმძღვანელობა ყაზარმების მასიური დათვალიერების და მასთან სამოქალაქო ორგანიზაციების კავშირის განმტკიცების საქმისადმი. (ექსკურსიების და სალამოების მოწყობა და სხვ.).

ნებაყოფლობით პრინციპზე მოწყობილ იქნას მუშებისა და ხელოსნების „კვირეული" ყაზარმების შეკეთების მიზნით.

მუშა-მოსამსახურეთა კრებებზე მოსმენილ იქნას სამხედრო ნაწილების წარმომადგენლების მოხსენებები წითელ არმიელთა მდგომარეობაზე და ყოფა-ცხოვრებაზე. აგრეთვე წითელ არმიელების კრებაზე დასმულ იქნას საფაბრიკო-სამეურნეო ორგანიზაციების საანგარიშო მოხსენებები.

არმიასთან კავშირის შესახებ

(„26 კომუნარის" რაიკომში)

ამ დღეებში „26 კომუნარის" რაიკომში შესდგა სამხედრო და სამოქალაქო ნაწილების პარტუჯრედთა მდივნების თათბირი მიმაგრებულ ამხანაგებთან ერთად. თათბირზე მოსმენილი იქნა ამხ. ადამაძის მოხსენება წითელ არმიასთან კავშირის გამოკვლევის შედეგებზე.

მოხსენების ირგვლივ—თათბირმა გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს წითელ არმიის ნაწილებს და სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის კავშირის განმტკიცებას.

მოგვყავს ღონისძიებათა ზოგიერთი პუნქტი: ჩაბმულ იქნენ სამოქალაქო ორგანიზაციები სამხედრო მშენებლობის და წითელ არმიის ყოფა-ცხოვრების საქმეში; სამოქალაქო და სამხედრო ნაწილებს შორის კავშირის განმტკიცებისათვის სწარმოებდეს მუშაობა, როგორც პარტიული, ისე წარმოებისა და სამხედრო ნაწილების ხაზით; არ არის საკმაო ურთიერთ შორის კავშირის განმტკიცებისათვის მხოლოდ წარმომადგენლობითი სისტემა, მომავლისათვის სამოქალაქო და სამხედრო ნაწილებს შორის მუშაობას უნდა მიეცეს მასიური ხასიათი, რისთვისაც საჭიროა იწყობოდეს სამხედრო და სამოქ. პარტუჯრედების გაერთიანებული კრებები 3 თვეში ერთხელ მაინც. სხვადასხვა დღესასწაულების დროს უნდა მოეწყოს საერთო საზეიმო კრებები მუშებისა წითელ არმიელებთან ერთად. მუშათა კრებებზე ტარდებოდეს მოხსენებები წითელ არმიის ყოფა-ცხოვრების და მოსახლეობის გასამხედროების საკითხებზე. წითელ არმიელთა კრებებზე კი უნდა ჩატარდეს მოხსენებები სამეურნეო მშენებლობის და მუშათა ყოფა-ცხოვრების შესახებ. ორგანიზაციებმა უნდა მოაწყონ დახმარება წითელ არმიელების კულტურულ მშენებლობის საქმეში, ყაზარმის კეთილმოწყობაში და სხვ..

აღნიშნულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გასატარებლად მიეცა წინადადება უჯრედებს, რომ მათ შეიტანონ სამუშაო გეგმაში საკითხები წითელ არმიასთან კავშირის შესახებ

გარდა ამისა თათბირმა აღნიშნა სუსტი კავშირი წითელ არმიის ნაწილებსა და პროფესიონალურ და კომკავშირის ორგანიზაციებს შორის.

ობრეგონის მკვლელის სიკვდილით დასჯა

ნიუ-იორკი, 11 თებერვალი. მექსიკიდან იუწყებიან, რომ 11 თებერვალს სიკვდილით დასაჯეს პრეზიდენტ ობრეგონის მკვლელი ტორალი. ტორალის დასაფლავებაზე თავი მოიყარა 100.000 კათოლიკმა. პროცესიას პოლიცია იცავდა. კათოლიკებსა და პოლიციას შორის მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც სამი კაცი მოკლეს და 30 დასჭრეს. (ადს).

თავდასხმა მექსიკის პრეზიდენტ პორტეს ხილზე

ნიუ-იორკი, 11 თებერვალი. მექსიკიდან იუწყებიან, რომ უცნობი პირები თავს დაესხენ მექსიკის პრეზიდენტ პორტეს ხილს. პორტეს ხილი უვნებლად გადარჩა. თავდამსხმელები ვერ აღმოაჩინეს. პრესა თავდასხმას ობრეგონის მკვლელის სიკვდილით დასჯას უკავშირებს. (ადს).

საბჭოთა მეურნეობის მუშაკების გამგზავრება ამერიკაში

მოსკოვი, 12 თებერვალი. 25 თებერვალს ამერიკაში მიემგზავრება მსხვილი მარცვლეული საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა პირველი ჯგუფი ხუთი კაცის შემადგენლობით. მათი გამგზავრების მიზანია მარცვლეული მეურნეობის ხელმძღვანელობის უახლოესი მეთოდების შესწავლა. მუშაკების მეორე ჯგუფი მარტის შუა რიცხვებში გაემგზავრება. (ადს).

საკავშირო პროფსაბჭოს განმარტება

მოსკოვი, 12 თებერვალი. საკავშირო პროფსაბჭო განმარტავს, რომ პროფკავშირების წევრები, რომლებსაც წაერთვა საარჩევნო უფლება, პროფკავშირების რიგებში რჩებიან მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში. ამ ხნის განმავლობაში მათ შეუძლიათ მიიღონ ზომები საარჩევნო უფლების აღსადგენად. ერთი წლის შემდეგ საარჩევნო უფლებას მოკლებულნი გამორიცხულ იქნებიან პროფკავშირებიდან. (ადს).

უკრაინელ მწერალთა დელეგაცია მოსკოვში

მოსკოვი, 12 თებერვალი. 9 თებერვალს ჰერცენის სახლში გაიმართა უკრაინელ მწერალთა ამხანაგური შეხვედრა რუსეთის ლიტერატორებთან. დამსწრეთა შორის იყვნენ: უკრაინელ მწერალთა მთელი დელეგაცია და ამხ. კერჟენცევი, კამენევა, ბელა ილეში, მატე ზალკა, ლეონოვი, ოლეშა, ლიდინი, მაიაკოვსკი, ასეევი და სხვ., და აგრეთვე ლენინგრადელი მწერლების დელეგაცია.

მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. კერჟენცევმა და სხვებმა.

უკრაინელ მწერალთა სახელით საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ეპიკმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აუცილებელია კულტურული კავშირის განმტკიცება საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებს შორის.

სიტყვების შემდეგ თავიანთი ნაწარმოებები წაიკითხეს უკრაინის და რუსეთის მწერლებმა.

როგორ უნდა ჩავატაროთ თესვის კამპანია

ყველა სამაზრო აღმასკომს

ცირკულიარულად

გაზაფხულის თესვის კამპანიის ჯეროვანი ჩატარება არის პოლიტიკური და ეკონომიური ამოცანა, რომლის სათანადო გადაჭრა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საბჭოთა საზოგადოებრიობის ძალების მთელი დაჭიმვით.

საქართველოში ამ კამპანიას აქვს მით უფრო დიდი მნიშვნელობა, რომ წინა წლების მოუსავლობის შედეგად ჩვენში ადგილი ჰქონდა ნათესების რამოდენიმედ შემცირებას. ა. კ. მთავრობამ გაითვალისწინა აღნიშნული გარემოება და საჭიროდ სცნო წელს გაზაფხულის ნათესების ფართობის საქართველოში გადიდება 8,5 პროცენტით მაინც. ამასთან ერთად, მთავრობამ მიიღო სადირექტივო დადგენილება, რომლის თანახმად ჩვენ წელს თესვის კამპანიასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა ჩატარების შედეგად უნდა მივიღოთ მოსავლიანობის ზრდა 1,5 პროცენტით.

აუცილებლად საჭიროა, რათა თესვის კამპანიამ უზრუნველჰყოს აღნიშნულ დირექტივების განხორციელება მთელი 100 პროცენტით. გაზაფხულის თესვის კამპანია უნდა გახდეს პირველ რეალურ და მნიშვნელოვან ნაბიჯად მოსავლიანობის გადიდებისა და საერთოდ სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარების შესახებ. საკავშირო ცაკის დადგენილების განხორციელების დარგში. ამის მიღწევა შესაძლებელი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომავალ კამპანიაში აცდენილი იქნება ყველა ის დეფექტი, რომელთაც ადგილი ჰქონდა წინანდელი კამპანიების ჩატარების დროს. ამ კამპანიის მთავარი დეფექტები მდგომარეობდნენ შემდეგში:

წინა კამპანიების დეფექტები

1. კამპანიის ჩატარებისათვის საჭირო მატერიალურ საშუალებათა რეალური ოდენობა ირკვევოდა შედარებით გვიან და იცვლებოდა თვით კამპანიის ჩატარების დროსაც, რის გამო ცენტრის ხელმძღვანელობა ყოველთვის არ იყო სათანადოთ მკაფიოდ წარმოებული.

2. აღნიშნული გარემოება ხშირად აყენებდა ადგილობრივ მომუშავე ორგანიზაციებს უხერხულ მდგომარეობაში, რადგან მუშაობის პროცესში მათ უხდებოდათ დასახულ გეგმების ხშირი შეცვლა და გადამუშავება.

3. ამასთან ერთად ზოგან ადგილებზე არ იყო სავსებით გაგებული კამპანიის მნიშვნელობა და ამიტომ ნაწილობრივ არ იყო გამოჩენილი სათანადო აქტიობა

4. კამპანიის დროს დარიგებული ხორბალი და სიმინდი თავის უდიდეს ნაწილში არ იყო გამოსადეგი სათესლე მასალად. ამასთან ადგილებზე არ იყო სათანადო მასშტაბით წარმოებული მიღებული მასალის გაცვლა ადგილობრივ სათესლე მასალაზე ამ უკანასკნელით უღარიბეს მოსახლეობის უზრუნველსაყოფად.

5. მანქანა-იარაღების გლეხობის უღარიბეს ფენებში გავრცელებას ნაწილობრივ ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ სათანადო კრედიტების გაცემისათვის დაწესებული შეღავათიანი პირობები ზოგ შემთხვევაში არ იყო სავსებით დაცული.

6. სარემონტო სახელოსნოების მეტად მცირე ქსელი და რთული მანქანა-იარაღების მიმართ ინსტრუქტაჟის სიმცირე.

7. ტრაქტორების საწვავი და საზეთ მასალების ზოგიერთ რაიონებში თავის დროზე მიუწოდებლობა.

8. აგროქსელის, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მამულების მანქანა-იარაღების არა საკმაო დატვირთვით გამოყენება, კერძოდ ყოველგან არ იყო განხორციელებული დირექტივა იმის შესახებ, რომ საბჭოთა მამულების და კოლმეურნეობათა ინვენტარი თავის მეურნეობაში მუშაობის დამთავრების შემდეგ გამოყენებული ყოფილიყო გლეხურ მეურნეობათა საჭიროებათათვის.

9. განსაკუთრებით უნდა გაუსვათ ხაზი ტრიერების და ტრაქტორების არა სრული დატვირთვით გამოყენებას.

10. თესვის კამპანიასთან დაკავშირებით გაცემული კრედიტები ნაწილობრივ არ იყო მიზნობრივად გამოყენებული.

თესვის კამპანიის ჩამტარებელ რესპუბლიკანური კომისია იღებს თავის მხრივ ზომებს, რათა კამპანიის ჩატარება უზრუნველყოფილ იქნეს საჭირო მატერიალურ საშუალებებით.

კამპანიის ხელმძღვანელობა ადგილებზე

ამასთან ერთად საჭიროა ეხლავე ჩამოყალიბებული იქნენ სამაზრო კომისიები—შემდეგი შემადგენლობით.

1) მაზრაღმასკომის თავმჯდომარე (კომის. თ-რე).

2) მაზრაღმასკომის მიწადმოქმედების განყ. გამგე,

3) მაზრის აგრონომი,

4) მ. გლ. ინსპექციის სახკომის სამაზრო რწმუნებული და

5) სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციის წარმომადგენელი.

ყველა თემში ეხლავე უნდა იქნან შექმნილი თესვის კამპანიის ჩატარების ხელმძღვანელი ორგანოები, ამ მიზნით შეიძლება შეიქმნენ სათემო კომისიები და ყველა თემში დაინიშნოს სამაზრო კომისიის რწმუნებული.

მთელი პასუხისმგებლობა მაზრის მასშტაბით თესვის კამპანიის ჩატარების ხელმძღვანელობისათვის ეკისრება სამაზრო კომისიას.

რესპუბლიკანური კომისია მთელ თავის მუშაობას ჩაატარებს სამაზრო კომისიების მეშვეობით.

რესპუბლიკანურ კომისიის მიერ თესვის კამპანიასთან დაკავშირებული კრედიტები და სხვა მატერიალური საშუალებანი (თესლი, მანქანა-იარაღები და სხვ.) განაწილებული იქნება მაზრებს შუა და გადაცემული სამაზრო კომისიების განკარგულებაში, რომელნიც სრული პასუხისმგებელნი იქნებიან ამ საშუალებათა შემდგომი განაწილების და მაქსიმალური მიზანშეწონილობით გამოყენებისათვის.

ამასთან ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ამ კამპანიაში შეუძლებლად უნდა იქნეს ცნობილი ადგილობრივ მუშაობის ჩატარების დროს მხოლოდ ცენტრიდან მიღებულ საშუალებებზე დაყრდნობა. აუცილებლად საჭიროა ადგილობრივმა ორგანოებმა და პირველ რიგში სამაზრო კომისიებმა მიიღონ ენერგიული ზომები ადგილობრივ საშუალებათა თესვის კამპანიისათვის გამოყენების მიზნით.

სამაზრო კომისიებმა ეხლავე უნდა დაიწყონ მუშაობა თესვის კამპანიის მნიშვნელობის ფართედ გაშუქებისათვის და საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღების ამ საქმისაკენ მიმართვისათვის. ამ მიზნით, გარდა კრებებისა და მოხსენებისა, რომლებზედაც მოსახლეობას განემარტება თესვის კამპანიის მნიშვნელობა, მიზანშეწონილია მაზრის მასშტაბით მოწვეულ იქნას სპეციალური აგრონომიული თათბირი, რომელმაც უნდა დაამუშაოს და გამოარკვიოს ის კონკრეტი ღონისძიებანი, რომელნიც გატარებულნი უნდა იქნენ მაზრაში თესვის კამპანიასთან დაკავშირებით.

ცალკე ღონისძიებათა შორის რესპუბლიკანურ კომისიას საჭიროდ მიაჩნია მიაქციოს თქვენი განსაკუთრებული ყურადღება შემდეგ საკითხებს.

სათესლე მასალის მიწოდება

1) რესპუბლიკანურმა კომისიამ გათვალისწინა რა ვარგის სათესლე მასალის ნაკლებობა, მიზანშეწონილად დაინახა დაუშვას ამ კამპანიაშიაც გლეხობისათვის სასურსათო პურეულის მიწოდება. ეს მასალა უშუალოდ, როგორც სათესი მასალა არ გამოდგება. სამაზრო კომისიებს ევალება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მეშვეობით მიიღონ ზომები, რათა თესვის კამპანიასთან დაკავშირებით მაზრების მიერ მიღებული მარცვლეული გადაცვლილ იქნეს ადგილობრივ სათესლე მასალაზე და ეს უკანასკნელი მიწოდებული იქნეს სესხად ღარიბ გლეხობისათვის.

გადაცვლის დროს დასაშვებია—1, ნახ. ფუთი სასურსათო მარცვლეულის გადაცვლა 1 ფუთი სათესლე მასალაზე.

2) თუ ადგილობრივ სასურსათო მასალის სათესლე მასალაზე გადაცვლა რაიმე მიზეზით შეუძლებელი იქნა, რესპუბლიკანურ კომისიას დასაშვებად მიაჩნია სასურსათო მასალის გაცემა გლეხობაზე (კრედიტით), მაგრამ ამ შემთხვევაში მიღებულ უნდა იქნას ზომები, რათა იმ მეურნეობებმა, რომელნიც მიიღებენ სასურსათო მარცვლეულს, ან მომარაგონ საჭირო სათესი მასალა თავის მეურნეობაში, ან და შეიძინონ ასეთი (გაცვლით თუ ყიდვით) ადგილობრივ, მეზობლებიდან

3) მაზრის აგროორგანიზაციას უნდა მიეცეს მტკიცე დირექტივა, რათა ა) ამ კამპანიაში რაც შეიძლება მეტი რაოდენობა გლეხობის სათესლე მასალისა იქნეს ნაწმენდი და

ბ) მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული მაზრაში არსებული ტრიერები გლეხობის სათესლე მასალის გასაწმენდად.

გლეხობისათვის თესლის გაწმენდის საქმე ეხლავე უნდა იქნეს დაწყებული. მიზანშეწონილია თესლის გამწმენდ მოძრავ პუნქტების მოწყობა.

ეხლავე უნდა იქნეს აღნიშნული, თუ რომელი ტრიერი რა რაიონს ემსახურება და აგრეთვე ყოველი ტრიერის გამომუშავების ნორმა.

4) თავის მხრივ რესპუბლიკანური კომისია და მიწსახკომი იღებენ ზომებს, რათა წელს ჩაუყარონ რეალური საფუძველი ხარისხოვან სათესლე ფონდს, რისთვისაც სახბიუჯეტით გადადებულია სათანადო თანხა.

მანქანა-იარაღების მიწოდება და გამოყენება

1) მაზრის კომისიას ევალება ფხიზლად ადევნოს თვალყური, რათა მანქანა-იარაღების მიწოდების დროს სასოფლო სამეურნეო საკრედიტო სისტემამ სისწორით დაიცვას კლასობრივი ხაზი. კერძოდ და განსაკუთრებით უნდა მიექცეს ყურადღება, რათა სავსებით იქნას დაცული ყველა ის წესი, რომელნიც შეეხებიან უღარიბეს გლეხობისათვის მანქანა-იარაღების შეღავათიანი პირობებში მიწოდებას.

2) ეხლავე უნდა იქნას გამორკვეული, არის თუ არა მაზრებში სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებში ან სხვა ორგანიზაციებში (კოლმეურნეობანი, საბჭოთა მამულები და სხვა), ისეთი მანქანა-იარაღები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება, რადგან ისინი არ ეგუებიან მაზრის ბუნებრივ პირობებს, თუ ასეთ შემთხვევას აქვს ადგილი. სამაზრო კომისიებს ევალებათ ეხლავე აცნობონ ეს რესპუბლიკანურ კომისიას ამ მანქანა-იარაღების სხვა რაიონებში გამოყენების მიზნით.

3) მიღებულ უნდა იქნას ზომები, რათა მტკიცეთ იქნას განხორციელებული დირექტივა, რომ კოლმეურნეობათა და საბჭოთა მამულების მანქანა-იარაღები საკუთარი მეურნეობაში მუშაობის დამთავრების შემდეგ მოხმარდენ გლეხურ მეურნეობათ.

ამასთან ყურადღება უნდა მიექცეს, რათა საბჭოთა მამულებმა და კოლმეურნეობებმა შეძლებისდაგვარად ადრე დაიწყონ საკუთარი მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულება და რაც შეიძლება მოკლე ხანში დაამთავრონ ისინი, რათა შესაძლებელი გახდეს მათ ინვენტარის გლეხურ მეურნეობაში ფართოდ გამოყენება.

4) მიღებულ იქნას ზომები გამქირავებელ პუნქტების მანქანა-იარაღების სრული დატვირთვით გამოყენებისათვის. კერძოდ ამ მიზნით საჭიროა შემცირებულ იქნას მანქანა-იარაღების ქირა, უღარიბეს მოსახლეობას კი ისინი უნდა დაეთმოთ უფასოდ.

5) სამაზრო კომისიებმა საჭიროა უზრუნველჰყონ არსებულ სახ. სამ. მანქანების სარემონტო სახელოსნოების ჯეროვანი გამოყენება და ამასთან უნდა თვალყური ადევნონ, რათა ყველა ორგანიზაციის (რკინის გზა, ავტოტრანსპორტის სამ. სავაჭ. საზ. და სხვა) შემკეთებელმა სახელოსნოებმა პირველ რიგში მიიღონ მოსახლეობიდან შესაკეთებლად სასოფლო-სამეურნეო მანქანა იარაღები.

6) წელს სას.-სამეურნეო კოოპერაციის ხაზით გათვალისწინებულია სახ.-სამ. მანქანა იარაღების ახალ სარემონტო სახელოსნოების მოწყობა ან არსებულის გაფართოვება შემდეგ მაზრებში: კახეთი (წნორის წყალი) რაჭა-ლეჩხუმი, ბორჩალო და გორი. სათანადო თანხებით. სას.-სამ. კოოპერაცია უზრუნველყოფილია. სამაზრო კომისიებმა უნდა გაუწიონ კონტროლი ამ სახელოსნოების რაც შეიძლება მალე და ჯეროვანად მოწყობას.

7. მიღებულ უნდა იქნას ზომები მოსახლეობისათვის ტეხნიკური დახმარების გაძლიერებლად. კერძოდ, შეძლებისდაგვარად გადიდებულ უნდა იქნეს ადგილობრივ სათანადო ინსტრუქტორების რიცხვი.

8) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტრაქტორების უზრუნველყოფას საწვავ დასაზეთ მასალით. თუ ამ მხრივ ადგილი ექნა რაიმე გაუგებრობას, საჭიროა ეს დაუყოვნებლივ ეცნობოს რესპუბლიკანურ კომისიას.

9) ყურადღება უნდა მიექცეს, რომ სახ-სამ. მანქანები, განსაკუთრებით კი ტრაქტორები მიზნობრივად და რაციონალურად იქნენ გამოყენებული.

მუშა-საქონლის მიწოდება

წელს განზრახული იყო გლეხობისათვის მუშა საქონლის მიწოდება გვეწარმოებია ნატურით, მაგრამ ამის განხორციელება შეუძლებელი შეიქმნა, რადგან სათანადო კრედიტები გახსნილ იქნა დაგვიანებით. ამიტომ რესპუბლიკანური კომისია იძულებულია მაზრებს შორის ამ კამპანიაშიაც გაანაწილოს არა საქონელი, არამედ სათანადო კრედიტები.

მიზანშეწონილი და სასურველი იქნება, თუ სამაზრო კომისიები საკრედიტო ამხანაგობების მეშვეობით შესძლებენ მიღებული კრედიტებით ადგილობრივ შეიძინონ მუშა-საქონელი და გადასცენ ის უღარიბეს გლეხებს ნატურით. ეს შეუძლებელი შეიქნა, დასაშვებია სათანადო გრძელვადიანი კრედიტების უღარიბეს გლეხებს შორის განაწილება. მაგრამ იმ შემთხვევაში უნდა იქნეს უზრუნველყოფილი მიღებულ კრედიტების მტკიცე მიზნობრივი გამოყენება.

სასუქების საკითხი

1) ხელოვნური სასუქები წელს გამოყენებული იქნება უმთავრესად ტეხნიკურ კულტურისათვის (ბამბა, თამბაქო). ეხლა შესაძლებლობა გვაქვს შევიტანოთ ხელოვნური სასუქი ამ კულტურების მეურნეობათა ბევრად უფრო დიდ ფართობზე, ვიდრე წინა წლებში. სამაზრო კომისიებმა უნდა მიიღონ ზომები რათა ამ დარგში სავსებით იქნას განხორციელებული დასახული გეგმა.

2) დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ზუგდიდისა და სენაკის მაზრებში, მიღებულ უნდა იქნას ენერგიული ზომები ტბილით (მერგელი) გაპატივებულ ფართობის საგრძნობლად გადიდებისათვის.

3) წელს მიწსახკომის მიერ მაზრებში მოწყობილ იქნეს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და ინდივიდუალურ მეურნეობებში 150 საცდელ-საჩვენებელი ნაკვეთი მინერალურ სასუქების გამოყენების შესწავლისა და პოპულიარიზაციისათვის. საჭიროა მიექცეს ყურადღება ამ პუნქტებში მუშაობის ჯეროვნად ჩატარებას და აღმოეჩინოს მათ ყოველმხრივი დახმარება.

მავნებლებთან ბრძოლა

წელს მიწსახკომთან არსებულ მცენარეთა დაცვის ბიუროს მიერ ჩატარებული იქნება მავნებლებთან ბრძოლა ბევრად უფრო ფართე მასშტაბით, ვიდრე წარსულ წლებში. კონკრეტიული ცნობები თქვენ მაზრაში გათვალისწინებულ მუშაობის პროგრამის შესახებ გეცნობებათ უახლოეს ხანში. საჭიროა სამაზრო კომისიებმა მეთვალყურეობა, კონტროლი და დახმარება გაუწიონ ამ მუშაობას.

სას.-სამ. კრედიტი

ყველა სათანადო კრედიტი, რომლებიც კი იქნება რესპუბლიკანურ კომისიის განკარგულებაში თესვის კამპანიასთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ უნდა იქნეს განაწილებული მაზრებს შორის და გადაცემული სამაზრო კომისიების განკარგულებაში. სამაზრო კომისიებს ევალებათ:

1) კრედიტები დაუყოვნებლივ იქნას განაწილებული მსესხებელთა შორის, 2) მტკიცედ იქნას დაცული კლასობრივი ხაზი და 3) გაეწიოს მკაცრი კონტროლი კრედიტების მიზნობრივ გამოყენებას.

აღნიშნულის ცხოვრებაში გატარებისათვის მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ სამაზრო კომისიებს.

ტეხნიკური კულტურები

გაზაფხულის თესვის კამპანიის შედეგად გათვალისწინებულია საგრძნობი ზრდა ტეხნიკურ კულტურების ფართობისა, (განსაკუთრებით ბამბას და თამბაქოს, აგრეთვე კენაფის). ამის განხორციელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯეროვნად იქმნა ჩატარებული ტეხნიკურ კულტურების კონტრაქტაცია და დაუბრკოლებლად და გეგმა-შეწონილად იქნა მიწოდებული სათანადო რაიონებში იაფი პური და სხვა პროდუქტები. სამაზრო კომისიებს ევალებათ ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიონ ამ მუშაობას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ავანსების დროზე და კლასობრივი ხაზის დაცვით დარიგებას და იმას, რომ ტეხნიკურ კულტურების მთესველებისათვის გადმოგზავნილი სურსათი და სხვა საქონელი არ იქნეს არამიზნობრივად გამოყენებული.

კენაფის კულტურის მიმართ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ღეროების დალბობის საქმის მოწესრიგება. საზ. „კენაფი" სას.-სამ. კოოპერაციის მეშვეობით აშენებს რამოდენიმე აუზს სათანადო რაიონებში, სამაზრო კომისიებმა უნდა უმეთვალყურონ ამ მუშაობის დაჩქარებით ჩატარებას და უზრუნველყონ აუზების სათანადო გამოყენება.

კონტრაქტაცია

გაზაფხულის თესვის კამპანიის დროს ბევრად უფრო ფართოდ, ვიდრე წინა წლებში, იქნება ჩატარებული როგორც ტეხნიკური, ისე მარცლოვანი კულტურების კონტრაქტაცია. აუცილებლად საჭიროა, რათა სამაზრო კომისიებმა კონტრაქტაციის ჯეროვანი ჩატარება გახადონ თავის მუშაობის ერთ-ერთ მთავარ ობიექტად.

მიღებულ უნდა იქნეს ზომები, რათა კონტრაქტაციაში მონაწილე გლეხური მეურნეობებს პირველ რიგში და განსაკუთრებით აღმოეჩინოს აგრიკულტურული დახმარება. საჭიროა ამ მხრივ მიეცეს სათანადო დირექტივები მაზრის აგრო-ორგანიზაციას.

აგრო-დახმარება

თესვის კამპანიის მთავარი სიმძიმე და აგრეთვე პასუხისმგებლობა აწევს ადგილობრივ აგრო-ორგანიზაციას, რომელმაც რაც შეიძლება ფართოდ უნდა გაშალოს თავისი მუშაობა და უზრუნველჰყოს მნიშვნელოვანი ეფექტი გლეხური მეურნეობის სას. სამ. ტეხნიკის გაუმჯობესების საქმეში.

ამ მიზნით საჭიროა:

1) მაზრის აგრო-ორგანიზაციაში მომუშავენი განთავისუფლებულ იქნან ყველა სხვა მუშაობისაგან და მთელი თავისი ძალებით იქნან გამოყენებული თესვის კამპანიისათვის.

2) რაც შეიძლება ინტენსიურად უნდა იქნან ამავე საქმისათვის გამოყენებული სხვა ადგილობრივ მყოფი სასოფლო-სამეურნეო დარგში მომუშავე ძალები (გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები, სას.-სამ. სასწავლებლები, საცდელ დაწესებულებები, საბჭოთა მამულები და სხვა).

შეძლებისდაგვარად გამოყენებულ უნდა იქნან აგრეთვე სას. სამეურნეო სასწავლებელთა მოწაფეებიც.

3. მიზანშეწონილი იქნება, თუ ყოველ აგრონომს (როგორც მაზრის აგრო-ორგანიზაციაში მომუშავეს, ისე სხვებსაც) გამოუყოფთ მუშაობის რაიონს და უზრუნველყოფთ მათ მიერ ჩატარებულს მუშაობის ზუსტ აღრიცხვას. მიზანშეწონილი იქნება, თუ იმ მუშაკების მიმართ, რომელნიც გამოიჩენენ განსაკუთრებულ ენერგიას, მიღებულ იქნას წამახალისებელი ზომები (მადლობა ბრძანებით, კორესპონდენცია პრესაში და სხვა).

აგროდახმარების მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს უმარტივეს მასიურ გაუმჯობესებათა გატარებას, როგორიც: 1) თესლის გაწმენდა და წამლობა, 2) მწკრივად თესვა, 3) ადრე თესვა, 4) საქონლის პატივის და ტბილის გამოყენება, 5) მავნებლებთან ბრძოლა და სხვა.

თესვის კამპანიასთან ყველა დაკავშირებული ღონისძიების გატარების დროს მტკიცედ უნდა იქნეს დაცული კლასობრივი ხაზი. ეს ღონისძიებები განხორციელებულ უნდა იქნან პირველ რიგში კოლმეურნეობებში, მათი საჭიროების სრული დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად, შემდეგ უღარიბეს, ღარიბ და შეძლებისდაგვარად საშუალო ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა მიმართ.

სამაზრო კომისიებს ევალებათ ყოველ 2 კვირაში წარმოადგინონ რესპ. კომისიაში ანგარიშები თესვის კამპანიის მსვლელობის შესახებ.

თესვის კამპანიის ჩატარებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხის შესახებ სათანადო განმარტებისათვის და ზომების მისაღებად მიმართეთ თესვის კამპანიის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ კომისიას (თბილისი მიწსახკომი).

გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩამტარებელ რესპ. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

ს. ჯუღელი.

კოლმეურნეობათა ამოცანები

რა ევალება კოლმეურნეობებს?

საგაზაფხულო თესვის კამპანიაში საქართველოს კოლმეურნეობებმა უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა. რაში უნდა გამოიხატოს მათი მონაწილეობა ამ კამპანიაში? ჩვენს ნორჩ კოლმეურნეობებში საგაზაფხულო ნათესების არე გაზრდილი უნდა იქნეს არა ნაკლებ 9.000 ჰექტარისა, ესე იგი გასულ წელთან შედარებით 45 პროცენტით. ცალკე კულტურების მიხედვით კოლმეურნეობებში დათესილი უნდა იქნეს: თამბაქო არა ნაკლებ—900 ჰექტარისა, ბამბა — 500 ჰექტარისა, კენაფი— 150 ჰექტარისა, შაქრის ჭარხალი — 150 ჰექტარისა, ხორბალი — 900 ჰექტარისა, ქერი—1.725 ჰექტარისა და სიმინდი —3,800 ჰექტარისა, გარდა ამისა წელს ჩაის საწერგეების არე გადიდებული უნდა იქნეს —1.600 ჰექტარამდე,—აი მოკლედ ის, რაც დაავალა ჩვენმა მთავრობამ კოლექტიურ მეურნეობებს.

აღნიშნულ დავალებათა ცხოვრებაში გასატარებლად კოლმეურნეობებს ეძლევათ მთელი რიგი შეღავათებისა და უპირატესობებისა. ამასთანავე მათ ეძლევათ სათესლე მასალა, მუშა-საქონელი, მანქანა-იარაღები და სხვა.

გარდა ზევით ჩამოთვლილ დავალებებისა, საქართველოს კოლექტიურ მეურნეობებში მიმდინარე წელს აწეული უნდა იქნეს მოსავლიანობა: სიმინდის — 20 პროცენტით, ხორბლის და ქერის — 15 პროცენტით და ტეხნიკურ კულტურების არა ნაკლებ 15 პროცენტისა.

როგორი ღონისძიებები უნდა იქნეს მიღებული ჩვენს კოლმეურნეობებში, რომ მათ შესძლონ ამ მეტად მნიშვნელოვან ამოცანების შესრულება?

სათესლე მასალა

ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება მოსავლიანობის გაზრდისათვის და მისგან გამომდინარე გლეხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად არის სათესლე მასალის საკითხის მოგვარება. სამწუხაროდ, აქამდი ამ საკითხს ჩვენი ქვეყნის ზოგ რაიონებში ვერ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება. არ იყო შერჩევა ჯიშიანი თესლის და შემდეგ, რაც ყველაზედ აუცილებელია, არ იყო სათესლე მასალის გაწმენდა მასიურათ შემოღებული. ამ საკითხების მოუგვარებლობით დიდი ზიანი ადგებოდა სოფლის მეურნეობას. გლეხი ვერ იღებდა მის მიერ დახარჯულ შრომაში შესაფერ საფასურს, რადგან მოსავლიანობა ძალიან მცირე იყო, ჩვენ კი ვიცით, რომ გაწმენდილი სათესლე მასალით დათესილი ქირნახული დიდ მოსავალს იძლევა. ამ მიზნით მთავრობამ ეს ღონისძიება სოფლის მეურნეობაში შემოიღო როგორც სავალდებულო და აუცილებელი, განსაკუთრებით კი—კოლექტიურ მეურნეობებში.

თავის დადგენილებაში მთავრობამ კოლექტიურ მეურნეობას დაავალა, რათა მთელი სათესი არე დათესილი იქნეს მხოლოდ გაწმენდილი თესლით.

ეს იმას ნიშნავს, რომ მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ჩვენი საწმინდი მანქანები —ტრიერები. კოლმეურნეობებმა, რომელთაც ეს მანქანები აქვთ, დროულად უნდა გაწმინდონ მათთვის საჭირო მასალა, შემდეგ უნდა გაუწმინდონ სხვა მახლობელ კოლექტივებს, რომელთაც ასეთი მანქანა არა აქვთ და შემდეგ კი ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხობას. მანქანის უფრო სასარგებლოდ გამოყენების მიზნით, ის გადატანილ უნდა იქნეს ადგილობრივ, ესე იგი იქ, სადაც არის საწმინდი მასალა, ამასთანავე, რადგან მანქანები ჩვენ ცოტა მოგვეპოვება, არსებული მანქანები უნდა ვამუშაოთ სამ წყებათ, ესე იგი მთელი დღე და ღამის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ კოლმეურნეობებს არ აქვთ ამა თუ იმ რაიონში ტრიერები, მათ უნდა მიმართონ აგროპუნქტებს. სას.-სამ. კოოპერაციას, საბჭოთა მამულებს და სხვას, ვისაც მანქანა მოეპოვება.. წელს კი საგაზაფხულო თესვის კამპანიის დროს ჩვენ კოლმეურნეობებს ურიგდებათ კიდევ 50 ახალი ტრიერის მანქანა.

არც ერთი ჰექტარი მიწა მომავალ გაზაფხულში კოლმეურნეობებში არ უნდა დაითესოს გაუწმენდავი თესლით. ამას თვალყური უნდა ადევნონ აგრონომებმა, ინსტრუქტორებმა და ყველა იმათ, ვინც სოფლის მეურნეობის აღდგენით და მასში განათლების შეტანითაა დაინტერესებული. ამასთანავე ეს უნდა იქნეს შესწავლილი, კოლმეურნეობების წარმომადგენლებმა ერთი მეორეს უნდა გაუწიონ სათანადო კონტროლი.

სათესლე მასალის ფონდი

ჯიშიან თესლის შემოღება ჩვენს მეურნეობაში აუცილებელია. ჩვენ კი ასეთი ფონდი ჯერ არ მოგვეპოვება. მთავრობის მიერ მტკიცეთაა გადაწყვეტილი შეიქმნეს ასეთი ფონდი, რომელიც ყოველწლიურად უნდა იზრდებოდეს და თანდათან იჭერდეს სათესი მოლების მეტ ფართობებს.

ასეთი ფონდი სხვა ორგანოების გარდა უნდა შეიქნეს კოლმეურნეობებშიც. სხვათა შორის, წელს ხარისხოვანი სიმინდის სათესლე ფონდის შესაქმნელად კოლმეურნეობებს აძლევენ მიწსახკომის მიერ დამზადებულ სასელექციო მასალა 2.000 ფუთამდე, რომლითაც დათესილი იქნება 700 ჰექტარი. ეს მოგვცემს ჩვენ არა ნაკლებ 60.000 ფუთი სათესლე სიმინდს. ცხადია, რომ ამ მიზნით მიღებული სიმინდის საკვებად გამოყენება ყოვლად დაუშვებელია. იმ კოლმეურნეობებს, რომელნიც ამ მასალას დაამზადებენ, მიეცემათ ბადალი სახმარი სიმინდი, ავანსი თითო ჰექტარზე 17—18 მანეთი. ხარისხოვან სათესლე სიმინდისაგან კი უნდა შეიქნეს ფონდი, რომლისაგანაც თესლი მიეცემათ მომავალი წლის თესვის კამპანიის დროს პირველ რიგში კოლმეურნეობებს და შემდეგ ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხებს..

— ეს დავალება ჩვენმა კოლექტიურმა მეურნეობებმა მტკიცედ და ურყევად უნდა შეასრულონ.

აგრონომიული ღონისძიებები კოლმეურნეობებში

მთავრობის ცნობილ დადგენილებაში ჩვენ ვკითხულობთ: „საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა აგროპერსონალმა პირველ რიგში აღმოუჩინოს დახმარება კოლმეურნეობებს და ღარიბ მეურნეობებს გაზაფხულის თესვის კამპანიის გეგმის მთლიანად შესრულების საქმეში". ამ ამონაწერიდან ნათლად სჩანს, რომ მომავალ საგაზაფხულო კამპანიაში მაქსიმალურად ჩაბმული უნდა იქნენ სოფლად მომუშავე ყველა აგრონომიული ძალები, როგორც მიწსახკომის, განათლების კომისარიატის, კოლმეურნცენტრის, სას.-სამ. კოოპერაციის, საქართველოს ჩაის და სხვა სპეციალური ორგანიზაციებისა.

აგრონომიული ხელმძღვანელობით ჩვენი კოლმეურნეობები უნდა გადაიქცნენ სოფლის კულტურულ მეურნეობათ, სადაც უნდა მიდიოდეს გლეხობა და სწავლობდეს მიწათმოქმედების კულტურულად წარმოების წესებს. ამის გამო აგრონომიული ხელმძღვანელობის ცენტრი გადატანილი უნდა იქნეს კოლექტიურ მეურნეობებში.

აგრონომიულ ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული ყველა ისეთ ღონისძიებების ცხოვრებაში წარმატებით გატარება, როგორიცაა ჯიშიანი თესლეულობის შერჩევა, სათესლე მასალის გაწმენდა. მწკრივში თესვა, ნიადაგის ხელოვნური სასუქებით გაპატივება და სხვა.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული იმაში, რომ სოფლის ყველა ორგანიზაციის დახმარებით ჩვენს კოლმეურნეობებში შეკავშირებული მშრომელი გლეხობა ბრწყინვალედ შეასრულებს მთავრობის დავალებებს. მიმდინარე წლის საგაზაფხულო თესვის კამპანია საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენი ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ მტკიცე კოლმეურნეობათა კულტურულ წინსვლას.

ვლ. ცაგარელი.

გაზაფხულის თესვის კამპანია აფხაზეთში

სოხუმი, 12 თებერვალი. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარების გეგმა. შარშანდელი ცხრა გასაქირავებელი პუნქტის ნაცვლად განზრახულია მოეწყოს 15 პუნქტი რომლებსაც ექნება სასოფლო ფილიალები. გეგმით გათვალისწინებულია, რომ სიმინდის ნათესი სივრცე უნდა გადიდდეს 10.000 ჰექტარამდე. გაზაფხულის ხორბლის ნათესი სივრცე ფართოვდება 2.000 ჰექტარამდე. თამბაქოს ნათესი სივრცე განსაზღვრულია 14.000 ჰექტარით. გაშენებული იქნება 80 ჰექტარი ახალი ვენახები. ხეხილის ბაღების სივრცე გაფართოვდება 300 ჰექტარამდე. უმთავრესად ნავარაუდევია მანდარინის, შაქლიავის, ვაშლისა და მსხალის ბაღების გაშენება. გალისა და კოდორის მაზრებში ჩაის პლანტაციების სივრცე გასული წლის 330 ჰექტარის ნაცვლად 2.230 ჰექტარამდე ფართოვდება. (ადს).

ნათესების კონტრაქტაცია

სოხუმი, 12 თებერვალი. მთელი მოსამზადებელი მუშაობა თამბაქოს ნათესების კონტრაქტაციის ჩასატარებლად უკვე დამთავრებულია. შედგენილია სარაიონო გეგმები, შემუშავებულია ინსტრუქციები კონტრაქტაციის ტეხნიკურად ჩასატარებლად. შემუშავებულია სამი სახის ტიპიური ხელშეკრულებანი: ინდივიდუალური, რომელიც იდება ცალკე მეურნეობებთან, საუბნო—უბნებთან ან მათ ნაწილებთან და ხელშეკრულება კოლმეურნეობებთან ამ ჟამად ტარდება ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია კონტრაქტაციის მიზნებისა და ამოცანების, კოლექტიური გაერთიანებათა საორგანიზაციო ფორმების, ღარიბთა ფონდების შესახებ და სხვ..

თამბაქოს მეურნეთა რაიონულ კოოპერატივებს კამპანიის ჩასატარებლად დაუგზავნეს სათანადო თანხები. ახლო მომავალში გამოიცემა თამბაქოს მეურნის ფურცლები თამბაქოს ნათესების კონტრაქტაციის შესახებ. (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა არჩევნებში

თბილისში

ხელოვნების მუშაკებში

ხელოვნების მუშაკთა, მოზარდ მაყურებელთა თეატრის და დაბალი საფეხურის მუსიკალური სასწავლებლების მუშა-მოსამსახურეთა საარჩევნო კრებამ, რომელსაც დაესწრო ამომრჩეველთა 96 პროცენტი, თბილისის საბჭოში წევრებად აირჩია ამხ. არაქელოვი და ვეზხაძე.

—:—

ვინ აირჩიეთ საბჭოში

ბინათ კავშირის და საბინაო კოოპერაციის მუშა-მოსამსახურეებმა დიდის გაცხოველებით ჩაატარეს თავიანთი საარჩევნო კრება, კრებას დაესწრო ამომრჩეველთა 88 პროცენტი.

თბილისის საბჭოსათვის მისაცემ განაწესის მიღების შემდეგ კრებამ საბჭოს წევრად აირჩია ამხ. კირილე დოგორჯბინიძე.

მტვირთავთა კლუბში

ხამრეწველო-სახელოსნო თანამშრომელთა ოჯახის წევრების კრება შესდგა 11 თებერვალს, მტვირთავთა კლუბში, კრებას დაესწრო ამომრჩეველთა 96 პროცენტი. წაკითხულ განაწესს კრებამ თავის მხრივ დაუმატა შემდეგი: მუშათა უბნებში გაიხსნეს სამრეცხველოები, სამზარეულო და სასადილოები და სხვ..

დასასრულ თბილისის საბჭოს დეპუტატებათ არჩეულ იქნენ: ამხ. აივაზოვა ნატაშა, ჩიკლაური მარო, აფრიამოვი და პატურაშვილი.

„სოფლის კავშირში“

11 თებერვალს „სოფლის კავშირში“ შესდგა საარჩევნო კრება, რომელსაც 139 მოსამსახურიდან დაესწრო 121 კაცი. თბილისის კომიტეტის განაწესს კრებამ დაუმატა: მაზრაში გაძლიერებული იქნას ფოსტა-ტელეგრაფის ქსელი., გაყვანილი იქნას გზატკეცილები, ქალაქის მიდამოებში გაფართოვდეს მეურნეობა-მებოსტნეობა, მაზრაშიაც ჩამოყალიბდეს ურთიერთთა კავშირის უჯრედები.

თბილისის საბჭოს წევრად ერთხმად არჩეული იქნა ამხ. გერმანე ნაფეტვარიძე, კანდიდატად ამხ. მათე კოგალაძე.

პლეხანოვის კლუბში

11 თებერვალს, საღ. 6 საათზე პლეხანოვის კლუბის დარბაზში შესდგა სადგ. თბილისის მეორე უბნის მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეების ოჯახის წევრთა საარჩევნო კრება, რომელსაც დაესწრო 500-ზე მეტი ქალი. კრებაზე წაკითხული იქნა თბილისის საბჭოსათვის მისაცემი განაწესი, რომელიც მცირე დამატებით ერთხმად იქნა მიღებული. თბ. საბჭოში დეპუტატებათ კრებამ აირჩია ამხ. გიორხილაძე ოლღა, რაქვიაშვილი მარო, ჭუღნია და ჯულუხაძე.

—:—

თბილისის დეპოს მუშებში

11 თებერვალს, მუშაობის შემდეგ შესდგა თბილისის დეპოს მუშა-მოსამსახურეთა საარჩევნო კრება, რომელსაც დაესწრო ამომრჩეველთა 96 პროცენტი. თბილისის საბჭოსათვის მისაცემ განაწესში კრებამ აუარებელი დამატებები შეიტანა. მათ შორის საყურადღებოა: ბრძოლა ლოთობის წინააღმდეგ. საქმიდ დახმარების საქმის გაუმჯობესება, ყველა აფთიაქებიდან დაზღვეულებზე წამლების უფასოთ გაცემა, ქუჩების თავის დროზე მორწყვა, საბინაო მშენებლობის გაუმჯობესება და გაიაფება და სხ..

ამის შემდეგ კრებამ თბილისის საბჭოს წევრებად აირჩია: ამხ. პავლე გამცემლიძე, პ. კოჩიდაევი, მელიტონ მგელაძე, პავლე ზაგორუკოვი, ნატალია საათაშვილი, დანცეკო, ოთაროვი, ივანე ბეჟანოვი, არტემ დვალი, და ნიკოლოზ სავიცოვი. კანდიდატებად: ამხ. ხოლღაშა (მუშა ქალი), გიორგი უიფშიძე და მაკარაშვილი.

არჩევნების შემდეგ, კრებაზე მოკლე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა რკ.-გზის მე-10 ბატალიონის წარმომადგენელი, რომელმაც გააცნო კრებას წითელი ყაზარმის დათვალიერების მნიშვნელობა. კრებამ დიდი ოვაციები გაუმართა მომხსენებელს.

დასასრულ კრებამ დაადგინა წითელი არმიის ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად გაიღონ ჯამაგირის ერთი პროცენტი.

ლეონტი.

არჩევნების შედეგები

თბილისში

თბილისისა და მისი მაზრის საარჩევნო კომისიის ცნობებით ქალ. თბილისში საარჩევნო კამპანიის შედეგები 10 თებერვლისათვის ასეთი იყო:

26 კომუნართა რაიონში არჩევნები დაიწყო 28 იანვრიდან. 10 თებერვლამდე არჩევნები დასრულდა 44 საარჩევნო პუნქტზე. ამ პუნქტებზე ირიცხებოდა სულ 8.856 ამომრჩეველი საარჩევნო კრებებს დაესწრო სულ 8,158 ამომრჩეველი, რაც უდრის ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 92 პროცენტს. საარჩევნო კრებებს სულ დასწრებია 1773 ქალი. თბილისის საბჭოს დეპუტატებათ ამორჩეულია 161 დეპუტატი. მათ შორის 25 ქალია.

ქალაქის რაიონში არჩევნები დაწყებულა 2 თებერვალს. 10 თებერვლამდე არჩევნები ჩატარდა 19 საარჩევნო პუნქტზე. ყველა პუნქტებზე აღრიცხულ ამომრჩეველთა საერთო რიცხვი უდრის 4.754-ს, აქედან კრებებს დაესწრო—3.768 ამომრჩეველი ანუ 79,3 პროც.

საბჭოს დეპუტატებად ამოირჩიეს 42 კაცი, აქედან 8 ქალი, 20 მუშა და 8 მოსამსახურე.

ყველა პუნქტებზე კომუჯრედის მიერ წამოყენებული კანდიდატები ერთხმად იქნენ ამორჩეული. ანტისაბჭოთა გამოსვლებს ადგილი არსად არ ჰქონია.

არჩევნები ადგილებზე

თბილისის მაზრაში

კოჯორის თემი

(გადმოცემულია ტელეფონით)

8 თებერვალს შესდგა სოფ. დიდების საარჩევნო კრება. მიუხედავად ცუდი ამინდისა, კრებას დაესწრო ამომრჩეველთა 75 პროცენტი. დიდი იყო დამსწრე ქალთა რიცხვიც. კრებამ ერთხმად მიიღო ღარიბ გლეხთა მიერ წამოყენებულ კანდიდატთა სია. საბჭოს წევრად არჩეულია 5 კაცი, მათ შორის 1 კომუნისტი და 2 კომკავშირელი.

9 თებერვალს შესდგა კოჯორის ამომრჩეველთა კრება, რომელსაც დაესწრო ამომრჩეველთა 85 პროც. ქალები 70 პროცენტი. ღარიბ გლეხთა სია ერთხმად იქნა მიღებული. საბჭოში არჩეულია 9 დეპუტატი, მათ შორის 7 კომკავშ. და 2 ქალი. ერთმა ჯგუფმა, რომელიც ყოველთვის თავისი კანდიდატებს სიით გამდის, ეხლაც სცადა თავისი სიით გამოსვლა, მაგრამ მათი კანდიდატები გააშავეს.

შემდეგ წაკითხულ და მიღებულ იქნა განაწესი. უნდა აღინიშნოს ღარიბისა და საშუალო გლეხობის დარაზმულობა. კრება ინტერნაციონალის სიმღერით დაიხურა.

10 თებერვალს სოფ. ტაბახმელაში საარჩევნო კრებას დაესწრო ამომრჩეველთა 85 პროცენტი. ქალები 80 პროც. საბჭოში არჩეულია 8 დეპუტატი, მათ შორის 3 კომუნისტი, 1 კომკავშირელი და ერთი ქალი.

ვლადიმერ ჩხაიძე.

ქუთაისის მაზრაში

არჩევნები ქუთაისში

(ტელეგრაფით, ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 12 თებერვალი. ქუთაისში უკვე დაიწყო არჩევნები. ქალაქმა საზეიმო სახე მიიღო. პროფკავშირის კულტგანყოფილებამ მოაწყო კულტაქტივის დემონსტრაცია. დანაწილებულ იქნა სამხატვრო წრეები უბნებზე, სადაც ამომრჩეველებს არჩევნების შემდეგ უმართავდენ კონცერტებს.

საშვეი ფაბრიკაში არჩევნების დროს გამოცხადდა საბჭოთა მწერლების ფედერაციის ქუთაისის განყოფილების ყველა წევრები და აღფრთოვანებით მიულოცეს მუშებს დიდი დღე. გაუმართეს ნაწარმოებთა კითხვა. ქალაქში კვირას დადიოდა ფიზკულტუროსნების და პიონერების დემონსტრაცია ლოზუნგებით. არის უდიდესი აქტიობა.

წარმოებებიდან ჯერ-ჯერობით არჩევნები ჩატარებულია სტამბაში, სადაც კრებას დაესწრო ამომრჩეველთა 94 პროც., კარის ქარხანაში—91 პროც., ბარიტის წარმოებაში—98 პროც. საქსოვ ქარხანაში—100 პროცენტი, რკინის გზის მოძრაობის დარგში 96 პროც.

ს. მისხი.

—

არჩევნები სამტრედიაში

საბჭოს არჩევნები, როგორც ქალაქ სამტრედიაში, ისე მთელ რაიონში დაიწყო პირველ თებერვლიდან. ქალაქში 5 თებერვლიდან ყოველდღე 2 უბანში იმართება საარჩევნო კრებები. უნდა აღინიშნოს ის აქტობა, რომელსაც იჩენს ღარიბი გლეხობა და განსაკუთრებით ქალები. საარჩევნო კრებაზე დასწრება საერთოთ უდრის 65 პროცენტიდან 75 პროცენტამდე უბნებში, წარმოებებში კი 80 პროცენტიდან 90 პროცენტამდე. ქალთა დასწრება თუ საანგარიშო კრებებზე უდრიდა 40—50 პროც., ეხლა —65—70 პროც. აღწევს.

განაწესის შემუშავება მოხდა წინასწარ ღარიბთა კრებებზე, სადაც შეტანილი იქნა სხვათა შორის სამტრედიის კეთილ-მოწყობა, კანალიზაციის გაყვანა, ქუჩების მოკირწყვლა, სასმელი წყლის გამოყვანა და სხვ. მრავალი. ჯერ-ჯერობით არჩევნები ჩატარებულია 15 უბანში, ხოლო მთლიანად დამთავრდება 20 თებერვლისათვის.

სან-კანი.

საპაიჭაოს თემი

საპაიჭაოს თემში არჩევნები დაიწყო 25 იანვარს და დამთავრდა 2 თებერვალს. კრებას დაესწრო ამომრჩეველთა 90 პროცენტი. კომკავშირის ორგანიზაციამ დიდი აქტობა გამოიჩინა, საბჭოში არჩეულია 28 დეპუტატი—მათ შორის 6 ქალია, საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ერთხმად იქნა არჩეული კომკავშირის წევრი ამხ. ან. ჯულაკიძე. საარჩევნო კრებაზე კულაკების გამოსვლას ადგილი არ ჰქონია. მხოლოდ არჩევნებიდან დაბრუნებულ ორ კომკავშირელს გზაში დახვდა ანტი-საბჭოთა ელემენტი ქალ. ადეიშვილი და მათ რევოლვერი ესროლა. ადეიშვილი დაპატიმრებულია და ღირსეულ სასჯელს მიიღებს საბჭოთა ხელისუფლებისაგან.

ილ. ადეიშვილი.

სენაკის მაზრაში

არჩევნები თემებში

(ტელეგრაფით, ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ახალსენაკი, 12 თებერვალი. მიუხედავად თოვლისა, არჩევნები მთელ მაზრაში წარმატებით მიმდინარეობს. უკვე მიღებულია ცნობები ნახუნაოს თემში არჩევნების დამთავრებაზე. ნახუნაოს თემში 1350 ამომრჩეველია. მათგან კრებებს დაესწრო 908, რაც 67 პროცენტს უდრის. საბჭოში არჩეულია—27 დეპუტატი, რომელთა შორის 6 ქალია.

მარნის თემის ხუთ უბანში ამომრჩეველთა რიცხვი უდრის 1926—ს, ხოლო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1009 ამომრჩეველმა, (72 პროცენტმა). მარნის თემის ერთ-ერთ უბანში კრებას დაესწრო 218 ამომრჩეველიდან 204, რაც 95 პროცენტს უდრის.

ხორშიდან მიღებული ცნობებით უბნებში დასწრება უდრის 65-დან 75 პროცენტამდე.

გ. უჩანეიშვილი.

ოზურგეთის მაზრაში

თემებში არჩევნები დამთავრდა

(გადმოცემულია ტელეგრაფით)

ოზურგეთი, 12 თებერვ. თემებში გადაარჩევები დამთავრებულია. მიუხედავად დიდი თოვლისა, კრებებზე დასწრება და აქტივობა დიდია, განსაკუთრებით ქალების. არჩევნები ზეიმის ხასიათს ღებულობს.

კომორგანიზაციების და ღარიბთა ჯგუფების მიერ წამოყენებული კანდიდატები უმრავლეს შემთხვევაში უცვლელად გადიან:

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე: გურგენიძე.

შემოქმედის თემი

(გადმოცემულია ტელეგრაფით)

შემოქმედი, 12 თებერვალი. მიუხედავად დიდი თოვლისა, შემოქმედის თემში 9 თებერვალს ზეიმით ჩატარდა საბჭოთა არჩევნები კრებებს დაესწრო ამომრჩეველთა 78 პროცენტი. თემსაბჭოში არჩეულია 50 წევრი და 15 კანდიდატი. მათ შორის პარტიის წევრები—14 კომკავშირლები—7, ქალი 10.

ამხ. ფილიპე მახარაძე დიდი ოვაციებით არჩეულ იქნა თემსაბჭოს საპატიო წევრათ.

ოლია მელუა.

კახეთის მაზრაში

სიღნაღში არჩევნები დამთავრდა

(ტელეგრაფით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

სიღნაღი, 12 თებერვალი. ქალაქ სიღნაღში საბჭოს არჩევნები დამთავრდა. საარჩევნო კრებებზე გამოცხადდა ამომრჩეველთა 82 პროც. საბჭოში არჩეულია 126 დეპუტატი. მათ შორის 54 ღარიბი, 38 საშუალო და 12 მოჯამაგირე. ალმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია ქალი კატო არუთინოვა.

ა. ჭოჭუა.

არჩევნები ფოთში

(გადმოცემულია ტელეგრაფით)

8 თებერვალს ფოთის საარჩევნო კომისიის სხდომამ, რომელსაც დაესწრო საქართველოს ცაკის წარმომადგენელი ამხ. ვ. ვაშაკიძე, გამოიმუშავა არჩევნების ჩატარების გეგმა ქ. ფოთში და მის რაიონში. გეგმის თანახმად საბჭოს არჩევნები დაიწყება 12 თებერვალს და დამთავრდება 14 თებერვალს.

საორგ. განყ. გამგე: ქუხალეიშვილი.

როგორ იბრძოდნენ კულაკები

(წერილი კახეთიდან)

საბჭ. საარჩევ. კამპ. პერიოდში კახ. მაზრაში კულაკობამ არაჩვეულებრივი უნარიანობა გამოიჩინა და ზოგან აშკარა შეტევაზედაც გადმოვიდა.

კულაკების და მათი დამქაშების აქტივობა წელს გაიზარდა.

კულაკებმა ჯერ მორთეს სისინი და გაავრცელეს ათასგვარი ჭორები:

„საბჭოთა ხელისუფლებას უნდა ყველანი გააკომუნისტოს და კომუნებში ჩაწეროს“.

„საბჭოთა ხელისუფლებას მხოლოდ სიღატაკე უყვარს, ხალხს გადასახადებს იმიტომ აწდევინებს, რომ გააპროლეტაროს“.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგან ღარიბი გლეხების გადაბირებაც შესძლეს კულაკებმა თავის მხარეზე. მაგალითად სოფ. ალვანში მოჯამაგირე გამოვიდა ხაზეინის დასაცავად და ამბობდა: „ხმა რათ ჩამოართვით, განა რაც შეძლება აქვს ვინმესთვის იმას მოუპარავს და წაურთმევიაო“.

სოფ. ველისციხეში ღარიბი გლეხი გაიძახოდა: „ვენახები რომ ჩამოართვით ამ ხალხს (კულაკებს გულისხმობდა), ეს ჩვენთვის უბედურება არისო: სამუშაოდ მაინც მივდიოდით იმათთან და ეხლა უსაქმოთ დავდივართო“.

იყო შემთხვევები, როდესაც საარჩევნო კრებების ჩაშლის მიზნით, მთვრალებმა ზარების რეკვა ასტეხეს თითქოს ხანძარიაო (ბოდბის ხევში, თელავში,).,

ს. ალვანში 11 შავხილი შეიპარა საანგარიშო კრებაზე და ძლივს გააძევეს. გაძევებულნი გარეთ იდგნენ და ყურს უგდებდნენ, რას ლაპარაკობენო. ბევრმა შავხილმა თავისი ცოლი შეგზავნა კრებებზე, რომ გაეგო იქ ნათქვამი.

კულაკები ძალიან ცდილობენ ხმა აღიდგინონ და შავ სიებიდან გამოძვრნენ. ამისათვის მიმართავენ სხვადასხვა ხრიკებს: მოაქვთ ქებების მოწმობა ავადმყოფობის შესახებ და სხ..

მაგრამ ყველას გადააჭარბა მუღანლოში მცხ. კულაკმა მახმად მოლა-ასან ოღლმა. მას კიდევ შარშან ხმა ჩამოართვეს, რადგან წისქვილში ყავდა დაქირავებული მუშები. წელს წისქვილი მოიჯარადრისთვის გადაუცია და თვითონ მუშათ დამდგარა. ითხოვა ხმის აღდგენა, როგორც დაქირავებულმა პირმა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

იყო შემთხვევა, როდესაც საშუალო გლეხების მიმართ იქმნა დარღვეული პარტიის და ხელისუფლების ხაზი. მაგალითად ს. თალლაურში ღარიბების და მოჯამაგირეების კრებიდან განდევნეს სამი საშუალო გლეხი. შემდეგ ამ გლეხებს, რომელნიც გულნატკენი პროტესტით გავიდნენ კრებიდან უწოდეს „კონტრრევოლიუციონერები“ და დაატუსაღეს კიდეც.

დიდია წელს მოჯამაგირეობის აქტივობა. საარჩევნო კრებებზე მოდიან უკლებლივ, ხშირად დამქირავებლებთან დიდი აყალ-მაყალის შემდეგ. გაიზარდა აგრეთვე ქალების აქტივობა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ არჩევნები გაცხოველებულად მიმდინარეობს. კულაკების გამოსვლებს ღარიბი და საშუალო გლეხობა უპირდაპირებს მთლიან, ერთსულოვან ფრონტს, ამიტომაა, რომ პარტუჯრედების და ღარიბების კანდიდატები გადიან არჩევნებზე მთელი ასი პროცენტით.

ალაზნელი.

მზადება 23 და 25 თებერვლის დღესასწაულებისათვის

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფიზკულტურის ყველა საბჭოებს

23 თებერვალი უმნიშვნელოვანესი დღეა პროლეტარული რევოლუციის ისტორიაში, ვინაიდან ამ დღეს საფუძველი ჩაეყარა მუშურ-გლეხურ წითელ არმიას, რომელმაც სამოქალაქო ომში გადიტანა ბრძოლის მთელი სიმძიმე და უკვე თერთმეტი წელიწადია ფხიზლად სდარაჯობს პროლეტარული რესპუბლიკის საზღვრებს.

ამ დღეს დღესასწაულობს არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელი მოსახლეობა, ვინაიდან ჩვენი არმია ერთად-ერთი ინტერნაციონალური არმიაა მსოფლიოში.

წითელი არმიის 10 წლის თავის დღესასწაულის ჩატარებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ფიზკულტურის მთელი ორგანიზაცია, დაწყებული ფიზკულტურის საბჭოებიდან და გათავებული ქვედა საფეხურის წრეებით. მით უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მუშურ-გლეხური წითელი არმიის თერთმეტი წლის თავის დღესასწაულისათვის მზადებას და თვით დღესასწაულის ჩატარებას, ვინაიდან გასულ წელს მოხდა მთელი რიგი ისეთი ამბები, რომლებიც ამტკიცებენ კაპიტალისტების გაძლიერებულ მზადებას საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის. საკმარისია აღვნიშნოთ ავღანისტანის ამბები, რომლებშიაც აქტიურ როლს თამაშობს ყველა ანტისაბჭოთა გეგმის ხელმძღვანელი და იდეური სულისჩამდგმელი —ინგლისი.

აქედან გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ საჭიროა ფიზკულტურის ყველა წრემ ყურადღებით გადაათვალიეროს თავისი მუშაობა და შეიტანოს მასში ისეთი მომენტები, რომელნიც მაქსიმალურად შეუწყობენ ხელს თავდაცვის ამოცანების შესრულებას. ფიზკულტურა არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი მშრომელ მასების სამხედრო მომზადების საქმეში, ამიტომ მუშურ-გლეხური წითელი არმიის 11 წლის თავის აღსანიშნავად საჭიროა გაძლიერებული იქნეს ფიზკულტურის იდეების პროპაგანდა.

ამასთან შეფარდებით, დღესასწაულში ფიზკულტურის ორგანიზაციების მონაწილეობის მთელი კამპანია, დაახლოებით შემდეგში უნდა გამოიხატოს:

1) ადგილობრივი პერიოდული პრესის და კედლის გაზეთების ფურცლებზე გაშუქებულ უნდა იქნეს ფიზკულტურის ორგანიზაციებში წარმოებული სამხედრო მუშაობის საკითხები და ფიზკულტურის ამოცანები ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეში.

2) ფიზკულტურის წრეებში ჩატარებულ უნდა იქნეს მოხსენებები და საუბარი წითელი არმიის ისტორიის შესახებ სასურველია გაკეთებული იქნეს მოხსენებები უკანასკნელი ამბების შესახებ ავღანისტანში. მოხსენებებში მკაფიოდ უნდა იქნეს გაშუქებული ინგლისის როლი ამ ამბებში და მისი ანტი-საბჭოთა გეგმები.

3) ჩატარებულ იქნას თათბირები ადგილებზე ფიზკულტურის ინსტრუქტორების და აქტივის მონაწილეობით. თათბირებზე უნდა გაირკვეს წრეების მუშაობის და მასიური ფიზკულტმუშაობის გასამხედროების (სპორტის ცალკე დარგების მიხედვით) მეთოდისა და ტექნიკის საკითხები.

4) შემოწმებულ იქნეს ადგილებზე ფიზკულტურის ორგანიზაციების მონაწილეობა წითელი ყაზარმების დათვალიერების კამპანიაში.

5) შემოწმებულ იქნეს ფიზკულტურის ორგანიზაციებსა და თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებას შორის არსებული კავშირი და მათი საერთო მუშაობა. განხილულ იქნეს სროლის საქმის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებისათვის საბოლოოდ გადაცემის საკითხი. ამასთან ერთად, ჩატარებულ უნდა იქნეს კამპანია ფიზკულტუროსნების თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებაში შესვლის სასარგებლოდ.

6) იმ ადგილებში, სადაც დაბანაკებული არიან მუშურ-გლეხური წითელი არმიის ნაწილები ჩატარებულ უნდა იქნეს ფიზკულტურის სამოქალაქო ორგანიზაციების შეჯიბრება, ფიზკულტურის სამხედრო წრეებთან ერთად.

7) მომზადებულ იქნეს და მოხდეს, ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით, ტირების, გიმნასტიკის დარბაზების, ფიზკულტურის წრეების, ცალკე გუნდების და სხვ. გახსნა.

8) შემოწმებულ იქნეს ქალაქის ფიზკულტურის შეფობა სასოფლო წრეებზე. სოფლად ფიზკულტურის გავრცელების საქმეში ფიზკულტურის ადგილობრივ ორგანოებსა და თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების აქტივს შორის უნდა არსებობდეს საქმიანი თანამშრომლობა.

9) მომზადებულ და ჩატარებულ იქნეს დღესასწაულის გამო მოწყობილ საღამოებზე (ცალკე, ან როგორც საერთო საკლუბო პროგრამის ნაწილი) სპეციალური ფიზკულტურული გამოსვლები (აგიტ-ჯგუფები, ფიზკულტურული ცოცხალი გაზეთები, მოკლე მოხსენებები წრის მიღწევათა დემონსტრაციით და სხვა).

10. მომზადებულ იქნეს ფიზკულტუროსანთა (სამოქალაქო და სამხედრო) საერთო-საქალაქო საღამოები სპეციალურად შემუშავებული გეგმის მიხედვით,

11) მოეწყოს ყაზარმების კოლექტიური დათვალიერება ფიზკულტურის წრეების მიერ; ყაზარმებში უნდა გაიმართოს თვითმოქმედების საღამოები.

12) ადგილობრივი პირობების მიხედვით, განხილულ უნდა იქნეს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სამხედრო ლიტერატურის გავრცელებასთან კლუბებში, ბიბლიოთეკებში, და აგრეთვე საკითხი ფიზკულტუროსნების პრაქტიკულ დახმარების შესახებ ამ საქმეში.

წითელი არმიის 11 წლის თავის კამპანიის ჩატარების დროს საჭიროა მჭიდრო კავშირის დამყარება და შეთანხმებული მუშაობა დღესასწაულის მომწყობ ადგილობრივ კომისიებთან.

აღრიცხულ იქნეს მთელი ჩატარებული მუშაობა და ა. წ. 5 მარტისათვის ამიერ-კავკ. ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოში გადმოიგზავნოს საინფორმაციო მოხსენებები.

ამიერ-კავკ. ცაკთან არსებული ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე —
რუზბენი.

ამიერ-კავკ. ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე —
ზარემბო.

საქ. თავდაცვა-ავიაქიმში

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმმა ყველა რაიონულ, საოლქო და ავტონომიურ რესპუბლიკის ორგანოებს დაუგზავნა ცირკულიარი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 8 წლის და წითელი არმიის 11 წლის თავის ჩატარების შესახებ.

ცირკულიარში ნათქვამია, რომ ავია-ქიმის ორგანიზაციებმა მომავალი დღესასწაულები უნდა გამოიყენონ საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის განსამტკიცებლად და მშრომელთა ფართედ ჩასაბმელად გასამხედროების საქმეში.

ცირკულიარი წინადადებას აძლევს ორგანიზაციებს გამოჰყონ თავისი წარმომადგენლები დღესასწაულის ჩამტარებელ კომისიებში მონაწილეობის მისაღებად.

ავია-ქიმის ორგანიზაციები დღესასწაულის დღეებში მოაწყობენ შეჯიბრებებს სროლაში. ჩატარებული იქნება, სადაც კი მოსახერხებელია, ფართე „ქიმიური ნათვლა“. იმ ადგილებში სადაც არსებობენ ავიაქიმის უჯრედები. მოეწყობა სამხედრო ცოდნის, სასროლო, ქიმიური, საავიაციო და სხვა წრეები.

გაიხსნება კურსები ავიაქიმის აქტივის მოსამზადებლად.

ავიაქიმის ორგანიზაციები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ „სამხედრო წიგნის კვირეულში“. რომელიც ჩატარდება 15 ან 22 თებერვალამდე.

დღესასწაულის დღეებში ავიაქიმის ორგანიზაციები ჩაიბარებენ პროფკავშირების სასროლო წრეებს. წრეების გადაცემას მიეცემა საზეიმო ხასიათი.

დღესასწაულები ფართედ იქნება გამოყენებული მესამე ავიალატარიის ბილეთების გასავრცელებლად.

თანხების განაწილება კაპიტალურ მშენებლობისათვის

ა.-კ. სახკომსაბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე გაანაწილა 4.783.000 მან., რომელიც ა.-კ. ბიუჯეტით გათვალისწინებულია ვაჭრობის განვითარებელ ღონისძიებებისთვის. ამ თანხიდან 18 80.000 მან. გადადებულია საბრუნავ თანხების გასაძლიერებლად შემდეგ ორგანიზაციათა შორის: „ზაკგოსტორგ“-ს მიეცა 930,000 მან., „მოსპრომდუქტ“-ს 200,000 მან. და „ზაკავტოპრომტორგ“-ს 250,000 მან.

დანარჩენი თანხა 3,403,000 მან. რაოდენობით გადადებულია კაპიტალურ აღმშენებლობისთვის და განაწილებულია შემდეგნაირად: მაცივრებისთვის 1,610,000 მან. (საქართველოს 600,000 მან., აზერბეიჯანს 700,000 მან. და სომხეთს 310,000 მან.), მეფრინველეობისათვის 475,000 მან. (საქართველოს 361,000 მან., აზერბეიჯანს 32,000 მან. და სომხეთს 82,000 მან.), მეხილეობისთვის 391,000 მან. (საქართველოს 218,000 მან., აზერბეიჯანს 150,000 მან. და სომხეთს 23,000 მან.), საამშენებლო კაკლის ხის გასავრცელებლად 320,000 მან. (საქართველოს 100,000 მან. და აზერბეიჯანს 220,000 მან.), საექსპორტო საწყობებისთვის—329.000 მან. (საქართველოს 214,000 მან. და აზერბეიჯანს 115,000 მან.), ნავთსადგურების მექანიზაციისთვის 40,000 მან. (მთლიანად საქართველოს), ნაწლავების საქმისთვის 120,000 მან. (საქართველოს 20,000 მან., აზერბეიჯანს 85,000 მან. და სომხეთს 15,000 მან.), აბლუმინისთვის 60,000 მან. (მთლიანად აზერბეიჯანს), მებაღჩეობისთვის 240,000 მან. (საქართველოს 40.000 მან., აზერბეიჯანს 120,000 მან. და სომხეთს 80,000 მან.), მეაბრეშუმეობისთვის 30,000 მან. (მთლიანად აზერბეიჯანს) და სამკურნალო მცენარეულობისთვის 58,000 მან. (საქართველოს 35,000 მან., აზერბეიჯანს 8,000 მან. და სომხეთს 15,000 მან.). ამ თანხებიდან 3,303,000 მან. გადადებულია სახელმწიფო ბიუჯეტით, ხოლო 370,000 მან. გადადებული უნდა იქნეს საკუთარი თანხებიდან. გარდა ამისა, ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის განკარგულებაში გადადებულია 100.000 მანეთი.

წითელ ჯარში

წითელი ყაზარმის დათვალიერება

მე-2 ქართ. მსრ. ლეგიონში

მე-2 ქართ. მსრ. ლეგიონში ყაზარმის დათვალიერების კამპანია დაიწყო 28 იანვრიდან. შექმნილ იქნა კომისია ლეგიონის მასშტაბით, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა დათვალიერების საქმეს.

მიუხედავათ იმისა, რომ დათვალიერება დაგვიანებით დაიწყო, მიღწევები ლეგიონში მაინც შესამჩნევია.

მთელ ლეგიონში მოხდა წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია.

ყოველი წითელი არმიელი დღეს საკუთარი ხელით სწერს წერილს სახლში და მონაწილეობს კედლის გაზეთში.

კარგად მუშაობს ლეგიონის ახლად შეკეთებული კლუბი, რომელიც საგრძნობლად დაუახლოვდა წითელ-არმიელთა მასას. წითელი არმიელები ხალისიანად დაიარებიან კლუბში და აქტიურ მონაწილეობას იღებენ მის მუშაობაში.

მე-8 ათასეულში სამხედრო გუნდში და ლეგიონის სკოლაში მოეწყო სასადილოები. წითელ-არმიელებისათვის და კურსანტებისათვის შეძენილია დანა-ჩანგალი, ხელსაწმენდები და სხვა.

ლეგიონის სკოლისათვის გაკეთებულია 250-მდე სხვადასხვა ავეჯი.

საგრძნობლად გაუმჯობესდა საჭმელი მთელ ლეგიონში.

ასეულებში დღევანდლამდე ჩატარდა შემდეგი მუშაობა: ყოველ ასეულში მოხდა ლენინის კუთხეების გადახალისება, ლამაზად გამოიყურებიან ლეგიონის სკოლის და მე-2 ასეულის ლენინის კუთხეები. მოწყობილია ტანსაცმელის ჩამოსაკიდები. გადახალისებულია და მოწესრიგებული ასეულების ცეიხჰაუზები.

გაკეთებულია 76 ჩარჩო სურათებისათვის ტყვია-მფრქვევების დასადგმელები, მაგიდები მაჩხანა თოფების საწმენდათ.

ლენკუთხეებში გადიდებულია მაგიდების და სკამების რიცხვი.

თანხების დაუხარჯველად შეღებილია მთელი ინვენტარი, შეკეთებულია კარები და ფანჯრები.

ლეგიონის კლუბისათვის შეძენილია 100 სკამი, მოკლე ხანში სამხ. კოოპერატივი გახსნის სახაიის და მოაწყობს საბილიარდოს.

შეფმა ლეგიონს გამოუგზავნა 50 ძირი პალმა, რომლებიც ამშვენებენ კლუბს და ლენინის კუთხეებს.

ჩატარებული მუშაობა (გარდა კაპიტალური რემონტისა) დაახლოებით შეფასებულია 3844 მან. 12 კაპ. ფაქტიურად კი დახარჯულია 1879 მან. 98 კაპ.

დღევანდლამდე შესრულებულია შემდეგი კაპიტალური სამუშაო: აგებულია პირის საბანი ოთახი 60 კაცისათვის, დასრულებულია თეატრის აშენება 600 კაცისათვის, გადახალისებულია სამზარეულო.

მოკლე ხანში ლეგიონი აჭარისტანის სახ. კომისართა საბჭოსგან მიიღებს 2000 მან.

მიღწევებთან ერთად ყაზარმის დამთვალიერებელმა კომისიამ აღმოაჩინა მრავალი დეფექტები.

უნდა აღინიშნოს, რომ კომისიას დიდათ გაუადვილა მუშაობა ლეგიონის სამხედრო თათბირმა, რომელმაც შეიტანა კომისიაში მრავალი პრაქტიკული მითითებები და წინადადებები.

ყველა დეფექტები აღნუსხულია კომისიის მიერ გამოშვებულ სპეციალურ ბიულეტენში.

შემნახველ სალაროების ორკვირეულისათვის

ამიერ-კავკ. პროფსაბჭომ ამიერ-კავკ. პროფესიონალურ ორგანიზაციებს მიმართა სადირექტივო წერილით, რომელშიაც მოუწოდებს მათ შემნახველ სალაროების მომავალ ორკვირეულისათვის (რომელიც ჩატარებული უნდა იქნეს 1-დან—15 მარტამდე) გაშალონ ფართო სააგიტაციო მუშაობა და განუმარტონ პროფკავშირის წევრებს, რომ შემნახველი სალაროების მიზანს შეადგენს მოსახლეობის თავისუფალი თანხების მოზიდვა და ამ თანხების მიზანშეწონილად გამოყენება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის. ორკვირეულის დროს ფართედ უნდა იქნენ გამოყენებული მუშათა კლუბები და წითელი კუთხეები, სადაც შეძლებისდაგვარად უნდა მოეწყოს შემნახველ სალაროს კუთხე, გაიმართოს წარმოდგენები და სხვ

მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე, სადელეგატო კრებებზე და საამქროების კრებებზე გაკეთებულ უნდა იქნეს მოხსენებები შემნახველი სალაროების ორკვირეულის შესახებ

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ორკვირეულის ჩატარებას სოფლად (განათლების მუშაკთა, მიწა-ტყის მუშაკთა, მედსანშრომის მუშაკთა კავშირების ხაზით). ამ მიზნით მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული სოფლის კულტ-განმანათლებელი ორგანიზაციები (სამკითხველოები, სკოლები). ორკვირეულის პოპულიარიზაციის საქმეში სოფლად ჩაბმული უნდა იქნეს ადგილობრივი ინტელიგენცია (მასწავლებლები, აგრონომები, ექიმები).

ამავე მიზნით გამოყენებული უნდა იქნეს პროფკავშირების ჟურნალ-გაზეთები და კედლის გაზეთები, რომლებშიაც პოპულიარულ ენაზე უნდა იწერებოდეს წერილები ორკვირეულის მიზნების და ამოცანების შესახებ.

ორკვირეულის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემნახველ სალაროების აპარატში მუშურ ელემენტების გაძლიერებას და ამ აპარატში ბიუროკრატიზმის და საქმის გაჭიანურების აღმოფხვრას.

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოში

ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ამიერ-კავკ. შრომის სახ. კომისარიატს ამა წ. 1 აპრილამდე წარუდგინოს ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებების მოსამსახურეთა ხელფასის გათანაბრების, ხუთწლიანი გეგმა. ეს გეგმა აგებული უნდა იქნეს სხვადასხვა კვალიფიკაციის თანამშრომელთა ხელფასის სწორ შეფარდებაზე.

ამიერ-კავკ. შრომის სახ. კომისარიატს, ამიერ-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარიატს და ამიერ-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციას წინადადება მიეცათ გამოიკვლიონ იმ დაწესებულებათა შტატები და ხელფასი, რომლებშიაც ჩატარებული იქნა ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება და გამოკვლევის შედეგები აცნობონ ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს.

ბრძოლა ცრუკოოპერატივებთან

ცრუკოოპერატივებთან ბრძოლის მიზნით, ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ამიერ-კავკ. რესპუბლიკათა მთავრობებს—მიიღონ ზომები, რათა გაუმჯობესებული იქნეს კონტროლი და თვალყურის დევნება იმ კოოპერატივების მოღვაწეობაზე, რომლებიც არ ითვლებიან კავშირების წევრებათ. ცრუკოოპერატივების გამოსაშკარავებლად ყოველწლიურად უნდა ჩატარდეს კავშირების გარეშე მყოფ კოოპერატივების გამოკვლევა

ამიერ-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციას დაევალა ერთი წლის, შემდეგ წარუდგინოს ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს მოხსენება ცრუკოოპერატივებთან ბრძოლის შედეგების შესახებ.

საძოვრები

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ დაავალა საქართველოს და აზერბეიჯანის სახ. კომისართა საბჭოებს წინადადება მისცენ მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატებს, რათა შეთანხმებით საქართველოს მეცხვარეთა საზამთრო საძოვრებით უზრუნველყოფის საკითხი და ამა წლის 1 მაისამდე წარუდგინონ ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს მოხსენება ამ საკითხის მოსაგვარებლად საჭირო ღონისძიებების შესახებ.

ძნელად გასასაღებელი სას.-სამ. იარ.-მანქანები

ძნელად გასასაღებელ სას.-სამ. იარაღ-მანქანების გადაფასებით გამოწვეული ზარალი აზერბეიჯანსა და სომხეთში ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ დაამტკიცა 38.027 მან. რაოდენობით. აქედან „ზაკსელმაში“-ს ზარალი —15.332 მან., „ქებირილიგი“-ს ზარალი—20.792 მან., „სოფლის კავშირი“-ს—882 მან. და საქართველოს მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის 1.019 მანეთი. ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს დადგენილებით „ზაკსელმაში“-ს ზარალი დაფარული უნდა იქნეს „ზაკსელმაში“-ს მომავალ მოგებებიდან, ხოლო „სოფლის კავშირ“-ს, „ქებირილიგი“-ს და საქართველოს მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის ზარალი დაფარული იქნება იმ თანხიდან, რომელიც გამოყოფილი იქნება მანქანებით მოვაჭრე ორგანიზაციების საბრუნავი თანხების გასაძლიერებლად.

ს.-სამეურნეო გადასახადის აკრეფა დამთავრდა

ამიერ-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარიატის სას.-სამ. გადასახადის განყოფილების ცნობით, 1 თებერვლისათვის მთელ ამიერ-კავკასიაში დამთავრდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა. აკრეფილია სულ 8.579.995 მანეთი. აქედან საქართველოში აკრეფილია 2.498.880 მანეთი, აზერბეიჯანში 4.458.982 მან. და სომხეთში—1,622.133 მანეთი. საბიუჯეტო დავალება მთელ ამიერ-კავკ. შესრულებულია —87,4 პროცენტით. აქედან საქართველოში —81,28 პროცენტით, აზერბეიჯანში—92,08 პროცენტით და სომხეთში 84,02 პროცენტით. საგადასახადო დავალება შესრულებულია მთელ ამიერ-კავკასიაში—95,33 პროცენტით.

გასული წლის 1 თებერვლისათვის მთელ ამიერ-კავკასიაში შეკრებილი იყო 5.759.727 მანეთი.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა წელს გაცილებით უფრო ინტენსიურად სწარმოებდა, ვიდრე გასულ წელს. ეს გარემოება ნაწილობრივად იმით აიხსნება, რომ სას.-სამ. გადასახადის კანონში გასულ წელს შეტანილი იქნა ცვლილებები, რომლების თანახმად გადასახადი საგრძნობლად შემცირებულია მცირე შეძლების გლეხებისათვის და გადასახადის სიმძიმე გადატანილია შეძლებულ გლეხობაზე.

1 თებერვლიდან ადგილები აწარმოებენ ნარჩენების აკრეფას.

ახალი კოოპერატივები

საქართველოს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულმა საკოოპერაციო საქმეთა სამმართველომ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაამტკიცა შემდეგი ახალი კოოპერატივები: თბილისის ხის დამმუშავებელთა სარეწ. კოოპ. არტელი „მუშა“, სოფ. ბაღდადის (ქუთ. მაზ.) ხე-ტყის მხერხავთა სარეწ. კოოპ. არტელი „ხერხი“, ქ. შაუმიანის ტანისამოსის მკერავთა სარეწ. კოოპ. არტელი „შანტა“, ქუთაისის ფეხსაცმელების მკერავთა სარეწ. კოოპ. არტელი „სინათლე“. ქუთაისის მზარეულთა სარეწ. კოოპ. არტელი „წინსვლა“, ლანჩხუთის ევროპიულ ფეხსაცმელების მკერავთა სარეწ. კოოპ. არტელი „ზაჰესი“, ოზურგეთის სატრანსპორტო სარეწ. კოოპ. არტელი „ტვირთი“ სოფ. ჯუმათის (ოზურგეთის მაზრა) ფეხსაცმელების მკერავთა სარეწ. კოოპ. არტელი „შეღავათი“, ზუგდიდის ქალთა ტანისამოსის მკერავების სარეწ. კოოპ. არტელი „ქალთა თვითშრომა“, მანგლისის მეჩექმეთა სარეწ. კოოპ. არტელი „მშრომელი“. თბილისის ნოხების დამმზადებელთა სარეწ. კოოპ. არტელი „ნოხი“. ანაკლის რაიონის (ზუგდიდის მაზრა) აზიურ ფეხსაცმლების მკერავთა სარეწ. კოოპ. არტელი „შრომა“, დიდი ჭყონის (სენაკის მაზრა) მეწაღეთა სარეწ. კოოპ. არტელი „შრომა“, ქალ. ფოთის აზიურ ფეხსაცმელების მკერავთა სარეწ. კოოპ. არტელი „პირველი მაისი“, სოფ. ნუკრიანის (კახეთის მაზრა) ხარაზთა სარეწ. კოოპ. არტელი „განთიადი“, ქვემო მაჩხაანის ურმების მკეთებელთა და მჭედლების სარეწ. კოოპ. არტელი „ღამის მეხრე“, სიღნაღის მაზრის ხარაზთა სარეწ. კოოპ. არტელი „ერთობა“. ხაშურის გრეხილ-ავეჯეულობის მკეთებელთა სარეწ. კოოპ. არტელი „გრეხილი ავეჯი“. დაბა ქარელის მეჭუდეთა სარეწ. კოოპ. არტელი „წითელი სხივი“, სიღნაღის ტანისამოსის მკერავთა სარეწ. კოოპ. არტელი „ნემსი“, ახალციხის დაბლების სარეწ. კოოპ. არტელი „დამცველი“, სოფ. ამბროლაურის (რაჭა-ლეჩხუმის მაზრა) ფეხსაცმელების მკერავთა სარეწ. კოოპ. არტელი „თვითშრომა“, შიათურის შავი ქვის მრეწველთა არტელი „ნდობა“, სოფ. სართიჭალის (თბ. მაზრ.) მეწაღეთა და მეჩექმეთა სარეწ. კოოპ. არტელი „გლეხი“. ტყიბულის მეჩექმეთა სარეწ. კოოპ. არტელი „მეომარი“ თბილისის ბუხჰალტერთა სარეწ. კოოპ. არტელი „ბუხჰალტერ-რევიზორი“, სოფ. კუმისის (თბ. მაზრ.) მატყლის დამრთავთა სარეწ. კოოპ. არტელი „კუმისი“, დაბა სუჯუნის (სენაკის მაზრა) ბამბეულის-აბრეშუმის მქსოველთა სარეწ. კოოპ. არტელი „პირველი საფეხური“, თბილისის ბამბეულის ნაწარმოების მკეთებელთა სარეწ. კოოპ. არტელი „მშრომელი“, სოფ. ჭრებალოს (რაჭა-ლეჩხუმის მაზრა) დურგლების და კალატოზების სარეწ. კოოპ. არტელი „მშენებელი“, სოფ. დიდი ჯიხაიშის (ქუთ. მაზრ.) კოოპ. სასადილო „წითელი სასადილო“. სოფ. ვომბორის (თბ. მაზრ.) მენახშირეთა და ხის მასალის დამმზადებელთა სარეწ. კოოპ. არტელი „წითელი ოქტომბერი“. დაბა აბაშის ევროპიულ ფეხსაცმელების მკერავთა სარეწ. კოოპ. არტელი „ახალი ნაბიჯი“. რაჭა-ლეჩხუმის მაზ. სოფ. საირმის მევენახეთა არტელი „შრომის გაუმჯობესება“, სოფ. ჭანის (რაჭა-ლეჩხუმის მაზრა) მევენახეთა არტელი „ცოლკაური“, სოფ. ორიცხვის (რაჭა-ლეჩხუმის მაზ.) სას. სამ. არტელი „გლეხის წინსვლა“, სოფ. ღების (რაჭა-ლეჩხუმის მაზ.) მესაქონლეთა სას. სამ. არტელი „რიონის თავი“, სოფ. ზოგაშის (რაჭა-ლეჩხუმის მაზ.) მეღორეთა არტელი „ჯიში“. სოფ. ურშის (რაჭა-ლეჩხუმის მაზ.) სას. სამ. არტელი „აკის პირი“, სოფ. შეუბანს (რაჭა-ლეჩხუმის მაზ.) მეხილე-მევენახეთა არტელი „შეუბანი“, სოფ. ჭამლეთის (რაჭა-ლეჩხუმის მაზრა) მეხილე-მეაბრეშუმეთა არტელი „პირველი ნაბიჯი“, სოფ. ბაღდათის სას. სამ. არტელი „წითელი ბაღდადი“, სოფ. ეჭადიას (ოზურგეთის მაზ.) სას. სამ. არტელი „ჩვენი ბოზანი“, სოფ. ომფარეთის (ოზურგეთის მაზ.) სას. სამ. არტელი „ახალი მიზანი“, სოფ. წითელ უბნის (ოზურ. მაზ.) სას. სამ. არტელი „წითელი უბანი“. სოფ. ნიაბაურის (ოზ. მაზ.) სას. სამ. არტელი „ნორჩი მეურნე“ სოფ. ქვედა ნაბეღლის (ოზ. მაზ.) სას. სამ. არტელი „ოქროს მუხური“, სოფ. ეწერის კუთხის (ოზ. მაზ.) სას. სამ. არტელი „სტალინი“, სოფ. ქვედა ბახვის (ოზ. მაზ.) სას. სამ. არტელი „პროლეტარი“, სოფ. ოზურგეთის სას. სამ. არტელი „წითელი ოქტომბერი“, სოფ. სამხვთოს (ოზ. მაზ.) სას. სამ. არტელი „პირველი ნაბიჯი“, სოფ. კონჭკათის (ოზ. მაზრ.) სას. სამ. არტელი „ძმობა“. სოფ. უფლისკარი (სენაკის მაზ.) სას. სამ. არტელი „შრომის სხივი“. სოფ. შუაეკის (სენაკის მაზრ.) სას. სამ. არტელი „ჩვენი იმედი“, სოფ. კიწიის (სენაკის მაზ.) სას. სამ. არტელი „გუთანი“ სოფ. დოშაყის (სენაკის მაზრა). სას. სამ. არტელი „ჯგირი საქმე“, სოფ. ალერტის (სენაკის მაზ.) სას. სამ. არტელი „სამაგალითო“, სოფ. გურძემის (სენაკის მაზრა) სა. სამ. არტელი „გამაკეთი“, სოფ. დოშაყის (სენაკის მაზ.) სას. სამ. არტელი „წითელი დროშა“, სოფ. ნოღას (სენაკის მაზ.) სას. სამ. არტელი „სამოთხე“. სოფ. წყერის (გორის მაზრა) მიწის საზ. შრომით დამმუშავებელი ამხ-ბა „მნათობი“, სოფ. ზემო ხოდაშნის (თელავის მაზ.) მიწის საზ. შრომით დამმუშავებელი ამხ-ბა „ზემო ხოდაშენი“, სოფ. ანაგის (კახეთის მაზ.) მიწის საზ. შრომით დამმუშავებელი ამხ-ბა „შრომა და ცოდნა“, სოფ. სანიორეს (კახეთის მაზ.) მიწის საზ. შრომით დამმუშავებელი ამხ-ბა „პირველი მაისი“. სოფ. კარდანახის ლენინის სახელობის სას. სამ. არტელი ახალქალაქის მაზ. სოფ. დანკალის სას. სამ. არტელი „წითელი სოფელი“. ახალქალაქის მაზ. სოფ. აბულის მიწის საზ. შრომით დამმუშავებელი ამხ-ბა „ნორ-კიანკი“, ახალქალაქის მაზ. მურჯახეთის მიწის საზ. შრომით დამმუშავებელი ამხ-ბა „ინტერნაციონალი“, ახალქალაქის მაზ. სოფ. სულდის მოლოტოვის სახელობის მიწის საზ. შრომით დამმუშავებელი ამხ—ბა, ახალქალაქის მაზ. სოფ. ვანძის სას.სამ. არტელი „ახალი გზა“, ახალქალაქის მაზ. სოფ. მამზარის ფ. მახარაძის სახელობის მიწის საზ. შრომით დამმუშავებელი ამხ-ბა, ზუგდიდის მაზ. სოფ. ხორშის აზიურ ფეხსაცმელის მკერავთა სარეწ. კოოპ. არტელი „ოქტომბერი“. ნავთლუღის რაიონის სარეწ. კოოპ. არტელი „ხიმიტილი“, თბ. მეჭურჭლეთა სარეწ. კოოპ. არტელი „სიხარული“, ახ. მაზ. სოფ. წითელ წყაროს სამთამადნო სარეწ. კოოპ. არტ. „წითელი მთამადნელი“. თბ. სატრანსპორტო სარეწ. კოოპ. არტელი „გუჯტრანსპორტი“

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

თქვენი გაზეთის იანვრის 27 ნომერში მოთავსებული იყო პ. იონოვის წერილი რედაქციის მიმართ, რომელიც ეხებოდა მისი ბროშურის „Что такое правый уклон“-ის ქართულ თარგმანს. ამხ. იონოვი აცხადებდა, რომ თარგმანის დროს დაშვებულია მთელი რიგი შეცდომები, რომელნიც აზრს ამახინჯებენო, და პროტესტს აცხადებდა სახელგამის წინააღმდეგ მისი ბროშურისადმი ასეთი დაუდევარი მოპყრობისათვის.

ამხ. იონოვს კარგად მოეხსენება, რომ მისივე წინადადებით მისი ბროშურა სახელგამმა ძალიან საჩქაროდ გამოსცა. ამისთანა სიჩქარის პირობებში შეცდომები ყოველთვის მოსალოდნელი იყო. მაგრამ აზრის დამახინჯებას თარგმანში ადგილი არ ჰქონია და ამხ. იონოვმა რომ ქართული იცოდეს, ამაში თვითონ ხაც ადვილად დარწმუნდებოდა. თარგმანის ავკარგიანობისა და ამხ. იონოვის ასეთ კატეგორიული განცხადების საფუძვლიანობის განსახილველად საქართველოს სახელგამმა დაუყოვნებლივ შეადგინა სპეციალური კომისია, რომელშიაც შევიდა ორი წევრი ცენტრალური სატერმინოლოგიო კომისიისა—ვუკოლ ბერიძე და ალ. აბაშელი და ერთიც პარტიული ამხანაგი —დ. გვაზავა (ლიტერატორი).

კომისიამ ყურადღებით განიხილა მთელი თარგმანი და, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოიტანა ისეთი დასკვნა, რომელიც სრულიად არ ამართლებს ამხ. იონოვის ნამეტნავად ნაჩქარევ გამოლაშქრებას. ჩვენ არ შევეხებით კომისიის დასკვნას დაწვრილებით (მთელ ამ დასკვნას რედაქციას ვუგზავნით), მაგრამ მოგვყავს ამ დასკვნის უკანასკნელი (6) მუხლი, რომელიც ამხ. იონოვისადმი საუკეთესო პასუხია:

„კომისია ამოწმებს, რომ თარგმანში არის მეტად კარგად შესრულებული რთული ადგილების მთელი რიგი, და ის დეფექტები, რომლებიც ზემოდ აღინიშნა, არ ამახინჯებენ ბროშურის ავტორის აზრის მთლიან ხაზს, და თუ მივიღებთ მხედველობაში პირველ ორ მუხლში ჩამოთვლილ ხელის შემშლელ პირობებს და იმ გარემოებას, რომ სოციალ-პოლიტიკური ხასიათის ტერმინები ქართულად ჯერ-ჯერობით არ არის სათანადოდ დამუშავებული, უნდა ითქვას, რომ ამხ. იონოვის ბროშურის ქართული თარგმანი შედარებით დამაკმაყოფილებელია და ამ თარგმანის გამო სახელგამის მიმართ პრესაში გამოთქმული საყვედური გადაჭარბებულად უნდა ჩაითვალოს“.

სახელგამის გამგე ბ. ბიბინეიშვილი.

შეცდომა აღიარებულ უნდა იქნას

(სახელგამის განმარტების გამო)

ამხ. იონოვის ბროშურის „Что такое правый уклон“-ის ქართულ გამოცემის შესახებ ავტორმა აღნიშნა, რომ თარგმანში დაშვებულია მთელი რიგი შეცდომები, რომლებიც აზრს ამახინჯებენო. ამ დებულებას არ ეთანხმება არც სახელგამის (რომელმაც ეს წიგნი გამოსცა) გამგე ამხ. ბ. ბიბინეიშვილი და არც სპეციალური კომისია, რომელიც თარგმანის შესამოწმებლად ყოფილა შედგენილი. კომისიის დასკვნის მიხედვით, „თარგმანში არის მეტად კარგად შესრულებული რთული ადგილების მთელი რიგი, და ის დეფექტები, რომლებიც ზევით აღინიშნა (კომისიას მოყავს ზოგიერთი შეცდომა), არ ამახინჯებენ ბროშურის ავტორის მთლიან აზრს“.. კომისია საერთოდ კი აცხადებს: თარგმანი „შედარებით დამაკმაყოფილებელია“-ო.

რამდენად მართალია თარგმანის ასეთი შეფასება? ჩვენ ვაცხადებთ: ამხ. იონოვის ხსენებული წიგნაკი თავიდან ბოლომდე მეტად სუსტადაა გადათარგმნილი; თარგმანში არ მოიპოვება არც ერთი „რთული ადგილი“ (არამც თუ „მთელი რიგი“), რომელიც „მეტად კარგად“ იყოს შესრულებული; ავტორის აზრები ბევრგან დამახინჯებულია.

თვით კომისიას თარგმანში აღმოუჩენია ზოგიერთი შეცდომა: „Нужно не ехать по мещански“ გადათარგმნილია ასე: „საჭიროა არა მეშჩანური გზით წასვლა...“ (6 გვ.) მაგრამ კომისია მთარგმნელს ბოდიშს ხდის: ахать“ წაუკითხავს, როგორც „ехать“-ო. ვთქვათ, მთარგმნელი „თვალმა მოატყუა“, მაგრამ განა დასაშვებია მექანიკურად თარგმნო და აზრს არ ჩაუკვირდე?! შემდეგ: „Заострить борьбу“ გადათარგმნილია „გავამწვავოთ ბრძოლა“ (53 გვ.). „подкупать“—„შეიდვა“ (საქონელი ხომ არ არის) „маска“ „ჩადრი“ (55 გვ.) ამავე დროს, კომისიის გადმოცემით, ქართულ თარგმანში შემჩნეული ზოგი შეცდომა მთარგმნელს კი არ დაუშვია, არამედ კორექტორს. მაგ., თარგმანის ხელნაწერში ყოფილა: „მთავარი მიზეზი მეორე ინტერნაციონალის გაკოტრებისა...“ (გვ. 10), დაბეჭდილში კი გამოტოვებულია სიტყვა მეორე. „მემარცხენე ფრაზით ფარავდა“... (გვ. 10), ხოლო გამოცემულ წიგნში წერია „ფრთით“ და სხვ.

ეს და სხვა მაგალითები, რომლებიც კომისიას მოყავს თავის დასკვნაში *), სრულებით არ შეესაბამებიან კომისიის მიერ მოცემულ შეფასებას.

დამატებით ჩვენ მოვიყვანთ სხვა შეცდომებს, რომლებიც რატომღაც არ არის აღნიშნული კომისიის ოქმში.

მაგ., მეორე პარაგრაფის სათაური რუსულად ასეთია: „Неизбежность противоречий и уклонов в партии“ (რუს. გვ. 4), ქართულად კი ვკითხულობთ: „წინააღმდეგობანი და გადახრები პარტიაში აუცილებლად იქნება“ (გვ. 4), იქნება ე. ი. მხოლოდ მომავალში? აზრი აშკარად დამახინჯებულია. დაახლოებით ესევე ფრაზა განმეორებულია ტექსტშიც (გვ. 5). შემდეგ: Он („მემარცხენე“) не видит, не понимает необходимости?. “ (გვ. 9); ქართულად; „ის არ უყურებს 'უნდა იყოს: ვერ ხედავს, გ. კ.), არ ესმის აუცილებლობა...“ სიტყვების შეთანხმება ასეთი უნდა: „-ს.. არ ესმის აუცილებლობაა! (იხ. აგრ. გვ. 41). „...Забывая о наличии классовой борьбы между пролетариатом и крестьянством...“ (გვ. 10); ქართულად: „...დაავიწყდათ, (,) რომ საჭიროა (ხაზი ჩვენია გ. კ.) კლასობრივი ბრძოლის წარმოება გლეხობასთან...“ (გვ. 11). „საჭიროა“. . ასე ითარგმნება სიტყვა „О наличии“, რაც სრულიად ამახინჯებს აზრს.

კომისია ამბობს, რომ თარგმანში „რთული ადგილები მეტად კარგადაა შესრულებული“. ვნახოთ ერთი ასეთი ადგილი: „История рабочего движения показывает теперь, что во всех странах предстоит ему (и оно уже началось) пережить борьбу нарождающегося, крепнущего, идущего к победе коммунизма прежде всего и главным образом со своим (для каждой страны) „меньшевизмом“... (გვ. 10); ქართულად: „მუშათა მოძრაობის ისტორია გვიჩვენებს ეხლა, რომ მას მოუხდება ბრძოლა (და ის უკვე დაწყებულია) წარმოშობისა, გამაგრებისა და გამარჯვებისაკენ მიმავალ კომუნიზმისათვის უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად თავის (თვითეულ ქვეყანაში) „მენშევიზმთან“... (გვ. 12). ჯერ ერთი, აქ გამოტოვებულია სიტყვები: „во всех странах“ (რაც კომისიამაც შენიშნა), შემდეგ: რა უაზრობაა—„წარმოშობისა(კენ)... მიმავალ კომუნიზმისათვის“, ბოლოს რუსული ტექსტის მიხედვით, მუშათა მოძრაობამ უნდა განიცადოს კომუნიზმის ბრძოლა მენშევიზმთან, ქართულ თარგმანში კი ლაპარაკია იმაზე, რომ მუშათა მოძრაობას მოუხდება ბრძოლა მენშევიზმთან კომუნიზმისათვის. აქ საჭირო იყო მეტი სიფრთხილე, მით უმეტეს, რომ აღნიშნული სიტყვები წარმოადგენენ ციტატას ლენინის ნაწერებიდან.

გავყვეთ ქვევით: „...они (ახალი მუშები) только вчера были выброшены из рядов мелкой буржуазии“. (გვ. 15); „из рядов“ ქართულად ნათარგმნია: „სანგრებიდან“ (გვ. 15). მაგრამ მივაწეროთ ეს კორექტორულ შეცდომას. „...при всяких передрягах, которые переживала“... (გვ. 16); ქართულად: „ყოველგვარ განგაშის დროს, რომელსაც განიცდიდა...“ (გვ. 19). არც „განგაში“, არც „განცდა“, ამ შემთხვევაში არ გამოდგება. „...знанием троцкистского противника...“ (გვ. 16); ქართულად: „...ტროცკიზმის მოწინააღმდეგისათვის საჭირო ცოდნით“ (გვ. 19). რუსულ ტექსტში ლაპარაკია იმაზე, რომ პარტიის ახალგაზრდა წევრებს უნდა შევასწავლოთ ტროცკისტული მოწინააღმდეგე, ტროცკიზმი, ქართული თარგმანი კი ტროცკიზმის მოწინააღმდეგეს ეხება. „...образуя могущественный слой рабочей бюрократии во имя капитализма и на капитализм...“ (გვ. 17); ქართულად:: „...შეიქმნა მუშათა ბიუროკრატი(ი)ს უძლიერესი ფენი, რომელიც მუშაობს კაპიტალიზმის ძლიერებისათვის და კაპიტალიზმის წყალობით“ (გვ. 20). სხვას თავი გავანებოთ, რა შუაშია აქ „წყალობით“.

„...тут нужно искать источник силы международного меньшевизма, до сих пор ведущего огромные массы европейского и американского пролетариата...“ (გვ. 17); ქართულად: ... აქ უნდა ვეძებოთ წყარო საერთაშორისო მენშევიზმის ძლიერებისა, რომელსაც მიჰყვება (თუ მიჰყვებიან?) ევროპის და ამერიკის უდიდესი მასები“. ცხადია, ერთი და იგივე არ არის „ведущего“ და „მიჰყვება“

„...„левые“ троцкисты к XV партийному съезду...“ (გვ. 22); ქართულად: „...„მემარცხენე“ ტროცკისტები მე-15 პარტყრილობამდის..“ გვ. 27) „პარტყრილობამდის“ ამ შემთხვევაში არ გამოსახავს რუსული ტექსტის აზრს; უნდა იყოს: მე-15 პარტყრილობის დროისათვის, მომენტისათვის. „... в борьбе с какими врагами внутри рабочего движения вырос.. большевизм“ (გვ. 23); ქართულად სიტყვა „в борьбе“ გამოტოვებულია და სწერია „... რომელი მტრის წინააღმდეგ გაიზარდა“ და სხვ. (გვ. 28), „...под небом капиталистического общества“ (გვ. 24) ქართულად: „...კაპიტალისტურ საზოგადოების სამყაროს ქვეშ“. „Небо“ მთარგმნელს თურმე სამყარო ჰგონებია. თვით ასეთი გამოთქმა ქართულად არაფრად ვარგა. „...Германская революция, освободившая нас от Брестской петли...“ (გვ. 25); ქართულად: „...ბრესტის ლვლეჭ დან“. „ლვლეჭი“—რა ლიტერატურული სიტყვაა!. „...если правый уклон становится центральным и наиболее опасным в период развернутого наступления...“ (გვ. 2?); ქართულად: „...თუ მემარჯვენე გადახრა ხდება ცენტრალური და ყველაზე მეტად სახიფათო გაშლილი თავდასხმის პერიოდში...“ „Наступление“ არის შეტევა და არა თავდასხმა. „Но в то же время съезд с такой же решительностью осуждает попытки затушевать основной вопрос политики в деревне“ (გვ. 27); ქართულად: „მაგრამ ყრილობა იმავე დროს (თუ ამავე დროს?) ასეთივე (თუ ასევე?) გადაჭრით ეწინააღმდეგება (თუ გმობს, კიცხავს?) სოფლად კომუნისტური პარტიის ძირითადი პოლიტიკის მიჩქმალვას“. (გვ. 32) გამოტოვებულია სიტყვა „вопрос“; უნდა იყოს „პოლიტიკის ძირითადი საკითხის“ და სხვ. „...о кооперации, как основной организационной форме движения деревни к социализму...“ (გვ. 32); ქართულად სიტყვა „основной“ გამოტოვებულია. „...Снова в стране зазвучали кулацкие выстрелы...“ (გვ. 29); ქართულად: „ისევ ჩვენს ქვეყანაში...“ და სხვ. (გვ. 35) უნდა იყოს: „ჩვენს ქვეყანაში ისევ (კვლავ)“... და სხვ. ეს არ არის სიტყვის (ისევ) უბრალო გადასმა, არამედ საჭიროა აზრის სისწორისათვის.

„... Мы корней капитализма не вырвали и фундамент, основу для внутреннего врага не подорвали...“ (გვ. 31); ქართულად „...ჩვენ კაპიტალიზმის ფესვები არ ამოგვიგდია, არც ფუნდამენტი, საძირკველი დაგვინგრევია ჯერ შინაური მტრისათვის“ (გვ. 37). რუსულში აქ მეორე წინადადება პირველის განვითარებაა, ხოლო ქართულში „არც“ იმას ნიშნავს, რომ თითქო ეს მეორე წინადადება სრულიად ახალ აზრს შეიცავდეს. „Хозяйственный мужик“ (გვ. 31 და 32) გადმოთარგმნილია მეურნე გლეხად (გვ. 38), რაც, უეჭველად, ამახინჯებს აღნიშნულ რუსულ სიტყვით გამოთქმულ ცნებას.

კმარა. ჩვენ არ შეგვიძლია შევჩერდეთ სხვა შეცდომებზე, რომლებიც ბლომადაა გაფანტული მთელი წიგნაკის მანძილზე. არას ვიტყვით იმაზე, რომ მთარგმნელს არა აქვს დაცული სტილის ერთიანობა და არ უვარგა ქართული ენის კონსტრუქცია. სათანადო მაგალითების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა: საჭირო გახდებოდა თითქმის მთელი ბროშურის გადმობეჭდვა.

ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ არ გვესმის, თუ რითი ხელმძღვანელობენ კომისია (რომელსაც თურმე თარგმანი დედანთან „დეტალურად“ შეუდარებია) და ამხ. ბიბინეიშვილი, როცა თარგმანს ზემოხსენებულ ატესტაციას აძლევენ და ამით მთარგმნელთან ერთად მისი შეცდომებისათვის პასუხისმგებლობას კისრულობენ

მიუდგომლობის დასაცავად საჭიროა შევეხოთ იმ გარემოებებს, რომლებსაც ისინი ასახელებენ თავისი აზრის გასამართლებლად: ბროშურა ნაჩქარევად იქნა გადათარგმნილიო. სისწრაფე საგაზეთო მუშაობაში აუცილებელი და გასაგებია. ხშირად მეტად დაგვიანებით მოსული დიდი მასალა მაშინვე უნდა გადათარგმნო (თუ უცხო ენაზეა), გაასწორო და ააწყო, რომ მეორე დღეს გამოვიდეს. ასეთ დროს შეცდომები ხანდახან ძალაუნებურად გაიპარება.

მაგრამ წიგნის გამოცემის დროს ამას ადგილი არა აქვს, ან, ყოველ შემთხვევაში, არ უნდა ჰქონდეს. კერძოდ, სახელგამს ვერავინ აიძულებდა ამხ. იონოვის ბროშურა გამოეცა ისეთი დაჩქარებით, რომ თარგმანი ყოფილიყო სრულიად უვარგისი. განა არ აჯობებდა მკითხველისათვის და თვით სახელგამის პრესტიჟისათვის, რომ კიდევ ერთი-ორი დღე მოენდომებიათ თარგმნისა და კორექტურისათვის? გარდა ამისა, კომისია იმაზე მიგვითითებს, რომ „სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის ტერმინები ქართულად ჯერ ჯერობით არ არის სათანადოთ დამუშავებული“. ნაწილობრივ ეს მართალია, მაგრამ ამ გარემოებით მხოლოდ მცირეოდნად თუ აიხსნება ის უამრავი, აზრის უხეშად დამმახინჯებელი, შეცდომა, რაც ბროშურაშია გაბნეული. მოყვანილი მაგალითებიდან და თვით წიგნაკის წაკითხვიდან ადვილად დავინახავთ, რომ აქ საქმე გვაქვს უფრო მთარგმნელის პოლიტიკურ და ქართულ და რუსულ ენების უცოდინარობასთან.

ამ ბროშურის თარგმანზე ამდენს არ შევჩერდებოდით, რომ მას სრულიად მოულოდნელად „დამცველები“ არ გამოსჩენოდნენ. ჩვენს ნაკლოვანებებს ხელს კი არ უნდა ვაფარებდეთ, არამედ უნდა შეუბრალებლად ვამხელდეთ—მათი გამოსწორების მიზნით.

სახელგამი ბლომად სცემს ნათარგმნ ლიტერატურას, და კარგადაც იქცევა. მაგრამ უბედურება ის არის, რომ თარგმანი ხშირად ძალზე მოისუსტებს; ეს ითქმის არა მარტო ამხ. იონოვის, არამედ მრავალ სხვა წიგნის ქართულ თარგმანზე.

საჭიროა ამ ნაკლის გამოსწორება. სახელგამმა უნდა შეარჩიოს მომზადებულ და გამოცდილ მთარგმნელთა შტატი. ეხლა კი თარგმანს ხშირად ავალებენ შემთხვევით პირებს, რომელთაც ამ საქმესთან საერთო არაფერი უნდა ჰქონდეთ. ამასთან საჭიროა, რომ მთარგმნელის და რედაქტორის ვინაობა ნათარგმნ წიგნზე იყოს აღნიშნული. ეს აუცილებლად მეტ პასუხისმგებლობას აგრძნობინებს მათ..

გ. კ.

---

*) კომისიის ეს დასკვნა ანუ ოქმი ზემოთ მოთავსებულ წერილთან ერთად სახელგამმა გამოუგზავნა რედაქციას.

საწარმოო თათბირების მუშაობის შემოწმება

რკინის გზებზე დათვალიერება უკვე დაიწყო

ამიერ-კავკ. რკინის გზებზე საწარმოო თათბირების და კომისიების მუშაობის შემოწმების კამპანია უკვე დაიწყო.

შემოწმების ჩასატარებლად შექმნილია სპეციალური კომისიები გზის და უბნების მასშტაბით. გარდა ამისა კომისიები გამოყოფილია ცალკე საწარმოო თათბირებთან.

საწარმოო თათბირების და კომისიების დათვალიერებაში მუშათა ფართო მასების ჩაბმის მიზნით რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტმა საუბნო კომიტეტებს და ადგილკომებს დაუგზავნა სათანადო ინსტრუქციები, ლოზუნგები და პლაკატები.

ადგილებიდან მიღებული ცნობებიდან სჩანს, რომ იქ საწარმოო თათბირების და კომისიების დათვალიერებაში მუშათა მასები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ.

დაგზავნილ ინსტრუქციებში სხვათა შორის ნათქვამია, რომ საუკეთესო საწარმოო თათბირებს მიეცემათ ჯილდოები.

ჯილდოების დასარიგებლად საგზაო კომიტეტის მიერ გადადებულია 2,000 მან.

საწარმოო თათბირების და კომისიების დათვალიერება უნდა დამთავრდეს 1 მარტისათვის.

საზ-ბა „წერა-კითხვა“-ში

გუშინ საღამოს, საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტში, ამხ. ფ. მახარაძის კაბინეტში, შესდგა საზ-ბა „წერა-კითხვა“-ს ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა.

სხდომაზე სხვა საკითხებთან ერთად განხილული იქნა საკითხი პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ ბრძოლაში. აღნიშნულ საკითხზე მოსმენილ იქნა ამხ. ბოკერიას მოხსენება. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, საქართველოს პროფესიონალური და კოოპერატიული ორგანიზაციების მონაწილეობა წ.-კ. უცოდინარობის წინააღმდეგ ბრძოლაში სუსტია. აღნიშნული ორგანიზაციების მონაწილეობა მაზრებში სრულებით არა სჩანს. მაზრებში კი პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციების წევრთა შორის მრავლად მოიპოვებიან წერა-კითხვის უცოდინარები. მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია, რომ ხსენებულმა ორგანიზაციებმა თავიანთ კულტფონდებიდან გაიღონ განსაზღვრული თანხები წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის

სხდომამ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა კოოპერატიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების წინაშე, რათა მათ გადასდონ კულტურულ ფონდებიდან განსაზღვრული წვლილი წ.-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმისათვის.

ქრონიკა

ამხ. ფ. მახარაძის დაბრუნება

ბათომიდან დაბრუნდა და თავის მოვალეობის ასრულებას შეუდგა საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე.

ამხ. ს. ხმალაძის დანიშვნა

ამხ. ა. სადჟაიას გადაყვანის გამო სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ორგანოებში სამუშაოდ, თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით იგი განთავისუფლებულია აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსის თანამდებობიდან.

აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებისა და მაზრა-ქალაქის მილიციის უფროსად დაინიშნა ამხ. ს. ხმალაძე, რომელიც გუშინ შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას.

წითელი ჯვრის მონაწილეობა 23—25 თებერვლის ზეიმში

საქართველოს წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა წითელი ჯვრის სანიტარულ რაზმებს მონაწილეობა მიიღონ წითელი არმიის თერთმეტი წლის და საბჭოთა საქართველოს რვა წლის თავის აღსანიშნავ აღლუმში.

2.000 მანეთიანი მოგება

სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორას გუშინ წარუდგინეს ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ორი ობლიგაცია (სერია 62355 №07 და სერია 47.748 № 10) რომლებსაც აღნიშნული სესხის პირველ ტირაჟში ხვდა თითოს ათას მანეთიანი მოგება.

11 და 12 თებერვალს სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორამ გაანაღდა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის პირველი ტირაჟის 214 მოგება—11.915 მან. რაოდენობით.

4.000 კილომეტრი ფეხით

საქართველოს ტურისტთა ბიურომ რვა თვის წინეთ სამოგზაუროთ გაგზავნა კომკავშირელი ამხ. ფურცხვანიძე. რომელმაც შემოიარა მთელი საქართველო, ოსეთი, დაღესტანი, აზერბეიჯანი და სომხეთი. ამხ. ფურცხვანიძემ მოგზაურობის დროს ხუთჯერ გადალახა კავკასიონის უღელტეხილი და გაიარა სულ 4.000 კილომეტრზე მეტი. გზა და გზა ამხ. ფურცხვანიძემ გადაიღო 500-ზე მეტი სურათი. ამხ. ფურცხვანიძე თბილისში დაბრუნდა ამ დღეებში. ტურისტთა ბიურო მოკლე ხანში მოაწყობს ამხ. ფურცხვანიძის მიერ გადაღებულ სურათების გამოფენას.

სტუდენტთა ექსკურსიები

საქ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა წრე აწყობს თავის წევრების ექსკურსიას ხარკოვში, ბაქოში, ბორჯომში, ჭიათურაში და მარელისში.

მსურველების ჩაწერა სწარმოებს ყოველდღიურათ დღის 11-დან 2 საათამდე და საღამოს 6-დან—8 საათამდე.

კომუნალური მეურნეობის მუშაკთა მე-7 ყრილობა

11 თებერვალს საღამოს ტრამვაის მუშათა კლუბში შესდგა კომუნალური მეურნეობის მუშაკთა მე-7 ყრილობის უკანასკნელი სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა სამანდატო კომისიის მოხსენება. მოხსენების შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლუციები ყველა მოსმენილ მოხსენებების გარშემო.

შემდეგ არჩეულ იქნა კავშირის ახალი ცენტრალური გამგეობა.

თბილისის აღმასკომში

◆ **უ. ქ. ს.—ის რეორგანიზაცია.** თბილისის აღმასკომმა გადასწყვიტა მოახდინოს უძრავ ქონებათა სამმართველოს (უ.ქ.ს.) რეორგანიზაცია. რეორგანიზაციის ჩასატარებლად გამოყოფილია სპეციალური კომისია ამხ. ვ. ავაქოვის თავმჯდომარეობით.

კომისიამ მუშაობა უნდა დაამთავროს სამ დღეში.

◆ **ახალი განყოფილების დაარსება.** თბილისის აღმასკომთან ეწყობა დარაბებისა და სხვა საშემოსავლო ობიექტების საიჯარო-საექსპლოატაციო ქვე-განყოფილება.

◆ **საიუბილეო კომისია.** თბილისის აღმასკომმა გამოჰყო საიუბილეო კომისია, რომელსაც დავალებული აქვს უხელმძღვანელოს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 8 წლის თავის და წითელი არმიის 11 წლის თავის დღესასწაულების ჩატარებას თბილისში.

წყალთა მეურნეობის სამმართველოში

◆ **მდ. დურუჯის ნაპირების გამაგრება.** მდ. დურუჯის ნაპირების გასამაგრებლად სამუშაოთა გამოსაკვლევად და სახელმძღვანელოდ გაგზავნილია ტექნიკოსთა პარტია.

◆ **წყალდიდობასთან ბრძოლა.** წყალთა მეურნეობის სამმართველო შეუდგა სამზადისს გაზაფხულის პერიოდში მდინარეების ადიდებასთან საბრძოლველად.

სხვადასხვა

ხუთშაბათს, 14 თებერვალს, საღამოს 6 საათზე განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქ. № 3) დანიშნულია სასკოლო დამხმარე საბჭოების საქალაქო კონფერენცია. დღის წესრიგი: 1: მიმდინარე ამოცანები და დამხმარე საბჭოების მუშაობის პრაქტიკა.

◆ **კოოპერატ. კომისიების პლენუმი.** 14 თებერვალს საღ. 7 საათზე მუშკოოპში შესდგება მუშკოოპის სისტემის კოოპერატიულ სისტემის კოოპერატიულ კომისიების და მაღაზიების გამგეთა პლენუმი.

◆ **მუშკოოპის საორგანიზაციო სექციის კრება.** დღეს, საღამოს 7 საათზე შესდგება მუშკოოპის საორგანიზაციო სექციის კრება, რომელზედაც განხილული იქნება მუშკოოპის წლიური საფინანსო გეგმა.

სასამართლო

მკვლელობა

ეს ამბავი ჩვეულებრივად დაიწყო, მაგრამ არა ჩვეულებრივად დამთავრდა.

ვლადიმერ ხუციშვილმა ცოლად შეირთო თამარ იმედაშვილი. მათ მყუდრო ცხოვრებას არაფერი არღვევდა. მაგრამ გავიდა რამოდენიმე ხანი და ქალს აღმოაჩნდა სიფილისი. გამოირკვა, რომ ქალის დაავადმყოფების მიზეზი იყო მისივე ქმარი—ვლადიმერ ხუციშვილი. ცოლ-ქმარს შორის ჩამოვარდა უსიამოვნება რომელმაც ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო, რომ შეუძლებელი გახდა მათი ერთად ცხოვრება. ქალი მოშორდა ქმარს და თავი შეაფარა თავისი პატარა შვილით ძმებს—ნიკოლოზ და იოსებ იმედაშვილებს. პირველი მათგანი ცხოვრობდა სოფ. მარტყოფში, ხოლო მეორე თბილისში, სადაც იგი მსახურობდა პირველი რაიონის მილიციის თანამშრომლად.

ძმებს მძიმე ტვირთად დააწვათ დისა და მისი ბავშის რჩენა. თამარის ყოფილი ქმარი მაინც განაგრძობდა თავის ყოფილ ცოლთან სიარულს. ძმებმა რამოდენიმეჯერ სცადეს შეერიგებინათ ცოლ-ქმარი, თამარიც თანახმა იყო. მხოლოდ ხუციშვილი რაღაც მოსაზრებით არ თანხმდებოდა. მისვლა-მოსვლას ცოლის ძმების ოჯახში კი არ იშლიდა.

გ.-წ. 28 დეკემბერს 6 საათზე, იმ დროს, როცა იოსებ იმედაშვილი შინ არ იყო, თავის ყოფილ ცოლს ეწვია ვლადიმერ ხუციშვილი. მეზობლებმა, რომლებმაც იცოდნენ მათი ურთიერთობის ამბავი, სცადეს ცოლ-ქმრის საბოლოოდ შერიგება და ამის შესახებ გამართეს მოლაპარაკება. ამ დროს სამსახურიდან შინ დაბრუნდა იოსებ იმედაშვილი. ხუციშვილმა ცოლის ძმის ოთახში შესვლისთანავე ქუდი დაიხურა და გარეთ გამოვიდა. მას გამოედევნა იმედაშვილი, წინადადება მისცა დაბრუნებულიყო და განეგრძო მოლაპარაკება. ხუციშვილი არ დაეთანხმა ამ წინადადებას და წასვლა დააპირა, მაგრამ იმედაშვილმა ამოიღო რევოლვერი და პირდაპირ შუბლში ესროლა.

ხუციშვილი იქვე გარდაიცვალა.

გუშინ, თბილისის მაზრის სასამართლომ რომელმაც გაარჩია ეს საქმე, იოსებ ზაქარიას ძე იმედაშვილის მიმართ წაყენებული ბრალდება, (წინასწარი მოსაზრებით ჩადენილი მკვლელობა), დამტკიცებულად სცნო და სისხლის სამართლის კოდექსის 144 მუხლის ძალით მიუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა ოთხი წლის ვადით სასტიკი იზოლიაციით.

სასამართლოს თავმჯდომარეობდა ამხ. კუპრაშვილი: სახალხო მსაჯულები: კიკნაძე, შუშაშვილი.

ძმის მკვლელი

1928 წლის 17 აგვისტოს ერწოს თემის სოფ. მარგანეთში (თბილისის მაზრა) მოხდა მკვლელობა. პირველად ძნელი გამოსარკვევი შეიქნა ბოროტმოქმედის ვინაობა.

საღამოს 11 საათი იქნებოდა, როცა გლეხს ცისკარიშვილს შემოესმა საშინელი კვნესა. ცისკარიშვილმა გასწია სათიბისაკენ, საიდანაც ეს კვნესა მოისმოდა. მცირე მანძილის გავლის შემდეგ ის თავის წააწყდა სისხლში ამოსვრილ მომაკვდავ ღვთისო ხოჯაშვილს, რომელიც სახლში მიიყვანა. ხოჯაშვილი საშინლად ნაწამები აღმოჩნდა. მისი სხეულის თითქმის ყველა ნაწილი დასახიჩრებული იყო. განსაკუთრებით მძიმე ჭრილობები ჰქონდა მიყენებული თავის, გულის და ფილტვების არეში. დაჭრილს ცნობიერება დაკარგული ჰქონდა.

მეორე დღეს დილით, როცა დაჭრილმა მოიკეთა, განაცხადა, რომ იგი აწამა გიორგი ჩოლოლაურმა. დაჭრილმა მხოლოდ ამის თქმა მოასწრო და გარდაიცვალა.

მოკლულის ოჯახმა ეჭვი აიღო ღვთისოს ძმაზე—ნიკო ხოჯაშვილზე. დააპატიმრეს, როგორც ჩოლოლაური, ისე ხოჯაშვილი. წინასწარი კვლევა-ძიების და აგრეთვე სასამართლოს პროცესში გამოირკვა, რომ ძმებს ღვთისოსა და ნიკოს ერთმანეთს შორის ჰქონიათ დავა სათიბის თაობაზე. თუმცა სათიბი ორივე ძმას ეკუთვნოდა, მაგრამ ნიკო არ ანებებდა ღვთისოს ესარგებლნა საზიარო სათიბით. ღვთისო თავისას არ იშლიდა, რაც ძმებს შორის დაუსრულებელ ჩხუბსა და აყალ-მაყალს იწვევდა. ნიკო არა ერთხელ დამუქრებია ძმას მოკვლით. როცა ღვთისოს ოჯახს გაუგია ღვთისოს მკვლელობა, ცოლი და ღვთისოს შვილი ამბავის გამოსარკვევად მისულან ნიკოსთან, რომელსაც ისინი შემდეგი სიტყვებით გამოუსტუმრებია:—ხმა არ ამოიღოთ, თორემ თქვენც უარეს ამბავს დაგმართებთო.

კვლევა-ძიებით გამოირკვა აგრეთვე, რომ მოკლულ ღვთისო ხოჯაშვილსა და გიორგი ჩოლოლაურს შორის არავითარ უკმაყოფილებასა და უსიამოვნებას არასოდეს ადგილი არ ჰქონია. ჩოლოლაურს ეს მკვლელობა ჩაუდენია—ნიკო ხოჯაშვილის წაქეზებით.

თბ. სასამართლომ ამხ. გრ. კალანდაძის თავმჯდომარეობით ნიკო ხოჯაშვილისა და გიორგი ჩოლოლაურის მიმართ წაყენებული ბრალდება დამტკიცებულად სცნო და მიუსაჯა თითოეულ მათგანს ათი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით და სამოქალაქო უფლებების აყრით.

ჰი—ა.

ხელოვნება

„ვაი ჭკუისაგან" თბ. მუშათა თეატრში

დადგმა რეჟ. ტატიშჩევისა, მხატვარი ვ. ივანოვი

10 იანვარს თბილისის მუშათა თეატრის რუსულმა სექტორმა ა. ს. გრიბოედოვის გარდაცვალების ასი წლის თავი აღნიშნა მისი კომედიის („ვაი ჭკუისაგან") დადგმით.

წარმოდგენას სიტყვა წარუმძღვარა პოეტმა ვასილი კამენსკიმ, რომელმაც აუდიტორიას გააცნო მწერლის ცხოვრების მთავარი მომენტები და მისი ტრაგიკული დასასრული. კამენსკიმ ა. გრიბოედოვის ცხოვრების შესახებ მოიყვანა ზოგიერთი ცნობები, რომლებიც დღემდე უცნობია ფართო საზოგადოებისათვის. (გრიბოედოვის დამოკიდებულება დეკაბრისტებთან, ფაქტები მისი ლიტერატურულ - სამეცნიერო მოღვაწეობიდან, მწერლის ყოფა-ცხოვრება საქართველოსა და სპარსეთში და სხვა). ახლად აღმოჩენილი საარქივო მასალების საშუალებით ვ. კამენსკიმ დაწვრილებით აღადგინა თეირანში მიერ რუსეთის საკონსულოზე თავდასხმის და მწერლის დაღუპვის სურათი.

შემდეგ დაიწყო წარმოდგენა.

პოეტის ხსოვნის ასი წლის თავი — მისი კომედიისადმი შეუნელებელი ინტერესის ასი წლის თავიც არის. ეს იმიტომ, რომ კომედია სცილდება იმ დროისა და ადგილის ფარგლებს, რომლის საზოგადოებრივი ფენებისა და ფიგურების დახასიათებას იგი იძლევა.

აი რატომ არის, რომ კომედია არ კარგავს თავის აქტუალურ ძალას; იგი დღესაც აღელვებს მაყურებელს.

რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს მის სცენიურ განსახიერებასაც. არ შეიძლება დღეს ამ კომედიის მოსმენა ძველი ნატურალისტური გაფორმებით („მცირე თეატრის" ტრადიციების მიხედვით). გროტესკი, სტილიზაცია მომქმედ პირთა ერთგვარი გაშარჟება, გაკარიკატურება აუცილებელია, რადგან მას მოითხოვს თვით კომედიის ბუნება, რომელიც არ განისაზღვრება ერთი კონკრეტული დროითა და გარემოთი. ჰიპერბოლები, გადაჭარბება, ხაზგასმა საჭიროა, რომ მაყურებლის გონებაში აღიბეჭდონ პერსონაჟები, როგორც ტიპები, როგორც სინთეტიური მოვლენები. ამოცანის გადასაწყვეტად რეჟისორმა მოხერხებულად გამოიყენა თანამედროვე თეატრალური ხელოვნების ყველა ელემენტი, განსაკუთრებით მეიერხოლდის თეატრის ხერხები. (რიტმიული მოძრაობა, განათება, სცენის კონსტრუქტიული აგება და სხვ.).

უნაკლო თამაშით წარუხოცელ შთაბეჭდილებას სტოვებს მთელი ანსამბლი. განსაკუთრებით დაუვიწყარია მსახიობის: ზორინის (ფამუსოვი), ლიუბოშის (რეპეტილოვი), ლიუბიმოვის (ჩაცკი). ლავრეცკის (სკალოზუბი) და სნეჟინას (ლიზას) მიერ შექმნილი სახეები.

ვ.

კინო

„ყინულთა სამეფოში". „კრასინისა" და „მალიგინის" ექსპედიცია

გასულ ზაფხულზე მთელი მსოფლიოს ყურადღება ჩრდილოეთის პოლიუსმა მიიპყრო. ყველას ახსოვს ის ამბები, რომელიც დაკავშირებულია დირიჟაბლ „იტალიის" ავარიასთან. რასაც გაზეთებიდან ვტყობილობდით, ეხლა თვალით ვხედავთ. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის გარემოება, რომ სურათი აგებულია ფაქტიურ მასალაზე, და საბჭოთა ექსპედიციის მოძრაობასთან ერთად მაყურებლის თვალწინ იშლება მეტად კარგათ გადაღებული ყინულთა სამეფოს რეალური სანახაობანი.

დიდი ოსტატობით გაკეთებული მონტაჟი იშვიათი უბრალოებით და ყველასათვის გასაგები კინო-ენით მოუთხრობს მაყურებელს, თუ როგორ გაფთრებით ებრძვის კაცობრიობა ბუნებას არქტიკის დასაპყრობად.

1912 წელში დამარცხებულ სედოვის ექსპედიციას სცვლის რ. ამუნდსენის ექსპედიცია, რომელიც გიგანტი დირიჟაბლით მიაღწევს პოლიუსს. 1928 წელში-კი ნობილეს „იტალია" ყინულის თვალუწვდენელ მინდვრებში იკარგება თავის მგზავრებთან ერთად.

განწირული ხალხი კულტურულ კაცობრიობას სთხოვს შველას. ყველაზე გულმოდგინეთ ამ მოწოდებას საბჭოთა ქვეყანა გამოეხმაურა. ეწყობა ექსპედიცია.

პირველ შეტევაზე მიდის ყინულის მტრელი „პერსეი". იძულებულია უკან დაიხიოს. მის ადგილს იჭერს „მალიგინი". გაუვალ ყინულის უდაბნოებში მომწყვდეული „მალიგინი" ბუნებას არ ნებდება. შეუპოვარი ავიატორი ბაბუშკინი აეროპლანით განაგრძობს ბრძოლას.

„მალიგინმა" ველარ შესძლო სამი მეტრის სისქის ყინულების გაკვეთა და მის ნაცვლად ყინულის მინდვრებს აპობს „კრასინი".

ავიატორ ჩუხნოვსკი სამ მოტორიანი „წითელი დათვით" აღმოაჩენს გაუბედურებულ ექსპედიციის ერთ ნაწილს.

ყოველგვარ დაბრკოლებების გადალახვით „კრასინი" პირველი შევა იქ, სადაც არაოდეს კაცს არასოდეს ფეხი არ დაუდგამს და სიკვდილის პირას მიმდგარ ხალხს „ველური" ბოლშევიკები მზრუნველობით აიყვანენ გემზე. ეს ხდება მაშინ, როდესაც თვით ჩუხნოვსკი თავისი ჯგუფით ყინულის ველებშია მომწყვდეული დაზიანებულ მოტორებთან ერთად.

„ჩიტა - დე - მილანო" წითლების ხელიდან მიიღებს თავის გაუბედურებულ თანამემამულეებს.

გმირი „კრასინი" შინ ბრუნდება, მაგრამ მიიღებს ცნობას, რომ იღუპება „მონტე-სერვანტესი" ორი ათასი მგზავრით. „კრასინი", მიუხედავათ თავის დაზიანებულ ნაწილებისა, გაეშურება დასახმარებლად და უვნებლად გადაარჩენს „მონტე-სერვანტესს".

ამ ფილმიდან მიღებული შთაბეჭდილებანი საუკეთესო „მხატვრულ" სურათზე ბევრათ უფრო ძლიერია და მნიშვნელოვანი. განსაკუთრებით დიდ დახმარებას გაუწევს მისი ნახვა მოსწავლე ახალგაზრდობას.

ყოველ მოქალაქეს საშუალება ეძლევა ერთი საათის განმავლობაში ნახოს და გაიგოს ის, თუ რას წარმოადგენენ უდაბური ყინულის ეს უდაბური ველები, სამარე მრავალი ექსპედიციისა, და რა გმირობა გამოიჩინა საბჭოთა ექსპედიციამ დაუმარცხებელ არქტიკის დამარცხებაში.

გ. გ.

შემთხვევები

გაფლანგვა

თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა მე-3 უბნის შრომის ინსპექტორის საქმის მწარმოებელი შალვა ტარასის ძე გვიბრაძე. რომელმაც გაფლანგა 709 მანეთი.

აფერისტები

ამას წინად ქალაქის და სოფლის კავშირის საზოგადოების თბილისის საბჭომ თავის ფონდის გასაძლიერებლად მოაწყო „საზამთრო ბაზარი", რომელიც იჯარით აიღო არკადი ლეონტის ძე ვოლსკიმ და სიმონ აბრამის ძე რეიმერმა. ხელშეკრულების ძალით მათ ლატარიაში უნდა გაეთამაშებიათ საოჯახო და პირველ მოთხოვნილების საგნები. მაგრამ მოიჯარადრეებმა გაათამაშეს უბრალო ნივთები და აფერისტული გზით საზოგადოებას მიაყენეს რამდენიმე ათასი მანეთის ზარალი, ორივე აფერისტი დააპატიმრა სისხლის სამართლის მილიციამ.

რეციდივისტები

დაპატიმრებულია აბას აბაზ კაფარ-ოღლი, კულა მამედ-ოღლი, აკოფ ყარამანიანცი და ჯამ ხან-სანი, რომლებმაც წ.წ. 25 დეკემბერს გაქურდეს ქუდების მაღაზია (ნ. ბარათაშვილის ქ. № 11) და წაიღეს სხვადასხვა საქონელი.

ქურდები გამოტყდენ დანაშაულში. მოპარული საქონელი აღმოჩენილია. როგორც ირკვევა, დაპატიმრებულებს აქვთ ქურდობისა და ჯიბგირობის რამდენიმე რეგისტრაცია.

ქურდობა

გაქურდეს ამხ-ბა „სოფლის მეურნეობის" საწყობი (პრესის ქ. № 12), წაიღეს სხვადასხვა საქონელი.—გარდა ამისა, 11 იანვარს ქალაქში აღრიცხულია წვრილი ქურდობის ოთხი შემთხვევა.

ავანტიურისტი

ა.წ. 26 იანვარს, სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა გაბრიელ ალექსანდრეს ძე კვიტკოვსკი. რომელსაც ბრალდებოდა ჯიბგირობა. თითების ანაბეჭდების საშუალებით გამოირკვა, რომ კვიტკოვსკი თბილისში ცხოვრობდა ფილონოვის გვარით. შემდეგმა კვლევა-ძიებამ გამოარკვია, რომ კვიტკოვსკის ნამდვილი ვინაობაა ივანე პეტრეს ძე გალკინი. ის გვარს იცვლიდა ჩადენილ ბოროტმოქმედებათა დაფარვის მიზნით.

„გასტროლიორი"

დაპატიმრებულია ჯიბგირი ბორის ალექსანდრეს ძე რაბინოვიჩი (იგივე პარტნოი), რომელიც „საგასტროლოდ" ჩამოვიდა თბილისში.

შეპყრობა

მილიციამ დააპატიმრა ნიკოლოზ ივანეს ძე ერემეზოვი, რომელსაც აღმოაჩნდა ვერცხლის სათუთუნე. პატრონი უნდა გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში, ოთახი № 6.

დაპატიმრებულია ლიბერტ დავითის ძე ასატუროვი, რომელსაც ბრალდება ქურდობა.

დაჭრა

გრიგოლ ნასაპეტის ძე ვართანიანცმა ჩხუბის დროს დანით მსუბუქად დასჭრა ხაჩ. მიკირჩას ძე სიმონიანცი. ვართანიანცი დაპატიმრებულია.

ჯიბგირობა

გუშინ სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ორი ჯიბგირი მიტროფანე დიმიტრის ძე რიბაკოვი და ალექსანდრე დიმიტრის ძე სმირნოვი.

ტრამვაის მოძრაობის შეფერხება

გუშინ, დილით, ტრამვაის საჰაერო ხაზის დაზიანების გამო ელბაქიძის დაღმართზე მოძრაობა შეწყდა 13 წუთით.

ავიაქიმში

თადარიგის მეთაურთა გადამზადება

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმმა საქართველოს მთელ რიგ ქალაქებში ჩაატარა თადარიგის მეთაურთა გადამზადება.

ბათომში, ქუთაისში, გორში, ზესტაფონში და ჭიათურაში მოწყობილი იყო მოკლევადიანი კურსები მეთაურთა გადასამზადებლად.

გადამზადებისათვის გამოყენებულ იქნენ წითელი ჯარის საკადრო და ტერიტორიალური ნაწილების მეთაურები.

ადგილებიდან მიღებული ცნობების თანახმად, გადამზადება ყველგან წარმატებით ჩატარდა.

თბილისში თადარიგის მეთაურთა გადამზადება დამთავრდება ამ დღეებში.

ქიმიურ საქმის ინსტრუქტორთა კურსები

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმმა თბილისში მოაწყო საჰაერო ქიმიურ თავდაცვის საქმის ინსტრუქტორთა მოსამზადებელი კურსები.

კურსებზე მიღებულ იქნა 60 კაცი როგორც თბილისიდან, ისე პროვინციიდან.

მეცადინეობა კურსებზე გასტანს 5 კვირას. ლექტორებათ მოწვეული არიან საჰაერო და ქიმიურ საქმის მცოდნე სპეციალისტები. მეცადინეობა მიმდინარეობს ამიერ-კავკ. კომუნივერსიტეტის ქიმიურ ლაბორატორიაში.

მიღება სამხედრო ტექნიკურ და თეორეტიულ სკოლებში

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმი შეუდგა კანდიდატების გადარჩევას სამხედრო ტექნიკურ და თეორეტიულ სკოლებში გასაგზავნად.

მსურველმა სათანადო განცხადებით უნდა მიმართონ საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმს. კანდიდატების ცოდნის და ჯანმრთელობის შემოწმება სწარმოებს ოთხშაბათობით (აეროდრომზე).

რკინის გზებზე

5.566.627 მანეთი დაუმთავრებელ სამუშაოებისათვის

გზის სალიანდაგო დარგში გასულ საბიუჯეტო წელში დაუმთავრებელ სამუშაოების დასამთავრებლად წელს განაწილებულ იქნა—5.566.627 მანეთი.

ტეხურის ხიდისათვის

ა.-კ. რკინის გზების გამგეობაში მიღებული ცნობით, ამ დღეებში ამხ. პეტროვსკის სახელობის ქარხნიდან (უკრაინაშია) გამოგზავნილია ტეხურის რკინის გზის ხიდისათვის საჭირო ლითონის ნაწილები.

წევის რევიზორების თანამდებობის გაუქმება

გზის გამგეობის დადგენილებით გაუქმებულია წევის რევიზორების თანამდებობა.

ორთქლმავლებზე თვალყურის დევნების მიზნით, რევიზორების ნაცვლად გადიდებულია დამრიგებელ-მემანქანეების რიცხვი.

კომპენსაცია მიუღებელ სპეცტანსაცმელის ნაცვლად

გასულ წელს ბევრ რკინის გზელს არ მიუღია კუთვნილი სპეცტანსაცმელი. რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ტანსაცმელების დამამზადებელმა ორგანიზაციებმა არ შეასრულეს გზის გამგეობასთან დადებული ხელშეკრულება და ვერ ჩააბარეს გზას სპეცტანსაცმელი საჭირო რაოდენობით.

ეხლა, გზის გამგეობის დადგენილებით იმ პირებს, რომელთაც გასულ წელში არ მიუღიათ სპეცტანსაცმელი, მიეცემა ფულადი კომპენსაცია.

კომპენსაციის სახით სულ გაცემული იქნება 12.745 მანეთი.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათს, 13 თებერვალს, რადიო-გადამცემი სადგური 1075 მეტრიან ტალღაზე გადასცემს შემდეგ პროგრამას:

ოქტომბრელის საათი—„ყურადღება მოგვაქციეთ, ჩვენ ვართ პიონერთა ცვლა",—რუსულ ენაზე; კოლხელშეკრულებათა დადების კამპანიის შედეგები საქართველოში (გოდაბრელიძის მოხსენება),—ქართულ ენაზე; რადიო გაზეთი—ქართულ ენაზე; პოპულიარული გლეხთა კონცერტი; მეხუთე ლექცია საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო ციკლიდან „მემკვიდრეობა",—ქართულ ენაზე; „წითელი არმიელი"—რადიოთი (წითელარმიელთა რადიო-გაზეთი)—რუსულ ენაზე; კამერული მუსიკის საღამო; უკანასკნელი ცნობები, ამინდის ბიულეტენი და დროის შემოწმება.

იურიდიული დახმარება

თეოფილე სიამაშვილს

კითხვა:

აკანის თემში მაქვს ერთი სამოსახლო 2 2 ქცევის რაოდენობით. ვართ 3 ძმა, ქონებ გაუყოფელია, 1 ძმა უკვე 20 წ., რაც ცალკე ცხოვრობს ოზურგეთში და ოჯახიდან არაფრით არ სარგებლობს. მეორე ძმა ცხოვ. ბაბავის თემში მამა-პაპისეულში უკვე 17 წელი ამ ხნის განმავლობაში ეს უკანასკნელი ძმა სარგებლობს ჩემი მამულის ყურძნის მოსავლით თუმცა ის მის მოვლაში და მოშენებაში არ მეხმარება. ყველა გადასახადებს მიწაზე ვიხდი მხოლოდ მე. ერგება თუ არა ჩემს ძმას მოსავალი ამ მამულიდან?

პასუხი:

როგორც თქვენი შეკითხვიდან სჩანს, თქვენ გქონიათ ცალკე კომლი, რომლის მეურნეობაში თქვენს ძმებს, რომლებიც ცალკე სცხოვრობენ სხვა ადგილას, არ მიუღიათ არავითარი მონაწილეობა არც პირადი შრომით და არც სახსრით 17—20 წლის განმავლობაში. ამ პირობებში თქვენი ძმები ვერ ჩაითვლებიან თქვენი კომლის წევრებად და ამისათვის ამ კომლიდან მოსავალი მათ არ ეკუთვნით.

სანდრო მენაბდიშვილს

კითხვა:

ქარელის თემმა შემომაწერა 1928-29 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი 26 მან. მას შემდეგ, რაც მაზრის მიერ განაწილებული იყო ეს გადასახადი და მისგან სრულიად განთავისუფლებული ვიყავი მე. ვარ გლეხი. მაქვს ერთი ნორმა მიწა მყავს ერთი უღელი ხარი და ერთი ძროხა, მყავს ოთხი სული სარჩენი.

მეკუთვნის თუ არა სასოფლო-სამეურნეო გადასახადი 26 მან. რაოდენობით?

პასუხი:

ერთნაირი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ დაიბეგრება ისეთი სამარტოხელო მეურნეობა, რომლის დასაბეგრი შემოსავალი არ აღემატება: როდესაც მეურნეობაში ერთი და ორი მჭამელია,—100 მანეთს, როდესაც სამი და ოთხი მჭამელია—120 მანეთს, ხოლო როდესაც ხუთი და მეტი მჭამელია,—130 მანეთს. თუ სათემო საგადასახადო კომისიის გამოანგარიშება შემოსავლის თანხისა და გადასახადის განაკვეთის შესახებ არ მიგაჩნიათ სწორად უნდა მიმართოთ საჩივრით სამაზრო საგადასახადო კომისიას (საქ. სახკომსაბჭოს დადგენილებები 1928 წ. 8 მარტიდან და 7 ივნისიდან—კან. კრ. 1928 წ. № 9, მ. მ. 82 და 86).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტთათბირი კინო-საკითხებზე

დღეს, 13 თებერვალს საღამოს 6 საათზე საქართველოს კინომრეწველობის შენობაში შესდგება კინო-თათბირი, რომელსაც დაუგვიანებლად უნდა დაესწრონ შემდეგი დაწესებულების და ორგანიზაციის წარმომადგენლები. სახ.-კინომრეწველობის გამგეობა და სამხატვრო საბჭო, ხელოვნების მთავარი სამმართველოს, პროფსაბჭოს კულტგანყოფილების, პოლიტგანათლების მთავარი სამმართველოს, თბილისის პოლიტგანის, მთავლიტის, საქართველოს ლენინურ კომკავშირის ცეკას და თბ. კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების, ა.-კ. წითელ დროშოვან არმიის პოლიტსამმართველოს, პროლეტმწერალთა ასოციაციის, მუშათა კლუბების გამგეობის (მელითონეთა, მბეჭდავთა, კომუნალურ მუშაკთა, მშენებელთა და ორჯონიკიძის სახელობის კლუბი) და მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილების.

—:—

ოთხშაბათს, 13 თებერვალს, დღის 12 საათზე ცეკას აგიტპროპგანყოფილებაში შესდგება სხდომა, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: მიქაძე (პროფსაბჭო), ს. ეული (მთავლიტი) და მოსე გოგიბერიძე („მნათობი").

—:—

საქართველოს კომპარტიის (ბ) ლენინის რაიკომი იუწყება, რომ ხუთშაბათს 1929 წლ. 14 თებერვალს საღამოს 6 საათზე რაიკომის ბინაზე მოწვეულია რაიკომის პლენუმი.

სავალდებულოა რაიკომის ყველა წევრის, კომუჯრედების მდივნების და დიდი ადგილკომების თავმჯდომარეთა დასწრება.

ს.კ.პ. (ბ) ც.-კ: სააღრიცხვო განყოფილება ატყობინებს ამხ. კუხალეიშვილს (ყოფილი გამგე ხაშურის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების), რათა ის გამოცხადდეს ც.-კ. სააღრიცხვო განყოფილებაში არა უგვიანეს სამი დღისა.

—

აგრ. ფაკ. მესამე და მეოთხე კურსის ა.ლ.კ.კ.-ის უჯრედის ბიუროს სხდომა შესდგება დღეს, 13—თებერვალს, საღამოს სრულ 5 საათზე აგროფაკის შენობაში.

ბიუროს წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა. აგრეთვე უნდა გამოცხადდნენ: 1) ჩიქავა ვარლამ და 2) ლატარია ალექსი.

—:—

დღეს, 13 თებერვალს, დღის 11 საათზე შესდგება თბ. სახ. უნ. ა.ლ.კ.კ. ბიურო-კოლექტივის სხდომა. დასწრება ბიურო-კოლექტივის წევრ-კანდიდატებისათვის სავალდებულოა. აგრეთვე უნდა გამოცხადდნენ ამხ-ბი, რომლებსაც შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიაში გადარიცხვის და კომკავშირში მიღების შესახებ და გრიგოლ ბ. კაკელიძე.

—

სახ. უნივ. ბიურო-კოლექტივი აუწყებს ამხ. ალექსი ნაკაშიძეს, რომ ის უნდა გამოცხადდეს რაიკომის მიმღებ კომისიაში დღეს, 13 თებერვალს (სოლოლაკის ქ. № 7). საღამოს 6 საათზე.

—

სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ა. ლ. კ. კ. უჯრედების ბიუროები აცხადებენ, რომ დღეს, 13 თებერვალს, საღამოს 6 საათზე შესდგება ამავე ფაკულტეტის უჯრედების დახურული გაერთიანებული კრება. წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

თავზარდაცემულნი მშობლები: ივანე და ეკატერინე; ძმები: ნიკოლოზი, ელიზბარ და ოთარ რჩეულიშვილები; სიძე გრიგოლ რობაქიძე მეუღლე ელენეთი და ბებია ბარბარე აუწყებენ საზოგადოებას საყვარელ

შალიკო რჩეულიშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალებას, გამოსვენება ყ. მიხეილის საავადმყოფოს პროზექტურიდან დღეს ოთხ საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. 432

მამიდაშვილი ნინო და მეუღლე კოტე ნაცვლიშვილები, ბიძაშვილი ალექსანდრე და მეუღლე ელისაბედ რჩეულიშვილები ვგლოვობთ ძვირფას

შალიკო რჩეულიშვილის

ტრაგიკულად დაღუპვას 440

გულმოკლულნი: ბიძა დიმიტრი, ძალუა ალექსანდრა, ბიძაშვილები: ვახტანგი მეუღლით ნატალია, მიშა, ლეო და მამიდა ანასტასია რატიშვილისა აუწყებენ საზოგადოებას საყვარელ

შალიკო რჩეულიშვილის

ტრაგიკულად დაღუპვას 432

ღრმად დამწუხრებულნი მეგობრები: ვ. ხომიზურაშვილი, რ. ღუდუშიძე, მ. რჩეულიშვილი, რ. ბოგველიშვილი, რ. ვახვახიშვილი, გ. ბახსოლიანი, დ. ზალდასტანიშვილი, ს. ბეზარაშვილი, ს. სულხანიშვილი, ნ. დავითაშვილი, ნ. მელითაური, ნ. მჭედლიშვილი, შ. მარგველაშვილი აუწყებენ საზოგადოებას

შალიკო რჩეულიშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალებას 430

ღრმად დამწუხრებული მეგობრები: ლ. პატიაშვილი, ი. მარგველაშვილი, შ. კვიტაშვილი, ს. და ჟ. მელიები, ს. აბაშიძე, გ. უსტიაშვილი, ნ. ალიბეგაშვილი და ს. ოძიაშვილი აუწყებენ საზოგადოებას მათი ძვირფასი

შალიკო რჩეულიშვილის

ვერაგულად დაღუპვას 438

მეგობრები სოფიკო და ნინელი სანდომისაშვილები, მერი კასრაძე, მარო შოშიტაშვილი და თამარა მათიაშვილი ცხარე ცრემლით დასტირიან

შალიკოს

ტრაგიკულად დაკარგვას 441

გულდამწვარი უახლოესი მეგობრები: აგო და კატო ფალავანდიშვილები, მერი ლუდუშაური, ნინა არავიაშვილი და ნინა ნიკოლაიშვილი უსაზღვრო მწუხარებას გამოსთქვამენ უსაყვარლესი მეგობრის

შალიკო რჩეულიშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო 443

ღრმად დამწუხრებული მეგობრები: ფ. ლუარსამიძე, შ. გოგიტიძე, ც. ზაალიშვილი, მ. ჩიჯავაძე, მ. მუსერიძე, მ. ჯინჭარაძე, დ. მახარაძე, გ. ილურიძე, კ. ბიბილური და ს. მასხარაშვილი აუწყებენ ნაცნობებს, რომ ტრაგიკულად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი ამხანაგი

შალიკო რჩეულიშვილი 436

გულდათუთქული მეგობრები: ბ. კალანდაძე, ვ. მათიაშვილი ჟ. ქადაგიძე. ვ. ხუხუნაიშვილი, ლ. ჩოლოყაშვილი, გ. და დ. გარდაფხაძეები. გ. ღოღობერიძე, დ. უკლება ი. ბოძაშვილი და გ. რუხაძე აუწყებენ საზოგადოებას ძვირფას მეგობრის

შალიკო რჩეულიშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალებას 437

კახელი სტუდენტები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს და ამხანაგებს მათთვის ძვირფას მეგობრის

შალიკო რჩეულიშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. (შ)

თავზარდაცემულნი დედმამა გალია და ალექსანდრე ბუჩუკურები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას დაუვიწყარ პაწაწა

ნუნუს

უდროოდ დაკარგვას. დასაფლავება დღეს, 3 ნახ. საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე 431

ავთანდილ ბესარიონის-ძე და გრიშა სვიმონის-ძე ჭლიკაძეები, ბაბილინა ბესარიონის ასული ინასარიძისა მეუღლით, იულია ლავრენტის ასული ჩოჩიასი მეუღლით, ბიჭუნა ლევანის-ძე და თამარა ლევანის ასული ასათიანები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, მათი ძვირფასი ნათესავის და ძმის

მელქისედექ (მიშა) გრიგოლის-ძე ჭლიკაძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში, ხუთშაბათს, 14 თებერვალს, გამოსვენება საკუთარ ბინიდან - ჩუბინიძის ქ. № 16. 439

მე-35 შრ. სკოლის პედაგოგიური საბჭო, ამავე სკოლის მშობელთა დამხმარე საბჭო, კომკავშირის უჯრედი, თვითორგანიზაციის საბჭო და სასკოლო კოოპერატივის გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას მე-7 ჯგუფის მოწაფის კომკავშირელის

პლატონ ენუქიძის

უდროოდ გარდაცვალებას 442

რუსთაველის თეატრი

ხუთშაბათს, 14 თებერვალს. ვ. კირშონის
„ლიანდაგი გუგუნებს"
დრამა 4 მოქმედებად. თარგმ. ალ. ბოკერიასი
დადგმა შ. აღსაბაძის მხატვარი ირ. გამრეკელი.
სამხატვრო ნაწილის, გამგე და მთავარი რეჟისორი: ალ. ახმეტელი
დასაწყისი სრულ 8 საათზე
ბილეთები იყიდება თეატრისა და მუშათა ზოლის სალაროში, მუშათა სასახლე ოთახი № 1
2—1 ნ. 2256

სახკინმრეწველობის კინოები

განთიადი	არაჩვეულებრივი მხატვრული ფილმი **კატორღა**
არფასტო სოლეი პალასი	მსოფლიო სურათი „მეჟრაბპომ-ფილმის" ნაწარმოები **ჩინგის-ხანის შთამომავალი** რეჟისორი პუდოვკინი მთავარ როლში ინკიჟინოვი
მინიონი	კიდევ 2 დღე **ნამდვილი ჯენტლმენი**
აპოლო	მხატვრული სურათი **ორი ქმრის ცოლი**
დარბაზი	**ტარზან—ჯუნგლების მბრძანებელი** 1 და 2 სერია ერთად
პროლეტარი ავლაბარი	**ყინულთა სამეფოში** „კრასინ"-ის და „მალიგინ"-ის გმირული ექსპედიცია

0—11

ცირკი
კოლოსი
ტელეფ. № 8—64
3—2 ნ. 2250

დღეს
განახლებული სანახაობა
ახალი პროგრამა 3 განყოფილებად
გრძელდება ჰიპნოტიზიორ **ორნალდოს** გამოსვლები
(მასიური ჰიპნოზი) ახალი ცდები
დასაწყისი 8 ნახ. საათზე

იჩქარეთ ნახოთ!
პირველად საბჭოთა კავშირში! პირველად თბილისში! ისეთი რამ, რაც ჯერ არავის უნახავს!
სამხეცე ცხოველთა სამყარო
ჟოკეი კლუბის (ყოფ. არტოს) ბაღში
ჩამოყვანილია იშვიათი ეკზემპლიარები
მფრინავი ძაღლები
ყველამ უნდა ნახოს ეს მეტად იშვიათი ეკზემპლიარები.
სამხეცე ღიაა ყოველდღე დილის 8 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ანონსი: ჩამოდის ტროპიკულ ტყეების საშინელება?
ნ. 2082 0—16

ხუთშაბათს, 14 თებერვალს, საღამოს 8 საათზე. გან. მუშ სახლში
(ფურცელაძის ქ. № 3) მოწვეულია
მეცნიერ. მუშ'კთა სექციის საქალაქო კონფერენცია
განსახილველია შემდეგი საკითხები:
1) სამეცნ. აკადემიის კანდიდატების არჩევნების შედეგები.
2) მიმდინარე საკითხები.
დასწრება შეუძლიათ მეცნ. სექციის ყველა წევრებს და სამეცნ. დაწესებულებათა და უმაღ. სასწავლებელთა წარმომადგენლებს.
2 1 ნ. 2257

თბილისის ქალაქის ლომბარდი
(კეცხოველის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 17 თებერვალს, დილის 10 საათზე
დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ვადაგასულ გირაოებისა. გასაყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 2255

თბილისის გარე-უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი გ. მეგრელიშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 20 თებერვალს დღის 12 საათზე სოფ. კარაჯალარში (აკ-ტაგლიას თემი), **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ალი-მამედ გუსეინ-ოღლის მოძრავ ქონებას: სამ ძროხას და ერთ კამეჩს შეფასებულს 225 მანეთად მუშკოოპის ძიების დასაკმაყოფილებლად თანახმად მაზრა-ქალაქის სასამართლოს მიერ გ. წ, მაისში გაცემულ თარიღით № 364/2 აღმასრულებელ ფურცლისა.

2—1 ნ. 2254

ქ. თბილისის 1-ლი რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი მ. ი. ფირალოვი

აცხადებს, რომ ის 1929 წ. 16 თებერვალს დღის 1 საათზე სახლში № 22 ხოშტარია-ერისთავის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის წულეისკირისა და ჩახაიას უძრავ ქონებას: სახლს, ორ სართულიანს, 12 ოთახით, 4 სამზარეულოთი და 1 სამრეცხველოთი, აგურის შენობას შეფასებულს 5,000 მანეთად, მარიამ ანტონოვას და სხვათა ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. 1-ლი სახელმწ. სანოტარო კანტორისაგან 29 მაისს 1928 წ. თარიღით, № 1176 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 428

მათემატიკის მასწავლებელი
ამზადებს (პრაქტიკა 1910 წ.) 1929 სასწ. წლის მათემატიკასა და რუსულ ენაში
უმაღლეს სასწავ., 9 წლედის მოწმობაზე, სამხედრო აკადემიაში და ყველა საგნებში შვიდწლედის ყველა ჯგუფ., მუშფაკ., სპეც. ტექნიკ., 8 ჯგუფში შესავალი საკონკურსო გამოცდებისათვის და ასწორებს სუსტსა და ჩამორჩენილ მოწაფეებს.
პლეხანოვის ქ. და ჩერნიშევის ქუჩ. კუთხე 25|5.
ნახვა 9—12 ს. საღ. 2—6 საათ.
402 3—2

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

ექ. დ. ლ. თევზაძე
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)
მიღება: დილით 12—1 საათ. საღამოს 7—8 საათ.
გარდა კვირა დღეებისა. 25—6

ექიმი
ი. ვ. ახმეტელი
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ.
ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 20, მესამე სართული.

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)
საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 109 25|1

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეზხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა
მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 6. 25—19.

ქ. ქუთაისი
ექიმი
ი. ხ. შველიძე
კანის და ვენერიული სნეულებანი (სიფილისი, შეზხაპუნება „914", ტრიპერის და მისი შედეგების მკურნალობა)
მიღება: დილის 8—9 საათამდე საღამ. 7 ნახ.—9 საათ.
ქალები და ბავშვები დღისის 2—4 საათამდე
მისამართი: ივანოვ-მარდალეიშვილის 1-ლი შესახვევი № 9 სახლი ბალათურიასი
200 25—1

თვალის ექიმი
მალაევი
ლებულობს ავადმყოფებს
დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს მისამართი: თვალის საავადმყოფო კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედისა) № 47, ელსმენი № 5—90.

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა: ლებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7— ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ. 25—9

ქ. ქუთაისი
ექიმი
თ. ვ. აკოფაშვილი
შინაგანი სნეულება — სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით).
ნ. 25

ექიმი
ს. ი. ანდრეევისა
დაბრუნდა და ხელახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის მკურნალობა მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29 ელსმენი—11—78.
18—ნ. 25—1

უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ კლინიკაში
საღამოობით 4—6 საათამდე სწარმოებს ავადმყოფების მიღება დაკლებულ ფასებში. მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 126
ნ. 19—25—11

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, იფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., № 132.
13—1 352

ექიმი
ა. დ კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. ნ. 20 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ. — მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 412 25—1

თმის მკურნალობა
ვ. ი. დანილევსკაიას
სამკურნალო კოსმეტიკა
ლადო დუმბაძის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 18 პირისახის ყოველგვარი დეფექტის რადიკალური მკურნალობა. უცხოეთის უკანასკნელი მეთოდები. პირისახის და ხელების ყოველგვარი მასაჟი, აბაზანი, ნიღაბი, ყოველგვარი ელექტრიზაცია. რადიო-მოკს. მსურველთა მიღება ნაშუადღევს 1 ნახ. და 3 საათამდე და საღამოს 5 დან—8 მდე. 25—3

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.
კამოს ქ. 72 (ყოფილი დიდი-მთავრის)
მიღება { დილ. 8 ს.—9 საათ. საღ. 6 ს.—8 საათ.
25|1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—3

დაკარგვა: საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირის წევრობის წიგნაკი № 17841 ფილიპე გლახუნის-ძე რამიშვილის სახელზე და აგრეთვე სხვა პირადი საბუთები, ჩ. გ. 43

დაკარგვა: კავშირის წიგნაკი № 97695 და მუშკოოპის წიგნაკი № 20095 ანტონ სოლომონის-ძე თამარაშვილის სახელზე. ჩ. გ. 43

დაკარგვა: პირადი წიგნაკი № 1 გაცემული მარტვილის რაიონის სამხედრო მაგიდის გამგის მიერ, კოსტა მაქსიმეს-ძე კანკავას სახელზე, ჩ. გ. 435

დაკარგვა: რკ. გზის პროფკავშირის წიგნაკი № 23404 ალექსანდრა დავითის ასული გოცირიძის სახელზე, ჩ. გ. 427

დაკარგვა: მოწმობა. მოცემული თბილისის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებისაგან გრიგოლ იოსების-ძე ქაჩუხაშვილის სახელზე, ჩ. გ. 429

დაკარგვა: სალექციო წიგნაკი № 1382 ანტანინა კანდელაკის სახელზე, ჩ. გ. 425

დაკარგვა: საპენსიო წიგნაკი, გაცემული ორის დაზღვევის კასიდან ევა გრიგორაშვილის სახელზე, ჩ. გ. 421